

ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება არ აღუდგინეს A4



ხმაურიანი სიცოცხლის ჩუმი დასასრული A5



პოეტი-პოლიტიკოსი შელი A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 14 ივლისი, 2006 წელი. №156 (1308) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

**პოლიტიკა**

„ძლიერი მრავალმხრივობის გეგმა" „დიდი რვიანის" სამიტისთვის

A2

**პოლიტიკა**

პარლამენტი სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ დადგენილების პროექტს ამზადებს

A2

**თვალსაზრისი**

სტერეოტიპი უნდა დაინგრეს!

A3


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


**ამინდი**

| | 14/07 | 15/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 36 |
| ბათუმი | 34 | 31 |
| სოხუმი | 34 | 28 |
| ქუთაისი | 37 | 32 |
| გორი | 32 | 29 |
| ონი | 29 | 22 |
| ზუგდიდი | 36 | 32 |
| ახმეტა | 35 | 35 |
| სამტრედია | 37 | 32 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7680 |
| ევრო | 2.2484 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2515 |
| რუბლი | 0.0657 |


პოლიტიკა A 2
საზოგადოება A 3
სამართალი A 4
რევიუ A 5
ტენდერი A 6
ტენდერი A 7
სხვადასხვა A 8


# უფრო მეტი, ვიდრე ნავთობსადენი

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი ამოქმედდა

*„საუკუნის პროექტი" სრულად ამოქმედდა. თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირეთში, პორტ ჯეიჰანში გუშინ ოფიციალურად გაიხსნა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენის თურქეთის მონაკვეთი. ნავთობსადენი, რომელიც კასპიის ნავთობს საქართველოს გავლით ევროპას დაუკავშირებს, სამი ქვეყნის პრეზიდენტისა და 32 ქვეყნის დელეგაციების თავშეყრის მიზეზი გახდა.*

**„ეს პროექტი არის ზღვარი, სადაც კონფრონტაციული დიქტატის მეთოდებით პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა მთავრდება და კავკასიის, შუა აზიისა და**

გაგრძელება A2 გვერდზე



*პრეზიდენტები.*

# სახალხო დამცველი პოლიციელების დასჯას ითხოვს

*დღეს საქართველოს პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშს მოისმენს. სოზარ სუბარის დაპირებით, თავის მოხსენებაში იგი განსაკუთრებულ ადგილს დაუთმობს იმ გახმაურებულ საქმეებს, რომლებიც ომბუდსმენის აპარატმა შეისწავლა და საკმაოდ მნიშვნელოვანი დარღვევებიც აღმოაჩინა. მეტიც, სოზარ სუბარი საკანონმდებლო ორგანოს იმ პირთა დასჯის რეკომენდაციებითაც მიმართავს, რომელთა დანაშაული ამა თუ იმ საქმეში აშკარად გამოკვეთილია. სახალხო დამცველი თავის ანგარიშში ძირითად აქცენტს სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე გააკეთებს.*

გაგრძელება A4 გვერდზე



*რობაქიძის მკვლელობაში ბრალდებულ პატრულს ომბუდსმენი ცრუ ჩვენების მიცემაში ადანაშაულებს.*

# გადაფრენა

B

## იდეალური გუნდის თეორია



*მამუკა ხაზარაძის ბიზნესისტორია.*

# სპრინტერი პარლამენტარები

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის რიგგარეშე სესიის პირველი დღე სპრინტერული გამოდგა: გუშინდელი დღის წესრიგი დეპუტატებმა საათსა და 15 წუთში ამოწურეს. პარლამენტარებმა 20-ზე მეტი კანონპროექტი ისე განიხილეს, რომ მომხსენებლებისთვის ერთი შეკითხვაც კი არ დაუსვამთ. შენიშვნების გამოთქმაზე ან ალტერნატიული წინადადებების დაყენებაზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია.

სამაგიეროდ, კანონმდებლები არნახულად გააქტიურდნენ, როდესაც მასმედიის მუშაობისა და ოპოზიციის ქმედებების შეფასებაზე მიდგა საქმე. დეპუტატ ვახტანგ ბალავაძის მტკიცებით, ოპოზიცია არაეთიკურად და უზნეოდ იქცევა, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების წინააღმდეგ ყოველგვარი წესის დარღვევით ილაშქრებს.

**„ოპოზიცია ჭორიკანა დედაკაცებივით იქცევა. ასე მხოლოდ იმ დედაკაცების საუბარი წარმომიდგენია, რომლებიც ორღობეში სხედან და გამუდმებით ჭორაობენ. ყველაფერს აქვს თავისი წესი, მათ შორის, ოპონირებასაც. ჩემთვის გაუგებარია, სად და როგორ დაუგროვდა ამდენი გესლი და ღვარძლი ოპოზიციას უმრავლესობის მიმართ,"** - აღშფოთებულია ბალავაძე. იგი გამოდის „ინიციატივით", შევიდეს ცვლილებები ეთიკის კოდექსში და მასში ჩაიწეროს, რომ „ჭორიკანა დეპუტატმა მამაკაცებმა ისეთივე ფორმით იარონ, როგორითაც ჭორიკანა დედაკაცები დადიან".

აღნიშნული განცხადების საფუძვლად ვახტანგ ბალავაძემ ტელეკომპანია „იმედის" ეთერში ოპოზიციის განცხადებები დაასახელა. თუმცა, დეპუტატი იმაშიც ღრმად არის დარწმუნებული, რომ მისი ეს გამოსვლა ოპოზიციის ქმედებებში ვერაფერს შეცვლის.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ავიდეთ ეთნოგრაფიულში?!

## „არტ-გენი" დაიწყო

სოფო კილასონია

ტრადიციული ხელოვნების მოყვარულთ უკვე მესამედ გვეძახიან თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. თუმცა, ის, რაც „არტ-გენში" გვხიბლავს, სწორედ ის ნაზავია, რომელშიც ტრადიცია ჩვენსავე თანამედროვეობას ერწყმის. ოღონდ იქ არასდროს არაფერი არ არის ყალბი და გამოგონილი, იქ არასდროს არ გვხვდება რაიმე უცხო და უხეში. ქალაქში, რომელშიც სულ რამდენიმე წლის წინ არტ-მოვლენები პრაქტიკულად არ არსებობდა, დღეს ფესტივალების ცნება სულაც აღარ ასოცირდება განსაკუთრებულ მოვლენასთან და სახალხო ზეიმთან, ყოველი მეორე ღონისძიება ფესტივალად ინათლება და ეს არც არავის უკვირს. თუმცა ამგვარ კრიტიკულ პასაჟებს „არტ-გენი" ჩვენი მხრიდან არავითარ შემთხვევაში არ იმსახურებს. თუ თქვენ შარშანდელ ფესტივალზე არ ყოფილხართ ღია ცის ქვეშ მუზეუმში და გათენებამდე იქ გაკიდულ ჰამაკებში არ გინებივრიათ, გაგიმხელთ, რომ ჯერ არც ერთ წელიწადს ზაფხულსა და სიცხეში თბილისელ ახალგაზრდებს ასე ლამაზად და საინტერესოდ არ გაუტარებიათ დღეები, როგორც მაშინ და არც ამაშია რამე გასაკვირი. უკვე ფაქტია, რომ ფესტივალის ორგანიზატორთა მიზნები შედეგებად იქცა. „არტ-გენი" არ გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ ხალხური ცეკვისა და სიმღერის კვირეული. სულაც არა. მათ ალბათ ყველაზე უკეთ გაიაზრეს ფოლკლორის მრავალფეროვნება და ის, რომ არაფერია სიცოცხლისუნარიანი და შედეგიანი, თუ თავად მოვლენა დღევანდელ დღესა და დღევანდელ პუბლიკასთან არ არის დაკავშირებული.

ზუმბა ანუ ზაზა კორინთელი ყოველთვის სადად და ზუსტად ამბობს სათქმელს. „არტ-გენი" არ არის სამუზეუმო ხელოვნების ზეიმი. ის ხიდია, თაობებსა და ტრადიცია-თანამედროვეობას შორის გადებული.

გაგრძელება A8 გვერდზე

# ლიბანი კვლავ ბლოკადაშია

## ისრაელი ორ ფრონტზე იბრძვის

თეა მაისურაძე

„ჰეზბოლას" მიერ ისრაელი-ლიბანის საზღვარზე განხორციელებულმა სამხედრო მოქმედებებმა ებრაელთა საპასუხო ქმედებები გამოიწვია.

გუშინ ისრაელმა იერიში მიიტანა ლიბანის აეროპორტზე. სამი რაკეტის აფეთქების შემდეგ ლიბანი სრულ ვაკუუმში მოექცა. ბეირუთის სამხრეთით მდებარე აეროპორტი, რომელსაც „ჰეზბოლა" აკონტროლებს, დაიხურა და, შესაბამისად, ყველა რეისი გადაიდო. ისრაელის სახელმწიფოს ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული აეროპორტი „ჰეზბოლას" ტერორისტების მიერ მხოლოდ იარაღისა და შესაბამისი აღჭურვილობის გადასატანად გამოიყენებოდა, რაც ტერორიზმის საფრთხეს უფრო ზრდის.

ბეირუთის აეროპორტი, რომელიც ლიბანის სამოქალაქო ომის შემდეგ აღადგინეს, ლიბანელი ხალხის ეროვნული სიამაყის სიმბოლოს წარმოადგენს.

ისრაელიანმა სამხედროებმა ლიბანის ტელევიზიასაც შეუტიეს, რომელსაც „ჰეზბოლას" სამხედრო ჯგუფი ხელმძღვანელობს. ისრაელის განცხადებით, მან ლიბანის საჰაერო და საზღვაო ბლოკადა მოახდინა.

შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს „ჰეზბოლას" დაჯგუფების მიერ ისრაელი-ლიბანის საზღვარზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად 8 ებრაელი ჯარისკაცი დაიღუპა, ხოლო 2 დაიჭრა. ამასთანავე, შიიტი სამხედროების მიერ 2 ებრაელი სამხედრო იქნა დატყვევებული.

ისრაელის მიერ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ტერორისტები აღნიშნავდნენ, რომ ტყვეთა გათავისუფლება მხოლოდ მხარეებს შორის მოლაპარაკებების შედეგად უნდა მომხდარიყო. „ჰეზბოლას" დაჯგუფების წარმომადგენლები ებრაელებისაგან ლიბანელი პატიმრების გათავისუფლებას მოითხოვდნენ. მოლაპარაკებების სანაცვლოდ ისრაელმა საბრძოლო მოქმედებები დაიწყო და ბოლო 6 წლის განმავლობაში პირველად გაგზავნა ქვეითი ჯარი ლიბანი-ისრაელის საზღვართან. ისრაელის ოფიციალური პირების განცხადებით, უნდა მოხდეს ლიბანში არსებული ტერორისტული დაჯგუფების ნეიტრალიზება. ისრაელმა ლიბანში მეორე ფრონტი გახსნა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## პარლამენტი სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ დადგენილების პროექტს ამზადებს

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებით, საქართველოს პარლამენტი საქართველოში არსებული კონფლიქტური ზონებიდან რუსი სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ სპეციალური დადგენილების პროექტს ამზადებს.

თარგამაძის განცხადებით, საქართველოს პარლამენტის წევრები მიიჩნევენ, რომ სიტუაცია ძალიან გამწვავებულია და ამდენად, დადგენილებით გათვალისწინებული მთავრობის მოხსენებისა და ანგარიშის მოსმენა კონფლიქტის ზონებში რუსი სამშვიდობო ძალების ქმედებებთან დაკავშირებით საჭირო აღარ არის.

გივი თარგამაძის განცხადებით, დადგენილებაში ჩაიწერება, რომ მთავრობა საქართველოში არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში რუსი სამშვიდობო ძალების ჩასანაცვლებლად სხვა კონტინგენტის შეყვანაზე იმუშავებს, თუმცა რუსი სამშვიდო ძალების გაყვანისა და სხვა ქვეყნის ჯარების შეყვანის პროცედურა თანადროული არ იქნება.

„რუსმა სამშვიდობო ძალებმა კონფლიქტის ზონები უნდა დატოვონ, რადგან ისინი რეალურად ხელს უშლიან საქართველოს ხელისუფლების მიერ განსახორციელებელ სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობას,“ - განაცხადა გივი თარგამაძემ.

*ინტერპრესნიუსი*

## სერგეი ივანოვი რუს სამშვიდობოებს არავის დააჩაგვრინებს

„სამხრეთ ოსეთში, ქართული მხარის მიერ პროვოკაციების მოწყობის შემთხვევაში, რუსეთი საკუთარი სამშვიდობოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაჩაგვრის უფლებას არავის მისცემს,“ - ამის შესახებ ვოლგოგრადში მყოფმა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა სააგენტო „ინტერფაქსის“ ჟურნალისტთან საუბარში განაცხადა.

„ჩვენ საკუთარ სამშვიდობოებს არავის დავაჩაგვრინებთ,“ - აცხადებს სერგეი ივანოვი და დასძენს, რომ ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის ფაქტი, რომ „სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 90 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა“.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი ვოლგოგრადში მოტომსროლელთა მე-20 დივიზიის შტაბის სამუშაო შეხვედრაში იღებს მონაწილეობას.

*ინტერპრესნიუსი*

## „ძლიერი მრავალხმრივობის გეგმა“ „დიდი რვიანის“ სამიტისთვის

### დიდი ბრიტანეთი „დიდი რვიანის“ გაფართოებას ითხოვს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი „დიდ რვიანში“ ხუთი წამყვანი განვითარებადი ქვეყნის მიღების ინიციატივით გამოდის.

გავლენიანი ბრიტანული გაზეთის „Guardian“ ინფორმაციით, ბლერი „დიდ რვიანში“ ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკისა და მექსიკის მიღებაზე საუბრობს. რადგანაც, „ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა გლობალური ვაჭრობის სფეროში“.

გამოცემა იუწყება, რომ „დიდი რვიანის“ სამიტზე სანკტ-პეტერბურგში ტონი ბლერი წარადგენს ე.წ. „ძლიერი მრავალმხრივობის“ გეგმას და შეეცდება, დაარწმუნოს სამიტის მონაწილეები ევროპასთან მეტი თანამშრომლობისა და მასთან ინტეგრაციის აუცილებლობაში.

**„ჩვენ ვერ შევძლებთ კლიმატის გლობალურ ცვლელებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას, თუ არ გვექნება შეთანხმება ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა აშშ, ჩინეთი და ინდოეთი,“** - აღნიშნავს ბრიტანეთის პრემიერი „Guardian“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკისა და მექსიკის სახელმწიფოს ლიდერები მონაწილეობას მიიღებენ „ძირითადი სამიტის ფარგლებს მიღმა“ გამართულ სხდომებში. თუმცა, ვაჭრობის საკითხებზე გამართულ მოლაპარაკებებში ძირითადი ქვეყნები ბრაზილია და ინდოეთი იქნება.

ტონი ბლერი ასევე ირანის საკითხსაც შეეხო და მას „ლაკმუსის ქაღალდი“ და „გლობალური საფრთხე“ უწოდა. მისი განცხადებით, თუ „დიდი რვიანი“ ირანთან დაკავშირებით ერთიანი ხაზის შემუშავებას ვერ მოახერხებს, ეს „დიდი რვიანის“ დისკრედიტაციას გამოიწვევს.

გარდა ამისა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ „დიდი რვიანის“ სამიტზე პუტინი გვერდს ვერ აუვლის მისი მისამართით კრიტიკას რუსეთის დემოკრატიული განვითარების გზიდან აცდენის შესახებ. თუმცა, ოფიციალურ ლონდონს ისიც კარგად ესმის, რომ ირანის პრობლემის გადაჭრაში რუსეთთან დასავლეთის თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბლერის განცხადებით, „დიდი რვიანის“ ქვეყნებმა კარგად უნდა გაიაზრონ, რომ ირანი „ახალი მრავალმხრივობის ტესტია“.

**„თუ ჩვენ ვერ შევიმუშავებთ ერთიან კურსს ირანთან მიმართებაში, რომელიც დღეს გლობალურ გამოწვევად აღიქმება, სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით. ეს საკითხი ჩვენგან ფრთხილ მიდგომას მოითხოვს, რადგან უშუალოდ ემუქრება ჩვენს ეროვნულ ინტერესებსა და საერთოდ ჩვენს ყოფნა-არყოფნას,“** - თქვა ტონი ბლერმა.

სამიტის უმთავრესი საკითხი კი მაინც ენერგოუსაფრთხოება იქნება. ვინაიდან რუსეთი ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა ნავთობისა და ბუნებრივი გაზის რესურსებით, მნიშვნელოვანია მჭიდრო ევროპული თანამშრომლობა და ინტეგრაცია, რათა ამ უპირატესობით რუსეთმა ზედმეტად არ ისარგებლოს.

*24 საათი*

**International School of Economics**

**მიიღეთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლება!**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ინგლისურენოვანი მაგისტრატურა.

საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკის, BP-ს, SIDA-ს, და სხვა დონორების დახმარებით სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია.

სასწავლო პროცესს წარმართავენ დასავლეთის ცნობილი უნივერსიტეტების პროფესორები.

იჩქარეთ, საბუთების მიღება 15 ივლისამდე.

მისამართი: თსუ I კორპუსი, ოთახი 220, ტელ. 22 11 17. www.iset.tsu.ge

ღია კარის დღე გაიმართება 11 ივლისს, 17 საათზე, თსუ I კორპუსის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში.

# უფრო მეტი, ვიდრე ნავთობსადენი

პირველი გვერდიდან

**ზოგადად, პოსტ-საბჭოთა სივრცეში თანამშრომლობისა და ურთიერთინტერესების გათვალისწინების ეპოქა იწყება,“** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ნავთობსადენის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე.

საქართველოს პრეზიდენტთან ერთად „დიდი პროექტის“ ოფიციალურ პრეზენტაციას თურქეთისა და აზერბაიჯანის პირველი პირები და 32 ქვეყნის დელეგაციები დაესწრნენ.

სამივე ქვეყნის პრეზიდენტი და ცერემონიალის სხვა სტუმრები ერთხმად აღიარებენ, რომ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიკური პროექტი. ამას საკუთარ სიტყვაში ხაზი გაუსვა საქართველოს პრეზიდენტმაც.

**„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიკური ან თუნდაც მხოლოდ პოლიტიკური, ენერგეტიკული პროექტი. ეს არის ისტორიული მნიშვნელობის წინაპირობა; ჩვენი ქვეყნების თავისუფლების, დამოუკიდებლობის და მომავალი წარმატებების მყარი საფუძველი. ხშირად ამბობენ, რომ საქართველო, ჩემი ქვეყანა არის დერეფანი. მინდა სრული კატეგორიულობით განვაცხადო, რომ საქართველო არ არის არანაირი დერეფანი და საერთოდ დერეფნის ცნება ჩემთვის მიუღებელია. დერეფანი კედლების არსებობას გულისხმობს. რა ფართოც არ უნდა იყოს დერეფანი, ის მაინც შეზღუდული სივრცეა. ის კი, რაც დღეს აქ ხდება, სხვა რამეა. ჩვენ შევქმენით არა დერეფნები და ტერმინალები, არამედ ერთი დიდი სივრცე. ჩვენ შევქმენით ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის, ურთიერთგაგების, მეგობრობის ერთი დიდი სივრცე,“** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი საქართველოს ეკონომიკურ თანამშრომლობას თურქეთთან.

**„საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიის მიხედვით, ქართველებისთვის თურქეთი მტერი იყო. დღეს ეს იდეოლოგია საბოლოოდ დაიმსხვრა. რამდენიმე წელიწადში თურქეთის თანმიმდევრულმა, მეგობრულმა, ძმურმა დამოკიდებულებამ მთლიანად გაანადგურა საბჭოთა იდეოლოგების მრავალი წლის ნამუშევარი. დღეს თურქეთი საქართველოსთვის უმთავრესი პარტნიორი და დიდი მეგობარია. საქართველო და თურქეთი დღეს დიდი თანამშრომლობის ეტაპზე არიან. თურქეთი სწრაფად ხდება საქართველოს სავაჭრო პარტნიორი, იგი საქართველოში პირველი ინვესტორი ქვეყანა ხდება,“** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის თქმით, ნავთობსადენი ეკონომიკურ სარგებელთან ერთად რეგიონის უსაფრთხოების ხარისხსაც გაზრდის. ალიევმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ნავთობსადენის გაყვანა, რეგიონის გეოგრაფიული რელიეფის სირთულის მიუხედავად, მაინც მოხერხდა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“ საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის პირველი ერთობლივი პროექტია და ამ ქვეყნებს ერთად კიდევ რამდენიმე პროექტი აქვთ შესასრულებელი.

**„ეს სხვა მნიშვნელოვანი პროექტების დასაწყისია. სამ ქვეყანას ერთად კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი,“** - განაცხადა ილჰამ ალიევმა.

**„ეს არის იმის დემონსტრირება, რომ გასული 12 წლის მანძილზე ათასობით ადამიანის ძალისხმევის შედეგად, ჩვენ შევძელით, რეალობად გვექცია პროექტი, რომელსაც ბევრი „შეუძლებლად“ მიიჩნევდა,“** - აცხადებს BP-აზერბაიჯანის ასოცირებული პრეზიდენტი დევიდ ვუდვორდი.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ოპერატორის - კომპანია BP-ის მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა ლორდ ბრაუნმა აღნიშნა, რომ **„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედება ნავთობის ინდუსტრიის ხანგრძლივი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. ნავთობსადენის მეშვეობით, პირველად ამ ათასწლეულში, ხორციელდება კასპიის აუზის ნავთობის მარაგების რეინტეგრაცია საერთაშორისო ბაზრებთან,“** - განაცხადა მან.

საზეიმო შეხვედრას სიმბოლიკის გარეშე არ ჩაუვლია - სამი ქვეყნის პრეზიდენტმა ნავთობსადენის მშენებელი კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად მაკეტზე სიმბოლური მილი ააგეს, რომელიც აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს აკავშირებს.

„საუკუნის პროექტის“ გახსნის გუშინდელ ცერემონიალს რუსული პრესაც გამოეხმაურა. სააგენტო „პრაიმ-ტაიმის“ ინფორმაციით, მიპატიჟების მიუხედავად, რუსეთის მხარეს საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღია. როგორც სააგენტო წერს, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთის პოზიციას გაგებით ეკიდებიან, რადგან ეს ქვეყანა „დიდი რვიანის“ სამიტისთვის ემზადება და მთლიანად ამ მოვლენაზეა კონცენტრირებული.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის სიგრძე 1767 კილომეტრია, რომელთაგან 1076 კილომეტრი თურქეთის ტერიტორიაზე გადის. ნავთობსადენი გათვლილია 50 მილიონი ტონა კასპიური ნავთობის ტრანსპორტირებაზე. პროექტის ღირებულებამ 4 მილიარდი დოლარი შეადგინა.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ აქციონერები არიან ბრიტანული British Petroleum (30,1 პროცენტი), აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობ-კომპანია - AzBTC (25 პროცენტი), Chevron (8,90 პროცენტი) და Statoil (8,71 პროცენტი), TPAO (6,53 პროცენტი), Eni (5.00 პროცენტი), Itochu (3,40 პროცენტი), INPEX (2,50 პროცენტი), ConocoPhillips (2,50 პროცენტი) და Amerada Hess (2,36 პროცენტი). ნავთობსადენის სრული დატვირთვით ამუშავება 2008 წლისთვის გახდება შესაძლებელი. „საუკუნის პროექტში“ პირველმა ნავთობმა 4 ივნისს გაიარა.

*24 საათი*

# სპრინტერი პარლამენტარები

პირველი გვერდიდან

ვახტანგ ბალავაძეს გუშინ რატი სამყურაშვილმაც აუბა მხარი. საპარლამენტო უმრავლესობის კრიტიკის სამიზნე ტელეკომპანია „იმედი“ აღმოჩნდა. მან ტელეკომპანიას პოზიცია დაუწუნა და რამდენიმე რეკომენდაცია მისცა. რატი სამყურაშვილის აზრით, უკეთესი იქნება, თუ სამაუწყებლო საშუალებას, „იმედის“ ნაცვლად, „უიმედობა“ დაერქმევა, ხოლო საინფორმაციო პროგრამა „ქრონიკას“ - „კრიმინალური ქრონიკა“.

მართალია, ოპოზიცია პარლამენტის სხდომებს არ ესწრება და უმრავლესობის წევრებს სხდომათა დარბაზში პოლემიკას ვერ უმართავს, მაგრამ სახელისუფლებო ფრაქციის წევრთა გუშინდელი გამოსვლები უპასუხოდ მაინც არ დაუტოვებია.

ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარის მოადგილის დავით ზურაბიშვილის თქმით, თუ ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკას“ „კრიმინალური ქრონიკა“ უნდა ერქვას, მაშინ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გადაცემა „კურიერი“ „მებრძოლი გუშაგი“ ან საბჭოთა მილიციის საინფორმაციო გამოშვება უნდა იყოს.

ზურაბიშვილს საკუთარი ვერსია აქვს იმაზეც, თუ რატომ მოახდინა საპარლამენტო უმრავლესობამ ასეთი რეაქცია ოპოზიციის მიერ ტელეეთერში გაკეთებულ განცხადებებზე. **„პრეზიდენტი ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, შეკრიბა თავისი ლაშქარი და დაარიგა - რა უნდა ეთქვათ და როგორ უნდა ესაუბრათ, რომ ოპოზიციაზე ცუდი უნდა ელაპარაკათ. აქამდე საპარლამენტო უმრავლესობას აღშფოთება არ გამოუხატავს, არადა, ინგა გრიგოლიას გადაცემის შემდეგ უკვე ექვსი დღე გავიდა,“** - აცხადებს დავით ზურაბიშვილი.

# ლიბანი კვლავ ბლოკადაშია

პირველი გვერდიდან



ლიბანზე განხორციელებულ თავდასხმას წინ უძღოდა ისრაელის საბრძოლო მოქმედებები ღაზას სექტორში. ებრაელმა სამხედროებმა პალესტინის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაზე მიიტანეს იერიში, რომლის დროსაც 10 ადამიანი დაიღუპა, შესაბამისად დაზიანდა შენობაც.

ისრაელი ლიბანისგან დატყვევებულ პატიმრებზე პასუხისმგებლობის აღებას მოითხოვს და მომხდარს ომის პროვოცირებად აღიქვამს, რასაც ოფიციალური ბეირუთი კატეგორიულად უარყოფს. ისრაელის პრემიერ-მინისტრის, ეუდ ოლმერტის განცხადებით, ლიბანელთა მიერ ებრაელი ჯარისკაცების დატყვევება ომის დაწყებისაკენ მიმართული ქმედებაა. თუმცა, ლიბანის პრემიერ-მინისტრი ფუად სინიორა აცხადებს, რომ მან არაფერი იცოდა „ჰეზბოლას“ დაჯგუფების მიერ განხორციელებულ ამ ოპერაციაზე და, შესაბამისად, არ იღებს პასუხისმგებლობას ებრაელ ჯარისკაცებზე. აეროპორტზე იერიშის მიტანის შემდეგ ისრაელმა თავდასხმა განახორციელა სამხრეთ ლიბანში მდებარე ხიდებზე და გზებზე. დანგრეულია ბევრი ხიდი. მხვერპლთა რაოდენობამ 35-ს მიაღწია.

„ჰეზბოლას“ დაჯგუფებამ საპასუხოდ, ისრაელის საზღვრისპირა ქალაქ ნაჰარიაში რაკეტა ააფეთქა, რასაც 40 წლის ქალი ემსხვერპლა. აღნიშნულ ფაქტს ისრაელის მხარეც ადასტურებს.

შეგახსენებთ, რომ „ჰეზბოლა“ - იგივე „ღმერთის პარტია“, ძლიერ პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელიც შიიტი მუსლიმანებით არის დაკომპლექტებული. „ჰეზბოლა“ 1982 წელს, ისრაელის მიერ ლიბანზე თავდასხმის შემდეგ შეიქმნა და მისი ძირითად მიზანს იმთავითვე ებრაული ოკუპაციის წინააღმდეგ გამოსვლა წარმოადგენდა. „ღმერთის პარტია“ ლიბანის მრავალკონფესიურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზეც ოცნებობდა, თუმცა შემდგომში ეს იდეა უკუგდებულ იქნა. „ჰეზბოლას“ დაჯგუფებისთვის ყველაზე პრიორიტეტულად კვლავ ისრაელის სახელმწიფოს განადგურება რჩება. „ღმერთის პარტიის“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პალესტინა მუსლიმანთა ოკუპირებული მიწაა და ისრაელს არ აქვს საერთაშორისო სისტემაში არსებობის უფლება.

აღსანიშნავია, რომ პარტიას იმთავითვე მხარს უჭერდა ირანის სახელმწიფო და მას ფულითა და საბრძოლო ტექნიკით ამარაგებდა.

ტერორისტულმა დაჯგუფებამ, რომელმაც დაფინანსება ირანიდან მიიღო, დაიწყო ბრძოლა იმისათვის, რომ ისრაელს თავისი ჯარები გაეყვანა ლიბანიდან.

2000 წელს, პარტიის სამხედრო შეიარაღების წყალობით, ეს მიზანი მიღწეულ იქნა. ამის საფუძველზე, „ჰეზბოლამ“ ლიბანელი მოსახლეობის დიდი ნაწილის სიმპათია და პატივისცემა დაიმსახურა. დღესდღეობით, ამ პარტიას ლიბანის პარლამენტში მნიშვნელოვანი ძალაუფლება გააჩნია, მას დიდი მხარადჭერა აქვს ხალხის ფართო ფენებიდან და ამავდროულად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასვე ეკუთვნის ლიბანში მეტად გავლენიანი ტელევიზია ალ-მანარი.

საყურადღებოა, რომ დღესდღეობით „ჰეზბოლა“ უარს ამბობს დემილიტარიზაციაზე, რასაც გაერო დაბეჯითებით მოითხოვს. ლიბანიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შემდეგ ვარაუდობდნენ, რომ „ჰეზბოლა“ თავის სამხედრო არმიას ლიბანის სამხედრო არმიას შეუერთებდა და „ღმერთის პარტია“ ფოკუსირებას ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე მოახდენდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა და დღემდე „ჰეზბოლა“ თავის თავს განსაზღვრავს, როგორც არა მარტო ლიბანის, არამედ მთელი რეგიონის წინააღმდეგობრივ ძალას.

ისრაელისა და პალესტინის მხარეებს შორის დაძაბულობას შება ფარმის სახელით ცნობილი ტერიტორიაც ართულებს, რომელსაც ლიბანი თავის მიერ ოკუპირებულად მიიჩნევს, ხოლო გაერო-ს მიერ „გამომცხვარი“ ისრაელი კი გოლა ჰეიგტის, იმ ტერიტორიის ნაწილად განიხილავს, რომლის ოკუპირებაც ისრაელმა 1967 წელს მოახდინა.

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში „ჰეზბოლას“ მშვიდობის საწინააღმდეგოდ მიმართულ ტერორისტულ დაჯგუფებად მიიჩნევს. მისი განცხადებით, ისრაელმა თავისი ინტერესები უნდა დაიცვას, თუმცა მისი მოქმედებები არ უნდა იყოს მიმართული ლიბანის სახელმწიფოს დასუსტებისაკენ.

საყურადღებოა, რომ საფრანგეთი და რუსეთი გმობენ ისრაელის მიერ ლიბანის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას.

ამრიგად, ისრაელისა და ლიბანის კონფლიქტის ისტორია 1982 წლიდან იწყება. ისრაელმა ლიბანის წინააღმდეგ ბოლო შეტევა 1996 წელს განახორციელა, რასაც 150 ლიბანელი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა.

## მოკლედ

### ლავროვს კონფლიქტის ზონასთან სამხედრო ბაზის მშენებლობა აეჭვებს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, მას იმედი აქვს, რომ რეალობას არ შეესაბამება გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას აპირებს. თუმცა, მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი ნაბიჯი ეჭვს იწვევს. კერძოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის გაუგებარია, თუ რატომ აშენებს საქართველოს ხელისუფლება სამხედრო ბაზას კონფლიქტის ზონასთან ახლოს და რატომ ხდება ხშირი როტაცია ქართულ სამშვიდობო ბატალიონში. ლავროვის განმარტებით, საკუთარ ეჭვებს რუსეთი რეგულარულად უზიარებს საქართველოს ხელისუფლებას და იმედი აქვს, რომ „სიგნალები სწორად იქნება გაგებული“. **მედიანიუსი**

### რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს ატარებს

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის შეიარაღებული ძალები ფართომასშტაბიან წვრთნებს იწყებენ.

მასში მონაწილეობას 6000-მდე სამხედრო მოსამსახურე მიიღებს. მანევრებში მონაწილეობენ რუსეთის 58-ე არმიის, მე-4 არმიის ნაწილები და 76-ე საჰაერო სადესანტო დივიზია. ასევე საბრძოლო სწავლებაში ჩართული იქნება 30 ტანკი, 190 ჯავშანტრანსპორტიორი, 30 საარტილერიო დანადგარი, 20 სამხედრო თვითმფრინავი და 10 ვერტმფრენი. ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრები ჩრდილოეთ ოსეთის, ინგუშეთის და სტავროპოლის მხარის ტერიტორიაზე გაიმართება. რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებით, მანევრების მთავარი მიზანი ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდების დახვეწაა. **მედიანიუსი**

### ბურჯანაძის გამოსვლას „უკიდურესად ანტირუსული“ უწოდეს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი მიხეილ კამინინი გაერო-ს უშიშროების საბჭოზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გამოსვლას უკიდურესად „ანტირუსულს“ უწოდებს. კამინინის განცხადებით, ნინო ბურჯანაძის გამოსვლა პირდაპირი თავდასხმა იყო რუსეთსა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებულ სამშვიდობოებზე.

„სამწუხაროდ, კონფლიქტის მოუგვარებლობის რუსეთზე გადაბრალება არის ხერხი, რომელსაც ბოლო დროს თბილისში პოლიტიკოსები ხშირად მიმართავენ,“ - აცხადებს კამინინი სააგენტო „იტარ-ტასთან“ საუბარში. მისი აზრით, თბილისის ამგვარი ქმედება „პასუხისმგებლობისგან გაქცევად“ შეიძლება შეფასდეს.

მიხეილ კამინინი ხაზს უსვამს აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსი სამშვიდობოების ყოფნის მნიშვნელობას და აცხადებს, რომ უკანასკნელ პერიოდში კონფლიქტის ზონაში, განსაკუთრებით კი გალის რაიონში დანაშაულებისა და სამართალდარღვევათა რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო. ამის მიზეზი, რუსი დიპლომატის თქმით, სწორედ სამშვიდობოების მოქმედებაა. კამინინის აზრით, იმისთვის, რათა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ჰქონდეს ობიექტური და დაბალანსებული ინფორმაცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენებზე, მან ორივე მხარეს უნდა მოუსმინოს. შესაბამისად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, ნიუ-იორკში აფხაზურ მხარესაც უნდა მიეცეს პრობლემის გაშუქების შესაძლებლობა. **ინტერპრესნიუსი**

### ცხინვალში სამხედრო ოპერაციას 15 ივლისს ელიან

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივნის ოლეგ ალბოროვის მკვლელობასთან და სანკტ-პეტერბურგში დიდი რვიანის სამიტის 15 ივლისს გახსნასთან დაკავშირებით, დე-ფაქტო რესპუბლიკაში უსაფრთხოების გაძლიერებული ზომებია მიღებული. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ საქართველომ ოლეგ ალბოროვის მკვლელობით სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ლიკვიდაცია დაიწყო.

„ქართულ მხარეს დიდი რვიანის სამიტისათვის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების აფეთქება სურს და იმედოვნებს, რომ ამ ვითარებაში რვიანის ქვეყნები რუსეთზე ზეწოლას განახორციელებენ,“ - განაცხადა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ცხინვალში საზოგადოებასთან გამართულ შეხვედრაზე. კოკოითმა შეახსენა საზოგადოებას, რომ კავკასიაში სტაბილურობისა და კავკასიელ ხალხთა გაერთიანების მთავარი გარანტი რუსეთია.

რუსეთში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი დმიტრი მედოევი ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთში სამხედრო ოპერაციის დაწყებისათვის ქართული მხარე 28-30 ათასი ჯარისკაცის მობილიზებას გეგმავს. ოპერაციის წარმოებისათვის კონფლიქტის ზონიდან სულ რაღაც 26 კილომეტრში დაჩქარებული ტემპებით ნატო-ს სტანდარტებით სამხედრო ბაზა შენდება. მისივე მტკიცებით, ქართულმა მხრემ სამხრეთ ოსეთში სამხედრო ოპერაციის დასაწყებად, ჩეჩნეთში, დაღესტანსა და მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფებებისათვის იარაღის მისაწოდებლად ეგვიპტეში 90 ათასი ავტომატი კალაშნიკოვი შეიძინა. მედოევი დარწმუნებულია, რომ თბილისი სამხედრო ოპერაციას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დიდი რვიანის სამიტის დაწყებამდე, სავარაუდოდ 15 ივლისს დაიწყებს. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# სტერეოტიპი უნდა დაინგრეს!

თამაზ კვაჭანტირაძე

ამასწინათ თბილისის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დაარსებიდან მეათე წლისთავი იზეიმა. საპატიო სტუმართა შორის სხვებთან ერთად მეც მიმიწვიეს, სიტუაციის შესაფერისად იყო მილოცვები და სახოტბო სიტყვები - რა კარგი და მამულიშვილური საქმე გაკეთდა ამ უნივერსიტეტის გახსნითო. ამნაირების გამგონე ელდარ შენგელაიამ ჯერ მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით გადმომხედა და მერე საჯაროდ განაცხადა - ახლა კი გულუხვად ვარიგებთ ამ საქმისთვის საქებარ ეპითეტებს, მაგრამ მაშინდელ განათლების მინისტრსაც ვკითხოთ, რა ცილისწამების, ბრალდებებისა და შეურაცხყოფის ფასად დაუჯდა მას ამ უნივერსიტეტისათვის ლიცენზიის გაცემაო.

მეც მომიწია გამოსვლა, მაგრამ შეუფერებლად მივიჩნიე საზეიმო შეხვედრაზე იმ უსიამოვნო პერიპეტიებზე მესაუბრა, რაც ამ უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით თავს დაგვატეხეს თურქეთთან, ამ ჩვენს დიდ მეზობელთან, კულტურულ-საგანმანათლებლო კონტაქტების მოწინააღმდეგეებმა. არადა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაარსების ისტორია უფრო წვრილად არის გასახსენებელი, რათა ისტორიული „სკლეროზისაგან“ დავიცვათ ჩვენი საზოგადოება: ზოგ-ზოგები, ახლა რომ დიდმოხელის, ელჩისა თუ სახალხო დამცველის მანტია წამოისხეს და ნატოსთან ინტეგრაციის თავგადაკლულ მომხრეებად მოგვევლინენ, მაშინ სწორედ ნატოს წევრ ქვეყანასთან საგანმანათლებლო კონტაქტებს ეწინააღმდეგებოდნენ პირგამეხებულნი.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ამ ათიოდე წლის წინ დაარსდა, მე კი 1993-98 წლებში საქართველოს განათლების მინისტრი გახლდით და, ცხადია, ვმონაწილეობდი ამ უნივერსიტეტისა და, საერთოდ, ახალი დროის საქართველო-თურქეთის კულტურულ-საგანმანათლებლო კონტაქტების საფუძვლის ჩაყრაში.

ახალი დროისა-მეთქი, ხაზს ვუსვამ, და, აი, რატომ:

მოგეხსენებათ, თითქმის ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს არ ჰქონია საშუალება, დამოუკიდებელი პოლიტიკა გაეტარებინა თავის ისტორიულ მეზობელთან - თურქეთთან: 1801 წლიდან მოკიდებული, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, საქართველო რუსეთის იმპერიის (ჯერ - ცარისტულის, შემდეგ კი - კომუნისტური) ნაწილს წარმოადგენდა, ეს იმპერია კი მხოლოდ თავისი პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით არეგულირებდა ურთიერთობას მეზობლებთან - მათ შორის ოთომანთა იმპერიასთან და, შემდგომ, მის პოლიტიკურ სამართალმემკვიდრესთან, თურქეთის რესპუბლიკასთან. არადა, საქართველო, ვიდრე რუსეთი მას მიიერთებდა, საუკუნეთა მანძილზე ურთიერთობდა თურქეთთან და ეს ურთიერთობა, ცხადია, არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ ასპექტებსაც შეიცავდა. ისიც ამთავითვე სათქმელია, რომ ამ ურთიერთობაში იყო მტრობა-დაპირისპირების უმძიმესი პერიოდები, მაგრამ ყოფილა თანამშრომლობაც და ეს პოზიტიური მხარეც არ უნდა დაგვავიწყდეს.

მოკლედ, ჩვენ არ ვაპირებთ ისტორიის ხელახლა გადაწერას, მაგრამ ისტორიის თანამედროვე წაკითხვა კი ყველას მოგვეთხოვება. ამიტომაც მინდა ამ ჩემი მცირე ისტორიული ექსკურსით მკითხველი თურქეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში შეძლებისდაგვარად დავაკვალიანო:

რუსეთშიც და თურქეთშიც მათი იმპერიული მეტოქეობისას ერთმანეთისაგან იქმნებოდა მტრის ხატი. საქართველოში, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილში, ცხადია, ამგვარივე ხატი ინერგებოდა, მით უფრო, რომ ჩვენი ისტორიის ის უმძიმესი პერიოდები, ზემოთ რომ ვახსენე, ხელს უწყობდა თურქეთისაგან მტრის ხატის ჩანერგვას ჩვენს ცნობიერებაში, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ცხადი გახდა, რომ ბევრი პოლიტიკური სტერეოტიპი არა მარტო უნდა გადაგვესინჯა, არამედ, მეტწილად, კიდეც უნდა დაგვენგრია.

ერთ-ერთი ასეთი პოლიტიკური სტერეოტიპი, იმპერიული წარსულიდან მძიმე მემკვიდრეობით მიღებული, გახლდათ - თურქეთი საქართველოს მტერია. ოცდამეერთე საუკუნის კვირაძალზე ეს ანაქრონიზმად ჟღერდა და, რაც მთავარია, შუა საუკუნეებში გვაბრუნებდა, არადა, არც თურქეთი, არც საქართველო და, რაც მთავარია, უკვე აღარც მთლიანად მსოფლიო აღარ ცხოვრობს შუასაუკუნებრივი ცხოვრების წესით... პოლიტიკური აზროვნების წესით კი, არცთუ იშვიათად, ზოგიერთები დღესაც XV-XVIII საუკუნეებში არიან ჩარჩენილები.

საქართველოს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, უნდა აღედგინა თავისი ისტორიული ფუნქცია ევრაზიის „დერეფნის“ ქვეყნისა, რომელზედაც „საუკუნის პროექტის“ მიხედვით გაივლიდა გიგანტური ნავთობ და გაზსადენები აღმოსავლეთიდან დასავლეთში. ეს ახალ პრობლემურ ამოცანას უყენებდა ჩვენს განათლების სისტემასაც, ვინაიდან საქართველოს გადაქცევა ერთგვარ „სატრანზიტო ქვეყნად“ სამომავლო პერსპექტივას მარტო ვარდისფრად როდი გვიხატავდა - უნდა გაგვეთვალისწინებინა ამ მოვლენის ჩრდილოვანი მხარეებიც, კერძოდ: ნაირგვარ კულტურებთან, რელიგიებთან, ენებთან გაცხოველებული კონტაქტებისა და კონკურენციის პირობებში შეიძლებოდა საფრთხე დამუქრებოდა ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას და, აქედან გამომდინარე, ჩვენს სახელმწიფოებრიობასაც.

რით შეიძლებოდა ამას წინ აღვდგომოდით;

ამ საკითხში ძირითადად ორი პოზიცია გამოიკვეთა: პირობითად მე ამას „ღია“ და „დახშული კარის“ პოლიტიკას დავარქმევდი. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ მეზობლებთან - განსაკუთრებით, დიდსა და, ისტორიული გამოცდილებით, რთულად სამეზობლო სახელმწიფოებთან - საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტები უნდა შეეზღუდა, მეორენი - პირიქით, კონტაქტები უნდა გავაფართოოთო. როცა ამას, ყველაფერს, ქვეყნის უსაფრთხოება უძევს საფუძვლად, შეიძლებოდა, ორივე პოზიციის არგუმენტები ცალ-ცალკე დასაბუთებულადაც მოგვჩვენებოდა, მაგრამ აქ, ჩემი აზრით, გასათვალისწინებელი გახლდათ ერთი გარემოება: საბჭოური სპეცსამსახურების ძველი კადრები იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ჩვენი ნედლი სახელმწიფოს უშიშროების ორგანოებში, მათ კი ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი რწმენის რანგში აყვანილი დოგმა: საქართველო უნდა დარჩენილიყო რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე! აი, აქ უნდა მომხდარიყო გარღვევა და გასული საუკუნის ბოლოს დამოუკიდებელ საქართველოს უნდა დაეძლია ეს სტერეოტიპი. ხელისუფლებამ საამისოდ მაშინ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, დსთ-ში საქართველოს შესვლით (ქართველებს ერთი ანდაზა გვაქვს: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“ - რომ არ ჩავთრევინებოდით, ამიტომ ჩავეყოლიეთ რუსეთს დსთ-ში!) ფორმალურად ჩვენ დავრჩით რუსეთის ორბიტაზე, თორემ ეკონომიკური კავშირებით, ინვესტიციებითა და ვაჭრობის მოცულობით თურქეთმა ჩვენთვის უპირველესი პარტნიორის მდგომარეობა დაიკავა. ოღონდ, აქ ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი გახლავთ გასათვალისწინებელი: თურქეთთან კავშირები ჩვენთვის მხოლოდ ერთ კონკრეტულ ქვეყანასთან დაახლოებას როდი ნიშნავდა. ეს აღიქმებოდა მთელ ევროპასთან, ნატოსთან, ამერიკასთან და, საერთოდ, დასავლეთთან ინტეგრაციად, ყოველ შემთხვევაში, ამ ინტეგრაციისათვის აუცილებელ პირველ ეტაპად, ყველაზე რეალურ და, გეოფიზიკური თუ ისტორიული თვალსაზრისით, უმოკლეს გზად ევროპაში დასაბრუნებლად: გავიხსენოთ, რომ ისტორიულადაც ჩვენი „ფანჯარა“ ევროპაში კონსტანტინოპოლიდან იყო „გაჭრილი“.

მართალია, მაშინდელი კონსტანტინოპოლი - როგორც აღმოსავლური ქრისტიანობის ბურჯი - პირველ ყოვლისა, რელიგიურ საფუძველზე გადებული პოლიტიკური ხიდი იყო ჩვენთვის ევროპასთან, მაგრამ სამოქალაქო ღირებულებებზე აწყობილ თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკას ასევე შეეძლო ეთამაშა საქართველოსთვის დასავლეთში დასაბრუნებელი „ჭიშკრის“ როლი.

მეტყვით, რა საჭირო იყო ახალი „ფანჯრისა“ თუ „ჭიშკრის“ ძიება, როცა რუსეთის - ამ უზარმაზარი ევროპული ქვეყნის - საშუალებით „ალაყაფის კარით“ მოხვდებოდით ევროპაშიო... სხვათა შორის, ერეკლე მეორის არჩევანი ერთმორწმუნე რუსეთის სასარგებლოდ ამ იმედითაც იკვებებოდა - ჩრდილოეთიდან, შემოვლითი გზით, თითქოს დასავლეთს ვუბრუნდებოდით! თავისი შინაგანი ლოგიკით ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ რუსეთის ტრადიციულმა იმპერიულმა ამბიციებმა პლუს კომუნისტურმა იდეოლოგიამ მარტო პეტრეს მიერ ევროპაში გაჭრილ სარკმელს კი არა, მთელ ევრაზიის კონტინენტს - მეტიც ითქმის, მთელ მსოფლიოს - „რკინის ფარდა“ ჩამოაფარა: მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსეთი აღარ მოიაზრებოდა ევროპად, დასავლეთად... პირიქით, ის გახდა პოლიტიკური ცენტრი „აღმოსავლეთისა“ და დაუპირისპირდა ევროპას - „დასავლეთს“,

მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო ძალთა გადანაწილებისას რუსეთს თავისი თავი დასავლურ ინტეგრაციაში უნდა მოეაზრებინა და ეპოვა, დეკლარაციულ დონეზე თითქოს ასეც ხდებოდა, რეალურად კი დასავლეთსა და მის ფარს „ნატოს“ რუსეთი დღესაც N1 მტრად მიიჩნევს, უფრო ზუსტად - საფრთხობელად წარმოიდგენს, საქართველო კი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგომ ორიენტაციას დასავლეთისაკენ, „ნატოსაკენ“ იღებს - ჩემი აზრით, იმის შინაგანი რწმენითაც, რომ ახალ მსოფლიოში რუსეთის ისტორიული ადგილიც სწორედ იქ არის (და - არა მარტო ისტორიული! პერსპექტივის თალსაზრისითაც - თუ ფუნდამენტალისტური რეჟიმების ფაქტორსაც გავითვალისწინებთ). სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასე არ ხდება, მიუხედავად ამისა, მაინც გამართლებულად მიმაჩნია საქართველოს ძალუმი ლტოლვა დასავლეთისაკენ: თუ რუსეთიც გეზს აქითკენ აიღებდა - ხომ კარგი. ამას რაღა აჯობებდა, „ნატოს“ კარზე რუსეთთან ერთად რომ მიგვეკაკუნებინა! თუ ასე ვერ მოხდებოდა, სტრატეგიულად ჩვენ მაინც სწორ გზას ვადექით - აღარ ვიქნებოდით მხოლოდ ერთ ძალზე, ერთ ქვეყანაზე მიბმული სახელმწიფო, რაც სამომავლოდ პოლიტიკური მანევრირების მეტ საშუალებას მოგვცემდა.

ასე რომ, მიზანი გამოკვეთილი იყო - ისტორიულ სახლში, ევროპაში დაბრუნება, ამ გზაზე კი პირველი პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო, თანდათანობით, მაგრამ მაინც წინ უნდა დავძრულიყავით, ბალავერი ჩაგვეგდო, აგური აგურისთვის მიგვემატებინა დასავლეთისკენ მიმავალი ხიდის საყრდენისათვის.

ერთ-ერთი ასეთი აგური გახლდათ თბილისში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნა თურქეთთან ერთად.

მაგრამ პრორუსულ ძალებსაც, ცხადია, არ ეძინათ საქართველოში, განსაკუთრებით, ზემოთ ნახსენებ უშიშროების ძველ კადრებს. ბარემ ამთავითვე ვიტყვი, რომ ამ პრორუსულ ძალებს სულაც არ მოვიაზრებ ერთიანად ძველი „კგბ“-ს აგენტურად - ღმერთმა დამიფაროს! ასე სწორედ ამ პრორუსებს ანუ „რუსეთუმეებს“ სჩვევიათ: ვინც დასავლური ორიენტაციის მომხრეა, ყველას ამერიკისა თუ მასონების აგენტებისა და საქართველოს მოღალატეების იარლიყს აკრავენ! მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სწორედ გარედან მართულმა თუ „შინნაზარდმა“ უშიშროების კადრებმა, სამწუხაროდ, მოახერხეს თავის სამსახურში ჩაეყენებიათ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელსაც „პატრიოტულფოჩებიანი“ სატყუარა გადააყლაპეს - ვილუპებით, საქართველოში თურქულ სკოლებს ხსნიანო. ამ მიზანს ემსახურებოდა, ერთი შეხედვით, უწყინარი ტერმინები - „თურქული სკოლა“, „თურქული უნივერსიტეტი“ - დემირელის სახელობის კოლეჯისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის რომ შემოაგდეს და, სამწუხაროდ, დაამკვიდრეს კიდეც ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებაში.

არადა, რით იყო ეს სასწავლებლები „თურქული“; არც სწავლების ენა, არც სასწავლო პროგრამები და არც საკანონმდებლო ველი თურქული არ ყოფილა - ეს ინგლისურენოვანი სასწავლო დაწესებულებები საქართველოს კანონმდებლობითა და ჩვენ მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამებით მუშაობდნენ, მის მართვაში პარიტეტულად მონაწილეობდნენ ქართული და თურქული მხარეები, მაგრამ ამის შესმენა „რუსეთუმეებს“ არ სურდათ: დაფინანსება ხომ თურქეთის მხარისაა, ესე იგი სასწავლებლებიც თურქული იქნება, ვინაიდან ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავსო - რუსულ ანდაზასაც იშველიებდნენ. მე მათ პრესითაც განვუმარტე, რომ მსგავსი პრინციპი რესტორნებში მოქმედებს, სასწავლო დაწესებულება კი დუქანი არ გახლავთ, ის უფრო ოპერასა ჰგავს. ოპერაში კი, თუნდაც მილიონი შეაძლიო, მხოლოდ იმას უკრავენ, რაც პროგრამით არის გათვალისწინებული-მეთქი.

დაიბეჭდა იმის შესახებაც, თითქოს ჩვენი მეზობელი ამ სასწავლებელთა ამუშავებით ხორცს ასხამდეს თავის მზაკვრულ გეგმას, რომელიც ჩვენს გადაგვარებას, გათურქებას ისახავს მიზნადო. ეს რომ უბირ ვინმეს დაეწერა, არც გავიხსენებდი, მაგრამ ავტორი პროფესორი გახლდათ და თანაც - თურქოლოგი. საერთოდაც, ჩვენი თურქოლოგების უმეტესობა მტრულად შეხვდა თურქეთთან საგანმანათლებლო კონტაქტებს და ამას თავისი ფსიქოლოგიური (არა - მხოლოდ!) ახსნა მოეძებნება: პოლემიკაში ისინი ხაზს სწორედ თავიანთ კომპეტენტურობას უსვამდნენ და თურქეთის ვითომდა ფარული პოლიტიკური ზრახვების ამოცნობის სპეციალისტობას იჩემებდნენ, ოპონენტები კი მათ არაორაზროვნად მიანიშნებდნენ აღმოსავლეთმცოდნეობის საბჭოური სკოლის საორჭოფო იდეოლოგიურ ტრადიციებზე - აქ, ცხადია, საიდუმლო სამსახურებთან მათი კავშირი იგულისხმებოდა. მე შორსა ვარ ყოველი ჩვენი თურქოლოგი ოპონენტი საბჭოური დაზვერვის აგენტად მივიჩნიო, მაგრამ, რომ არც მთლად უმაგისობა გახლდათ, ესეც ფაქტია! ცილისწამების ნიაღვარი, ძირითადად, ერთი სამიზნისკენ დაიძრა - განათლების სამინისტრო და მინისტრი... ერთმა თურქოლოგმა პროფესორმა განათლების სამინისტროს ბნელეთის სამინისტროც კი გვიწოდა, აქაოდა, თურქეთს, მისი ჭკუით, საგანმანათლებლო ბნელეთის განსახიერებას, ჩვენ მივყიდეთ ჩვენი საგანმანათლებლო სივრცე, და ამის მთქმელს იმის სითავხედეც ეყო, თავი საქართველოს ელჩად წარმოედგინა... თურქეთში! დიახ, თურქეთში (სხვათა შორის, ის მართლაც დაინიშნა ელჩად, ოღონდ - არა თურქეთში... სამწუხაროდ, ასეთი გაუგებრობებიც ხდებოდა ჩვენში).

თუმცა იყო სხვა ხალხიც, ვისაც სწამდა, რომ თურქეთთან კულტურულ-საგანმანათლებლო და ეკონომიკური კავშირები აუცილებელი და საშურია, საქართველოსთვის კი - სასიცოცხლო მნიშვნელობისა: ბოსფორის სრუტით ჩვენ კვლავ ვუბრუნდებოდით დასავლეთს, ასეთი ხალხი ყველგან იყო - ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშიც და ჩვეულებრივ მოქალაქეთა შორისაც... იყო ჩვენშიც და თურქეთშიც, ისინი მართლაც რომ ბურჯებად შეუდგნენ თურქეთ-საქართველოს მეგობრობის ხიდს.

დღეს საბჭოურ სტერეოტიპს - თურქეთი ჩვენი მტერია - საქართველოში საფუძველი შეერყა... და მაინც, თვითდამშვიდება ნაადრევი იქნებოდა - ჩვენშიცა და თურქეთშიც მრავალი ყალბი სტერეოტიპია და ამ სტერეოტიპებზე, ისე როგორც კატონ დიდს კართაგენზე, არც მე მომწყინდება კვლავ და კვლავ გავიმეორო: სტერეოტიპი უნდა დაინგრეს!

*28. 6. 2006*


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

8-100

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge



Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისათვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩაფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოემატება განრიგში შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოემატება განრიგში შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოემატება განრიგში შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოემატება განრიგში შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩაფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

მოკლედ

### თევდორაძეს ახალაიას იმედი აქვს

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თავდორაძე საქართველოს მოსამართლეების წინააღმდეგ ილაშქრებს და აცხადებს, რომ მოსამართლეები „პატიმრობის შესახებ“ კანონში შესულ ცვლილებებს არ ემორჩილებიან. თევდორაძის თქმით, საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე ხნის წინ ცვლილებები შეიტანა „პატიმრობის შესახებ“ კანონში, რომლის მიხედვითაც, საქმის გამოძიების პერიოდში, ოჯახს საშუალება ეძლევა მოინახულოს დაკავებული.

კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, დაკავებულს ორი პაემნის უფლება აქვს. ელენე თევდორაძის განმარტებით, პროკურატურა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრობლემას არ ქმნის, თუმცა მოსამართლეები ოჯახს პატიმრის მონახულების ნებას არ აძლევენ და ხელს უშლიან კანონით გათვალისწინებული პაემნების რაოდენობა გამოიყენონ. ამიტომაც, ელენე თევდორაძე მიმართავს საქართველოს მოსამართლეებს, ჩაიხედონ კანონში, კარგად წაიკითხონ იგი და დაემორჩილონ მას.

ელენე თევდორაძის განცხადებით, პაემნების პრობლემასთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას სპეციალური წერილი მისწერა და დახმარება სთხოვა.

ელენე თევდორაძე მიიჩნევს, რომ მოსამართლეებმა კანონი უნდა შეასრულონ და მას აღნიშნულ განცხადებაში ბაჩო ახალაია დაეხმარება. **ინტერპრესნიუსი**

### აქციის მონაწილეეების მოთხოვნა

„ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ წარმომადგენლებმა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად სიღნაღში საპროტესტო აქცია გამართეს.

„შორს სისხლიანი ხელები“, „დაისაჯონ მკვლელები“, - ასეთი ლოზუნგებით ისინი ჯერ სიღნაღის რაიონის პოლიციასთან შეიკრიბნენ, შემდეგ კი პროკურატურასთან გადაინაცვლეს.

აქციის მონაწილეთა პროტესტი რამდენიმე წლის წინ მომხდარ დანაშაულს, 19 წლის ზვიად ბალაშვილის მკვლელობის ფაქტს უკავშირდება. აქციის მონაწილეები ირწმუნებიან, რომ გამოძიება არაობიექტურად წარიმართა და საქმე დღემდე გამოუძიებელია.

„მოვითხოვთ დანაშაულში ეჭვმიტანილის ნოდარ აბულაშვილის პოლიციიდან გათავისუფლებას, საქმეზე გამოძიების განახლებას და მკვლელის დასჯას. დამნაშავეს ხელს აფარებს მისი პარლამენტარი ძმა ნუგზარ აბულაშვილი და ახლო ნათესავი ივანე მხარგრძელი,“ - ასეთი მოთხოვნები ჰქონდათ გუშინდელი აქციის მონაწილეებს. **ინტერპრესნიუსი**

### ადვოკატები მოსამართლის წინააღმდეგ

ადვოკატები ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს მალხაზ გურიელს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და უზენაეს სასამართლოში უჩივიან. როგორც ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, მალხაზ გურიელი გამოირჩევა არაეთიკური ქცევით და არაკომპეტენტურობით, რის გამოც ადვოკატებმა კოლექტიური საჩივრით მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინარული დევნის აღძვრა და მისი დასჯა მოითხოვეს. მოსამართლის წინააღმდეგ საჩივარი მათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის სახელზეც შეიტანეს.

ადვოკატები ითხოვენ, რომ მალხაზ გურიელი დისციპლინარული წესით, ეთიკის კოდექსის და საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო დაისაჯოს.

მალხაზ გურიელი მოსამართლედ ახლახანს დაინიშნა. იგი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია. **ინტერპრესნიუსი**

### სოდ-მა ნარკოტიკული ნივთიერებები გაანადგურა

გუშინ, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა 5 მილიონ დოლარამდე ღირებულების სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული ნივთიერებები გაანადგურეს.

როგორც სოდ-ის დირექტორის მოადგილე ნოე ჩიკვილაძე აცხადებს, განადგურდა 6 კილოგრამამდე ჰეროინი, 2 ათას აბზე მეტი ტრამალი, 6 კილოგრამამდე მარიხუანა, 8 ათასი აბი კოდეინის შემცველობის ნარკოტიკი და 250 აბი სუბუტექსი.

ნოე ჩიკვილაძის განცხადებით, ეს ის ნარკოტიკული ნივთიერებებია, რომელზეც სასამართლომ განადგურების გადაწყვეტილება მიიღო. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი ანალოგიურ ღონისძიებას, გეგმიურად, სამ თვეში ერთხელ ატარებს.

ნარკოტიკები სპეციალურად ამოთხრილ ორმოში ჩაყარეს და დიზელის საწვავით გაანადგურეს. **ინტერპრესნიუსი**

# ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება არ აღუდგინეს

**„სასამართლომ თავისი მოღვაწეობის 10-წლიანი პერიოდის განმავლობაში საკუთარ თავს კიდევ ერთი განაჩენი გამოუტანა. საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღევანდელი სასამართლო კანონიერებას კი არ იცავს, არამედ შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის დაქვემდებარებაში არსებული შპს-ა,“** - ასე შეაფასეს საკონსტიტუციო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება ყოფილი დეპუტატის ვალერი გელაშვილის თანაპარტიელებმა, ადვოკატებმა და ახლობლებმა.

საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა გელაშვილის ადვოკატების სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც გელაშვილის ინტერსების დამცველები 2006 წლის 31 მარტს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების გაუქმებას ითხოვდნენ, რომლის საფუძველზეც გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტეს.

**„საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვითაც ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა, კანონიერი და დასაბუთებულია,“** - ასეთია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ის საბოლოოა და აღარ გასაჩივრდება.

ვალერი გელაშვილის ადვოკატები გუშინდელ გადაწყვეტილებას უკანონოს უწოდებენ, ისევე როგორც პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას. მათი განმარტებებით, სასამართლოში დაკითხულმა არც ერთმა მოწმემ არ დაადასტურა გელაშვილის უკანონო ბიზნეს-საქმიანობა, რაზეც ყოფილ დეპუტატს საკანონმდებლო ორგანოში ედავებოდნენ.

ერთი სიტყვით, ყოფილი დეპუტატის თანაპარტიელები და ინტერესების დამცველები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, თუმცა, იმასაც აცხადებენ, რომ სხვაგვარ გადაწყვეტილებას არც ელოდნენ.



თინა ხიდაშელი უსამართლო მოსამართლეებს სასამართლო პროცესს ჰპირდება.

**„ჩვენ აუცილებლად ვნახავთ ამ უსამართლო მოსამართლეების სასამართლო პროცესს, რომელიც მალე არა, მაგრამ აუცილებლად შედგება,“** - აცხადებს „რესპუბლიკური“ პარტიის წევრი და სასამართლო პროცესზე ყოფილი დეპუტატის ადვოკატი თინა ხიდაშელი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით კმაყოფილია მოპასუხე მხარე. დეპუტატი ნიკა გვარამია თვლის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელე მხარეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე არგუმენტირებული უარი უთხრა. **„სასამართლოს მნიშვნელოვანი დასაბუთება ჰქონდა, რაც კარგი პრეცედენტია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც,“** - ასეთია ნიკა გვარამიას პოზიცია.

*24 საათი*

# ეჭვმიტანილები მოლაპარაკების შედეგად დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დანაშაულში ეჭვმიტანილი ორი პირი - მამულაშვილი და ცქვიტავა დააკავა.

საუბარია გუშინწინ მომხდარ ფაქტზე, როცა მამულაშვილი სუპერმარკეტ „სიმბაში“ გაძარცვის მიზნით შევიდა. ერთ-ერთი ინფორმაციით, მან იქ ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა კიდეც. შემდეგ კი, პოლიციისაგან თავის დაღწევის მიზნით, აბაშიძის ქუჩა N48-ში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინას თავი შეაფარა, სადაც მისი მეგობარი ცქვიტავა ცხოვრობდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი შოთა ხიზანიშვილი აცხადებს, სამართალდამცველთათვის ცნობილი გახდა, რომ მამულაშვილიცა და ცქვიტავაც შეიარაღებულები იყვნენ. ბინაში იმყოფებოდნენ ქალები და მცირეწლოვანი ბავშვები. ეჭვმიტანილთა დასაკავებლად მათთან ტელეფონის მეშვეობით მოლაპარაკება გაიმართა. მოლაპარაკება დაახლოებით 2 საათს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ირაკლი აბაშიძისა და მისი მიმდებარე ქუჩები გადაკეტილი იყო. საცხოვრებელ სახლთან მობილიზებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები. „მამულაშვილმა და ცქვიტავამ ფანჯრიდან იარაღის გადაყრა სცადეს. თუმცა, ეს მცდელობა დავაფიქსირეთ და იარაღი ამოვიღეთ. ორივე მათგანი მათთვის მოულოდნელად, მოლაპარაკების დროს ბინაში ავიყვანეთ,“ - აცხადებენ შსს-ში.

სამართალდამცველებმა სუპერმარკეტის ძარცვაში ეჭვმიტანილ მამულიშვილთან ერთად, ცქვიტავაც დააკავეს, რომელსაც ბრალი დანაშაულის დაფარვასა და იარაღის უკანონო ტარებაში ედება.

*მედიანიუსი*

# სახალხო დამცველი პოლიციელების დასჯას ითხოვს

პირველი გვერდიდან

ომბუდსმენი გირგვლიანის მკვლელობის საქმეში არსებულ სამართლებრივ ხარვეზებზე დღეს დეტალურ ანგარიშს ჩააბარებს პარლამენტარებს. როგორც ჩანს, საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენება დღეს, საკმაოდ დატვირთული იქნება.

იმ საქმეთა შორის, რომელთა შესახებაც ომბუდსმენი კრიტიკულ შეფასებას გააკეთებს, ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმეცაა. რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით ომბუდსმენმა გენერალურ პროკურატურას არაერთხელ მიმართა. 12 ივლისს სოზარ სუბარმა გენპროკურორს კიდევ ერთხელ გაუგზავნა რეკომენდაცია და რობაქიძის საქმეში მონაწილე ყველა იმ სამართალდამცველის მიმართ მოითხოვა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება, რომლებმაც საქმის მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაში მიიღეს მონაწილეობა.

**„რობაქიძის საქმეში მონაწილე საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა თავდაპირველ ჩვენებებზე დაყრდნობით, გამოძიება ამტკიცებდა, რომ ამირან რობაქიძემ და მისმა მეგობრებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციის თანამშრომლებს, რასაც ერთ-ერთი პოლიციელის მხრიდან გასროლა მოჰყვა, რის შედეგადაც ამირან რობაქიძე ადგილზე გარდაიცვალა. პატრულის თანამშრომლებმა ბაშალეიშვილმა, აბუაშვილმა, ჭანტურიამ და ლობჟანიძემ დეტალურად აღწერეს ავტომობილის გაჩერების, სროლის დაწყების და შემდგომ განვითარებული მოვლენები, რის საფუძველზეც, რობაქიძის მეგობრების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა პოლიციის თანამშრომელთათვის წინააღმდეგობის გაწევისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით,“** - აცხადებენ ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლები..

როგორც ცნობილია, გარდაცვლილი რობაქიძის ახლობლების მიერ ჩატარებულმა არაერთმა ექსპერტიზამ კატეგორიულად გამორიცხა პოლიციელთა ჩვენებებში დაბეჯითებით მოყვანილი ფაქტები და ასახული გარემოებები, რასაც სახალხო დამცველმა წინა საპარლამენტო გამოსვლაშიც მკაცრი შეფასება მისცა და გენერალური პროკურატურისგან საქმის ობიექტური და სრულყოფილი გამოძიება მოითხოვა. იმ დროს რეკომენდაციასთან ერთად პროკურატურაში სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალების 33-ფურცლიანი დანართიც გაიგზავნა.

**„სახალხო დამცველის რეკომენდაციის შედეგად, პატრულის თანამშრომლის გიორგი ბაშალეიშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო, თუმცა, გამოძიება ბაშალეიშვილის დადანაშაულებით შემოიფარგლა. ბაშალეიშვილის დაკავების შემდეგ ერთდროულად და ერთი მიმართულებით შეიცვალა ბრალდებულის და სხვა თანამშრომლების ჩვენებები. ამჯერად ისინი დაბეჯითებით მიუთითებენ, რომ ბაშალეიშვილს შემთხვევით გაუვარდა ცეცხლსასროლი იარაღიდან, რობაქიძეს კი არ ჰქონია ცეცხლსასროლი იარაღი და არც გაუსვრია,“** - აცხადებს სახალხო დამცველი.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ბაშალეიშვილისა და სხვა პოლიციელთა პირველი და განმეორებითი ჩვენებები არაკანონიერ ინტერესებს ემსახურება. აშკარაა, რომ ისინი გამოძიებისათვის ხელის შეშლის მიზნით განზრახ ცრუობენ, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით. სახალხო დამცველის განცხადებით, როდესაც პოლიციელები დარწმუნდნენ, რომ პირველ ჩვენებებში ასახული გარემოებების დამტკიცებას ველარ შესძლებდნენ, ჩვენებები ისე შეცვალეს, რომ მათი ბრალეულობა ნაკლებად გამოჩენილიყო, ხოლო ბაშალეიშვილს ისეთი ბრალდება წარდგენოდა - სხვისი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა, რომელიც მინიმალური სასჯელს ითვალისწინებს.

**„ამასთან, საეჭვოა ის გარემოებაც, რომ მათ ჩვენებები სსკ-ის 3711 მუხლის მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე შეცვალეს, რითაც კიდევ ერთი მუხლით პასუხისმგებლობა აიცილეს თავიდან,“** - მიიჩნევს ომბუდსმენი.

სახალხო დამცველის აპარატი ყურადღებას ამახვილებს იმ დარღვევებზე, რაც რობაქიძის საქმის გამოძიების პერიოდში დაფიქსირდა. კერძოდ, რობაქიძის ოჯახის წევრებს, როგორც დაზარალებულის უფლებამონაცვლეებს, უკანონოდ ეუბნებოდნენ უარს საქმის მასალების ასლების მიღებაზე. როგორც მედიისა და ამირან რობაქიძის ოჯახისთვის, ასევე სახალხო დამცველისათვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა შსს-ს თანამშრომელთა მიერ გადაღებული ლიკვიდაციისა და დაკავების ამსახველი ვიდეომასალა. გარდაცვლილის ოჯახის წევრთა არა ერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ დაიკითხნენ სასწრაფო დახმარების სამსახურის ის თანამშრომლები, რომლებიც შემთხვევის ადგილზე გავიდნენ და დააფიქსირეს რობაქიძის გარდაცვალების ფაქტი, მაშინ, როდესაც მხარე დაჟინებით მიუთითებდა, რომ ექიმების თქმით, შემთხვევის ადგილზე მათ არანაირი იარაღი არ უნახავთ. ომბუდსმენის განცხადებით, საკმარისი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, არ მომხდარა პოლიციელთა, განსაკუთრებით კი, ბაშალეიშვილის ალკოჰოლური და ნარკოლოგიური შემოწმება. არ დაკითხულა არც ერთი მაღალჩინოსანი, რომლებიც შემთხვევის ადგილზე გავიდნენ და აშკარაა, რომ მონაწილეობას იღებდნენ არსებულ „მტკიცებულებათა“ ამოღებასა და ოფიციალურად გაფორმებაში - ე.წ. საპროცესო დამაგრებაში. არ დაადგინეს „ამოღებული“ იარაღის წარმომავლობა, თუ როგორ აღმოჩნდა ამ ოდენობის და დონის ცეცხლსასროლი და სხვა საბრძოლო იარაღები იმ სტუდენტების ხელში, რომელთაგან არც ერთი არ ყოფილა ნასამართლევი. თავდაპირველად, გამოძიებამ ყველა დაკავებულს სხვადასხვა იარაღი მიაკუთვნა. მოგვიანებით კი, ორ დაკავებულს მოეხსნა ბრალდება და ადვოკატების განცხადებით, საქმეში არსებული ერთი ავტომატური იარაღი და ერთი ხელყუმბარა დარჩა ისე, რომ მათ უკანონო შეძენა-ტარებაში არავის აღარ ედება ბრალი.

**„ყოველივე აღრმავებს ეჭვებს გიორგი ბაშალეიშვილის მიერ ჩადენილი განზრახ მკვლელობის, სამართალდამცველთა მიერ იარაღის „ჩადების“, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, ბოროტად გამოყენების, უკანონო დაკავებისა და ცრუ ჩვენების მიცემის თაობაზე,“** - ნათქვამია სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაკეთებულ ანალიზში.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა ყველა იმ პოლიციელისა თუ სხვა სამართალდამცველის მიმართ, ვინც მონაწილეობა მიიღო დაკავების ოპერაციაში, შემთხვევის ადგილზე ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასა და იქ ამოღებულ მტკიცებულებათა ოფიციალურად გაფორმებაში (მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაში) - ე.წ. საპროცესო დამაგრებაში. სახალხო დამცველი მოითხოვს, საქმეში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის წარმომავლობის დადგენას და საქმის გამოძიებაზე გენერალური პროკურატურის კონტროლის განხორციელებას.

*24 საათი*


**სს "თბილავიამშენი" აცხადებს ღია ტენდერს გაზმომარაგების სამუშაოების შესრულებაზე არსებულ საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად რომელიც ითვალისწინებს:**

1. არსებულ საშუალო წნევის d=100მმ გაზსადენთან გმპ-ს, გაზის ხარჯთმზომი კვანძის და დაბალი წნევის გაზსადენის მონტაჟს ტექნოლოგიურ დანადგარებამდე.
2. გაცხიმოვნების ღუმლის (4000C) გაზმომარაგებასა და უსაფრთხოების ავტომატიკას.
3. შრომის ღუმლის (1000C) გაზიფიცირებას და უსაფრთხოების ავტომატიკას.

საპროექტო დოკუმენტაციის მიღება 10 დღის განმავლობაში ტელ: (899) 29 45 00, 8(99) 55 71 67, 8(77) 55 59 07

ტენდერი ჩატარდება ა/წ 1 აგვისტოს 15 საათზე ს.ს "თბილავიამშენის" ადმინისტრაციულ შენობაში.







# აფიშა

14 ივლისი

**კინო**

**„ამირანი“**
„სიყვარული კუნძულზე“
დასაწყისი: 12:00; 14:00; 16:00; 18:00; 20:00; 22:00

**„რუსთაველი“**
„მანქანები“
დასაწყისი: 13.00;15.00
„X მენ“
დასაწყისი: 17.30

**გალერეა**

**„კოპალა“**
ოთარ ჩხარტიშვილის გამოფენა
ფერწერა, ქანდაკება, კოლაჟი

**„ჰობი“**
თანამედროვე ქართველი მხატვრების გამოფენა

**ეთნოგრაფიული მუზეუმი**
„არტ-გენის“ კონცერტები
დასაწყისი: 19.00; 22.00


**ივერია მოტორსი**



- **ახალი ავტომობილები ხელსაყრელ ფასებში**
- **გარანტიით**
- **თვითმცლელები, სატვირთოები, სპეცავტომობილები, მაღალი ტვირთამწეობის, მრავალღერძიანი ევრო-2, ევრო-3-ის სტანდარტების.**

**მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, გუდაუთის ქ. N7. ტელ: 34-60-03, 34-16-50; მობ.: 899 51 30 49**


**შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ სალიანდაგო მასალების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების შესწორება**

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 13 ივლისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **სალიანდაგო მასალების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში, მე-5 პუნქტში საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების წარდგენის დრო ნაცვლად 4 ივლისისა იკითხებოდეს 4 აგვისტო.

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

# ხმაურიანი სიცოცხლის ჩუმი დასასრული

### 60 წლის სიდ ბარეტი ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა



*სიდ ბარეტი ახალგაზრდობაში.*

სიდ ბარეტი კემბრიჯშირში, საკუთარ სახლში, სრულ სიმშვიდეში გარდაიცვალა. ვისაც ეგონა, რომ ბარეტი მუდამ ლამაზთვალება და ახალგაზრდა იქნებოდა, უნდა გავაწბილოთ - გარდაცვლილი მელოტი, ნაოჭებიანი, ავადმყოფობისგან გატანჯული 60 წლის მოხუცი იყო, რომლის შემხედვარე ვერც კი იფიქრებდით, რა ხმაურიანი და მჩქეფარე ცხოვრება ჰქონდა მოტოვებული უკან.

„მან ჩუმად დაგვტოვა. დაკრძალვა მხოლოდ ახლობლების წრეში ჩატარდება. ზედმეტი აჟიოტაჟი საჭირო არ არის“, - ეს განცხადება Pink Floyd-ის წარმომადგენელმა მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში გააკეთა. ახლობლები კი ოჯახისა და ჯგუფის წევრები არიან - სწორედ ისინი, ვისთან ერთადაც ბარეტმა საკუთარი და Pink Floyd-ის ლეგენდა შექმნა. მაგრამ მისი წვლილი ჯგუფის ჩამოყალიბებაში ალბათ ყველაზე მინიმალურია - მხოლოდ სამი წელი 1965-დან 1968 წლამდე და მხოლოდ ერთი ერთობლივი ალბომი, თუმცა ჯგუფის შემოქმედებასა და მისი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

გიტარისტი სიდ ბარეტი (ნამდვილი სახელია როჯერ კეიტ ბარეტი) Pink Floyd-ს 1965 წელს როჯერ უოტერსის ინიციატივით შეუერთდა. ჯგუფის ისტორია იუწყება, რომ სწორედ მან მოიგონა სახელწოდება Pink Floyd და ჯგუფის ადრინდელი სინგლების თანაავტორია, მათ შორის პირველი ალბომის The Piper at the Gates of Dawn. ჯგუფის მეორე ალბომში A saucerful of secrets მან მხოლოდ ერთი კომპოზიციის ჩაწერა მოახერხა და თავისი ადგილი დევიდ გილმორს დაუთმო... ბარეტს მაინც მოუწია იმ დიდებასა და წარმატებებზე უარის თქმამ, რაც მას Pink Floyd-თან ერთად გატარებულმა წლებმა მოუტანა - მან ვერ გაუძლო დაუსრულებელ გასტროლებსა და თავბრუდამხვევ კარიერას და ნარკოტიკებს მიეძალა. ამას დაემატა საშინელი ნერვული აშლილობაც, რამაც სიდ ბარეტის ჯგუფიდან წასვლის აუცილებლობა გამოიწვია.

როგორც წესი, ლეგენდარული ჯგუფების ყოფილი წევრები დავიწყებისთვის არიან განწირულნი და ვერ ახერხებენ ძველი დიდებისგან განთავისუფლებას. მსგავსი რამ სიდსაც ემუქრებოდა, თუმცა მუდმივად ნარკოტიკულ ბურანში მყოფმაც კი მოახერხა და სოლო კარიერის შექმნაზე დაიწყო მუშაობა.

პირველი დამოუკიდებელი ალბომის The Madcap Laughs ჩაწერა ბარეტმა 1968 წელს, ჯგუფიდან წასვლიდან რამდენიმე თვეში დაიწყო, თუმცა საბოლოო შედეგს მხოლოდ 1970 წელს მიაღწია. სტუდიაში მას ჯგუფი The Soft Machine ეხმარებოდა (თავად ბარეტი აკუსტიკურ გიტარაზე უკრავდა). ალბომზე მუშაობის პროცესში ამ ჯგუფის წევრებმა ბარეტთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს, რადგან, მათი განმარტებით, იგი ზედმეტად ემოციურად უკრავდა და არც საერთო რიტმის შენარჩუნებაზე ფიქრობდა. საბოლოოდ, ბარეტმა დახმარებისთვის ძველ მეგობრებს მიმართა და მუშაობა როჯერ უოტერსთან და დევიდ გილმორთან ერთად დაასრულა.

მეორე ალბომზე სამუშაოდ სიდ ბარეტი შორს აღარ წასულა და კვლავ „პინკებს“ მიმართა - დევიდ გილმორს და რიჩარდ რაიტს. როჯერ უოტერსმა ამჯერად დელიკატური უარი უთხრა, რადგან მობეზრდა სამუშაო მასალისგან ნორმალური შედეგის გამოდნობა. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ბარეტსაც მოსწყინდა. ამიტომ მეორე ალბომის გამოშვებას არც კი დალოდებია, ისე გაემგზავრა კემბრიჯში, საკუთარ მამულში და მშვიდ ცხოვრებას შეუდგა.

მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ ჰქონდა კემბრიჯში გამართულ პატარა კონცერტზე გამოსვლის შესაძლებლობა, თუმცა ოდესღაც მის სახელზე მლოცველმა მსმენელმა ბარეტი სცენიდან სტვენით გააცილა... ამის შემდეგ მუსიკაზე ფიქრს შეეშვა და კვლავ განდეგილის ცხოვრება გააგრძელა.

თუმცა არა დიდი ხნით - 1975 წელს სტუდია Abbey Road-ში ალბომ Wish You Were Here-ზე მომუშავე Pink Floyd-ს ესტუმრა. 1988 წელს კი მის მიერ შექმნილი ძველი კომპოზიციების კრებული გამოვიდა.

ამის შემდეგ კვლავ კემბრიჯში განმარტოვდა და ხელოვნებითა და ბაღის გაშენებით იყო დაკავებული.

**P.S.** სიდ ბარეტის გარდაცვალების დღეს, 11 ივლისს, მანჩესტერში Red Hot Chili Peppers კონცერტს მართავდა. ჯგუფმა კონცერტი Pink Floyd-ის პირველ ალბომში შესული კომპოზიციით Interstellar Overdrive-თი დაიწყო. შემდეგ გიტარისტმა ჯონ ფრუშანტემ ბარეტის კომპოზიცია Golden Hair შეასრულა, ბოლოს კი თქვა: Long Live Syd...

*ნინია კაკაბაძის სვეტი*

# იგივენი და იგივე!



რამდენიმე დღის წინ თორმეტიოდე წლის მოზარდისგან იუმორისტულ ჟანრში წარმოთქმული ასეთი შინაარსის მცირე მონოლოგი მოვისმინე: „ყველაზე თავდაჯერებული ოპტიმისტიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ორ წელიწადში საქართველო ამდენ წარმატებას მიაღწევდა...“ ინტონაციით მივხვდი, რომ მოზარდი საქართველოს პრეზიდენტის პაროდისტი იყო. არ ვიცი, სამწუხაროა თუ სასიხარულო, რომ უკვე ბავშვებიც ხვდებიან: საქართველოს პრეზიდენტი საოცრად არაადეკვატურია და მისი უკანასკნელი მონოლოგები ნამდვილად სასაცილო და შემაშფოთებელია, სატირალი რომ არ იყოს!

ყველას ახსოვს სასკოლო დღიურში გაკეთებული ჩანაწერი: „ქართული ენა - **ი გ ი ვ ე** !“ ან „გასამეორებლად!“ ძალიან დიდი ხანია, საქართველოს პრეზიდენტი გაურბის საუბარს იმ თემებზე, რომლებიც დღეს საქართველოს მოსახლეობისთვის აქტუალური და საინტერესოა, ამიტომ ყოველი გამოსვლისას **იგივეს** იმეორებს! იცის, ამ საკითხებზე საუბარი, მისი თანაპარტიელებისა თუ თანაგუნდელების დაცვა მოსახლეობაში უკმაყოფილებას გამოიწვევს, რეალურად კი რეიტინგი მთელი „ნაციონალური მოძრაობიდან“ მხოლოდ მას აქვს და სხვას არავის. უმრავლესობა მისი სახელის სპეკულირებით აპირებს მომავალ არჩევნებში გამარჯვებასაც. ამიტომ უმჯობესია ვისაუბროთ საგარეო პოლიტიკაში მოსალოდნელ წარმატებებზე.

უნდა ვაღიაროთ საკუთარი კმაყოფილების შეგრძნება მაშინ, როდესაც სააკაშვილი პუტინს ესაუბრებოდა; პირველად გახდა ცხადი და აშკარა, რომ საქართველო, როგორც უმცროსი და უსუსური ძმა, ქვემოდან არ შეჰყურებს დიდ რუსეთს. ემოციური შთაბეჭდილება პრეზიდენტების დიალოგის შემდეგ აშკარად პოზიტიური და ღირსეული იყო (თუმცა, აქაც ბევრია საკამათო). შესაძლოა ვცდები, მაგრამ შეუმცდარი არავინაა. იქ, სადაც, ვფიქრობ, ნამდვილად არ ვცდებით, ეს ბუშისა და სააკაშვილის შეხვედრაა: დაპატარავებული საქართველოს პირველი პირი, რომელიც კომპლიმენტებს არ იშურებს დიდი ამერიკის დიდი პრეზიდენტის მიმართ. რა შედეგებს მოგვიტანს ამგვარი დამოკიდებულება ამერიკის შეერთებულ შტატებთან - ეს პროფესიონალებმა განსაჯონ. მე მხოლოდ ჩემი, როგორც მოქალაქის უფლებების დაცვას ვითხოვ. მე ამ პრეზიდენტის ამომრჩეველი ვარ და ეს ყველაზე მეტად სწორედ რამდენიმე დღის წინ ვინანე. „ომი ერაყში ქართველი ხალხისთვის თავისუფლების სიმბოლოა. ჩვენ მომავალში კიდევ უფრო მეტად გავაძლიერებთ ქართულ წარმომადგენლობას ერაყში და კიდევ უფრო დიდი რაოდენობით დაგახმართ ქართველ ჯარისკაცებს“. ქართველი პოლიტიკოსის ამ სამარცხვინო სიტყვებზე ყოველი ჩვენგანია პასუხისმგებელი. საზარბაზნე ხორცად შემოგწირავ ქართველ ახალგაზრდებს, ირანის „განმათავისუფლებელ ომშიც“ არ დავიშურებ ქართველების სისხლს, მხოლოდ აღმიდგინე ტერიტორიული მთლიანობა... ეს იყო ბუშისა და სააკაშვილის შეხვედრის პათოსი. გასაგებია პოლიტიკური ამბიციები, აღმაშენებლის საფლავზე დადებული ფიცი, პრეზიდენტობისთვის დარჩენილი ექვსი წელიწადი და ა.შ. იქნებ დადგა დრო, როდესაც ხალხმა და საზოგადოებამ ხმამაღლა უნდა გამოთქვას საკუთარი შეხედულება, როგორ და რა გზით სურს ამ მთლიანობის აღდგენა. დავსვათ კითხვები: რა კეთდება იმისთვის, რომ კონფლიქტები მშვიდობიანი გზით მოგვარდეს?! რას აკეთებს ამისთვის სახელმწიფო?! რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა კერძო საუბარში კმაყოფილი და ღიმილნარევი გამომეტყველებით განმიცხადა, რომ სისხლი უნდა დაიღვაროს და დაიღვრება! სამაგიეროდ საქართველო გაერთიანდება! მოდით, ასე ვთქვათ - თუ რუსეთი ყოველი ჩვენგანისთვის მიუღებელია მისი აგრესიული, ძალადობრივი, არადემოკრატიული პოლიტიკით, რატომ არის მისაღები ამერიკის შეერთებული შტატები? ქიმიური იარაღი ერაყში - რისი მიზეზითაც და რის გასანადგურებლადაც დაიწყო ომი - არ უპოვიათ. მაგრამ იპოვეს ნავთობი! ვინ ჰკითხა ერაყელ ხალხს, ომი ერჩივნა თუ სადამ ჰუსეინის რეჟიმი? ვფიქრობ, საღად მოაზროვნე ყველა ადამიანისთვის შეერთებული შტატები სამაგალითოა პირველ რიგში იმით, რომ იქ მილიონიანი საპროტესტო, პაციფისტური აქციები იმართება საკუთარი ხელისუფლების ძალადობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ. მუსიკოსები მშვიდობას უმღერიან, ომის წინააღმდეგ ფილმებს იღებენ და სხვა... სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მსგავსი არაფერი ხდება. ამიტომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, მთელი ქართველი ხალხის სახელით, ქედს იხრის თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი წამყვანი ტერორისტის წინაშე! ეს ყოველი ჩვენგანის დანაშულია!

ეს არის რეალურად ის, რა წარმატებასაც მივაღწიეთ საგარეო პოლიტიკაში, თუმცა არავის ახსენდება, რომ ვიდრე მსოფლიო პოლიტიკაში თანასწორი უფლებებით შევალთ, რამდენიმე კითხვას დაგვისვამენ: რამდენად დაცულია საქართველოში ადამიანის უფლებები და ამავე დროს სიცოცხლე. ამაზე საქართველოს პრეზიდენტი ჯერ ვერ საუბრობს; ან ახლო მომავალში მეტროში ჩავა და რამდენიმე მოხუცთან გასაუბრებით დაგვიმტკიცებს, რომ ის სახალხო პრეზიდენტია. რაც შეეხება დანარჩენ პოლიტიკოსებს, ნაცვლად იმისა, რომ სამართლიანი სასამართლოს, ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე იფიქრონ, მხოლოდ იმით არიან დაკავებულნი, როგორ ებრძოლონ და დაამარცხონ ოპოზიცია. აქ მათი დიპლომატია და პროფესიონალიზმი მწვერვალებს აღწევს. ამის შედეგი ის არის, რომ უკანასკნელი მოვლენების არასწორმა მართვამ ხელახლა ამოატივტივა შარაძეები, კირთაძეები, შაშიაშვილები, ამაშუკელები და ა.შ. სამწუხაროდ, ეს ოპოზიციური ძალის სისუსტეა, რომელმაც ვერც საკუთარ თავში და ვერც საზოგადოების სხვა ნაწილში ვერ ნახა საკმარისი რესურსი ძალადობის, უკანონობის, უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საზოგადოებას არ მართებს კომპრომისი ახალაიების, დონაძეების, თუნდაც, მათი იდეოლოგების - ნადირაძეებისა და არველაძეების დასამარცხებლად. ის არ გამოიყენებს შარაძეებს და შაშიაშვილებს. ამიტომ საზოგადოების დიდ ნაწილს აპათია ეუფლება. ვიცი, კრიტიკოსები იკითხავენ: ვინ არის საზოგადოება და რას ითხოვს ის? საზოგადოება, ხალხი მისი უფლებების დაცვას, დემოკრატიას და სიცოცხლის უფლებას ითხოვს!




# განცხადება

## სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს ტენდერს

**0.4-6-10 კვ- ის მოწყობილობების შეკეთებისათვის საჭირო მასალების შესყიდვაზე**
**მარჯანიშვილის ქ. N16ა. თბილისი, 0102 ტ:911192**
შესყიდვის ობიექტია:

| ლოტი | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | | ზომის ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საიზოლაციო ლენტა მაღალი ძაბვის | | კგ | 100 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | 20.08.06-20.09.06 |
| | საიზოლაციო ქაღალდი 0,1 მმ სისქის | | კგ | 200 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | ბამბის ლენტი „კიპერნი" 35 მმ სიგანის | | მ | 4 000 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | **საგრაგნილე მავთული** | | | | | |
| | ალუმინის კაბელების გადასაბმელი მილისა 95მმ2, (ვაზნა) | | ცალი | 300 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ალუმინის კაბელების გადასაბმელი მილისა 120მმ2, (ვაზნა) | | ცალი | 400 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ალუმინის სადენი, საგრაგნილე, ქაღალდის იზოლაციით | 3,45 მმ2 | კგ | 640 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | | 3,60 მმ2 | კგ | 650 | | |
| | | 4,15 მმ2 | კგ | 80 | | |
| | | 5,75 მმ2 | კგ | 500 | | |
| | | 9,60 მმ2 | კგ | 90 | | |
| | | 10.0 მმ2 | კგ | 90 | | |
| | სწორკუთხა ალუმინის სადენი, საგრაგნილე, ქაღალდის იზოლაციით | 15,5 მმ2 | კგ | 400 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | | 22,5 მმ2 | კგ | 680 | | |
| | | 25,0 მმ2 | კგ | 200 | | |
| | | 30,5 მმ2 | კგ | 600 | | |
| | | 50,0 მმ2 | კგ | 360 | | |
| | | 54,0 მმ2 | კგ | 220 | | |
| | | 44,0 მმ2 | კგ | 250 | | |
| 1 | | 80,0 მმ2 | კგ | 150 | | |
| | ფტოროპლასტის ლენტი 0,15 მმ | | კგ | 200 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | 20.08.06-20.09.06 |
| | ლაკოქსვილი ლკმ-105-0,15 მმ2 | | მ2 | 200 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | ლაკოქსვილი ლკმს - 105-0,15მმ2 | | მ2 | 200 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | ლაკოქსვილი ლსმმ-105/120-0,24 მმ2 | | მ2 | 200 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | რეზინის შუასადები, ზეთმედეგი | 4 მმ სისქის | კგ | 200 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | | 6 მმ სისქის | კგ | 400 | | |
| | | 8 მმ სისქის | კგ | 600 | | |
| | | 10 მმ სისქის | კგ | 600 | | |
| | ლატუნის ღერო 12 მმ2 | | კგ | 40 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | | | | 40 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო 16 მმ2 | | კგ | 50 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | | | | 50 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო 20 მმ2 | | კგ | 60 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | | | | 60 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო 27 მმ2 | | კგ | 60 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | | | | 60 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი | | | | | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი | | | | | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი | | | | | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი | | | | | |
| | საპოხი "ლიტოლ 24"-ის ანალოგიური | | კგ | 40 | ქ.ქუთაისი, ნიკეას III შესახვევი №4 | |
| | | | | 80 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | სპილენძის ღერო =22მმ | | კგ | 80 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | სპილენძის ღერო =32მმ | | კგ | 100 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი | | | | | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი | | | | | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი | | | | | 20.08.06-20.09.06 |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი | | | | | |
| 2 | სატრანსფორმატორო ზეთი | | | | | |

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2006 წლის 20 აგვისტოდან 2006 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ არ რუსულ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) დახურულ კონვერტში, **2006 წ. 2 აგვისტოს 10:00 საათიდან 4 აგვისტოს 15:00 საათამდე,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, **ტელ 911192**. სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში თავად მის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2006წ. 5 სექტემბრის ჩათვლით.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობა საგადასახადოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
5. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი ფიზიკური პირი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის სამსახურებრივ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. . ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
4. ცნობა ბანკიდან ანგარიშის თაობაზე;
5. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", მარჯანიშვილის ქ. N16ა, მეორე სართული. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო მოსაკრებელი უდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: **ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ბანკის კოდი - 220101757, ანგარიშის ნომერი - 34032348, საიდენტიფიკაციო კოდი - 204434905, სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარი.** პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 4 აგვისტომდე.

დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - გივი ხვედაგურიძეს (სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი) **ტელეფონის ნომერი - 911192, 8(77)933930. მარჯანიშვილის ქ N16ა, 0102, თბილისი. E-mail : giwi.khvedaguridze@uedc.ge**

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია აცხადებს კონკურსს

**ბათუმის, ახალციხის, წითელი ხიდის, ლაგოდეხის, ბოლნისის, დედოფლისწყაროს, ბარისახოს, ყაზბეგის რეგიონულ სამმართველოებში შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

სასაზღვრო სექტორის უფროსი

კანდიდატისთვის საჭირო კვალიფიკაცია და მოთხოვნები:

• უმაღლესი განათლება (უპირატესობა მიენიჭება სამართალმცოდნეს)
• სამხედრო ან სხვა სპეციალური წოდება
• სამხედრო და სამართალდამცავ სამსახურებში მუშაობის სულ მცირე ხუთწლიანი გამოცდილება
• შესაბამისი მოსაზღვრე სახელმწიფოს ან რუსული ენის ცოდნა
• შესაბამისი ფიზიკური მონაცემები

სექტორის უფროსის მოადგილე

კანდიდატისთვის საჭირო კვალიფიკაცია და მოთხოვნები:

• უმაღლესი განათლება (უპირატესობა მიენიჭება სამართალმცოდნეს)
• სამხედრო სავალდებულო სამსახური ან რეზერვისტთა კურსები
• სამხედრო ან სხვა სპეციალურ წოდება
• შესაბამისი ფიზიკური მონაცემები

უპირატესობა მიენიჭება:

• უცხო ენის ცოდნას (შესაბამისი მოსაზღვრე სახელმწიფოს ან რუსული ენა)
• სამხედრო და სამართალდამცავ სამსახურებში მუშაობის სამწლიან გამოცდილებას

უფროსი მესაზღვრე

კანდიდატის საჭირო კვალიფიკაცია და მოთხოვნები:

• უმაღლესი განათლება (სასურველია სამართალმცოდნეობა)
• სამხედრო ან სხვა სპეციალური წოდება
• შესაბამისი ფიზიკური მონაცემები

უპირატესობა მიენიჭება:

• უცხო ენების ცოდნას (შესაბამისი მოსაზღვრე სახელმწიფოს ან რუსულ ენა)
• სამხედრო და სამართალდამცავ სამსახურებში მუშაობის სამწლიან გამოცდილებას

მესაზღვრე

კანდიდატის საჭირო კვალიფიკაცია და მოთხოვნები:

• უმაღლესი, ტექნიკური ან საშუალო განათლება
• გავლილი სამხედრო სავალდებულო სამსახური ან რეზერვისტთა კურსები
• სამხედრო ან სხვა სპეციალურ წოდება
• შესაბამისი ფიზიკური მონაცემები

უპირატესობა მიენიჭება:

• უცხო ენების ცოდნას (შესაბამისი მოსაზღვრე სახელმწიფოს ან რუსული ენა)
• სამხედრო და სამართალდამცავ სამსახურებში მუშაობის გამოცდილებას
• ადგილობრივ მაცხოვრებლებს

საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

კანდიდატის საჭირო კვალიფიკაცია:

• უმაღლესი ეკონომიკური განათლება
• შესაბამის სფეროში მუშაობის სულ მცირე ხუთწლიანი გამოცდილება
• საბუღალტრო და აღრიცხვის სპეციფიკის ცოდნა
• ხაზინასთან ურთიერთობის სპეციფიკის ცოდნა
• კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა

უპირატესობა მიენიჭება:

• სამხედრო ან სხვა სპეციალურ წოდებას
• უცხო ენების ცოდნას
• სამხედრო და სამართალდამცავ სამსახურებში მუშაობის გამოცდილებას

უფროსი სპეციალისტი საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში

კანდიდატის საჭირო კვალიფიკაცია:

• უმაღლესი ეკონომიკური განათლება
• შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება
• საბუღალტრო და აღრიცხვის სპეციფიკის ცოდნა
• ხაზინასთან ურთიერთობის სპეციფიკის ცოდნა
• კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა

უპირატესობა მიენიჭება:

• სამხედრო ან სხვა სპეციალურ წოდებას
• უცხო ენების ცოდნას
• სამხედრო და სამართალდამცავ სამსახურებში მუშაობის გამოცდილებას

სპეციალისტი საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში

კანდიდატის საჭირო კვალიფიკაცია:

• უმაღლესი ეკონომიკური განათლება
• შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება
• საბუღალტრო და აღრიცხვის სპეციფიკის ცოდნა
• ხაზინასთან ურთიერთობის სპეციფიკის ცოდნა
• კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა

უპირატესობა მიენიჭება:

• სამხედრო ან სხვა სპეციალურ წოდებას
• უცხო ენების ცოდნას
• სამხედრო და სამართალდამცავ სამსახურებში მუშაობის გამოცდილებას

ბუღალტერი

კანდიდატის საჭირო კვალიფიკაცია:

• უმაღლესი ეკონომიკური ან სპეციალური ტექნიკური განათლება
• შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება
• საბუღალტრო და აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამების ცოდნა
• ხაზინასთან ურთიერთობის სპეციფიკის ცოდნა
• კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა

უპირატესობა მიენიჭება:

• სამხედრო ან სხვა სპეციალურ წოდებას
• სამხედრო და სამართალდამცავ სამსახურებში მუშაობის გამოცდილებას

საწყობის მენეჯერი

კანდიდატის საჭირო კვალიფიკაცია:

• უმაღლესი ეკონომიკური ან სპეციალური ტექნიკური განათლება
• შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება
• საბუღალტრო და აღრიცხვის სპეციფიკის ცოდნა
• კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა

უპირატესობა მიენიჭება:

• სამხედრო ან სხვა სპეციალურ წოდებას
• სამხედრო და სამართალდამცავ სამსახურებში მუშაობის გამოცდილებას

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატისა და რეგიონული სამმართველოების საკადრო საკითხთა სამსახურებს.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
**ტელ: 37-01-98; 37-02-99**
**ვებ-გვერდი: www.gbg.ge**
**საბუთების მიღება იწარმოებს 26 ივლისამდე.**

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 07.05.08**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**

**აბაშის რაიონის სოფ. კეთილარის საშუალო სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **აბაშის რაიონის, კეთილარის საკრებულოს, სოფელ კეთილარის საშუალო სკოლის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება კეთილარის საკრებულოს სათემო კავშირთან "კეთილი ნება", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, კეთილარის საკრებულოს სათემო კავშირი "კეთილი ნება" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

**საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2006 წლის 14 ივლისიდან ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 600 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

**წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს 2006 წლის 11 აგვისტოს 12:00-მდე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 11 აგვისტოს 12:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა "საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ" 2006 წლის 20 ივლისს საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში "ბ" კორპუსში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში დღის 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**ლოტი N 1 დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთი და კოტეჯი**

**ნაკვეთს** მთლიანობაში გააჩნია წახნაგოვანი ფორმა, რელიეფი უსწორმასწოროა ქანობით, ხოლო მისი საერთო ფართია 27 000 მ2, ძირითადი მისასვლელი გზა ასფალტირებულია, ბოლო 100 მეტრი მოხრეშულია. არის ელ. მომარაგება. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ შემოღობილია, მასზე დგას კოტეჯი, ალაგ-ალაგ არის რამოდენიმე ხე, ძირითადი ნაწილი მწვანე ნარგავების გარეშეა.

**კოტეჯი** აშენებულია 1997 წელს აგურით, მის შემადგენლობაში შედის სამი საძინებელი ოთახი, სამზარეულო-სასადილო, საერთო ოთახი, აივნები, ორი სველი წერტილი და ავტოფარეხი ერთ მანქანაზე. შენობის საერთო ფართი შეადგენს 131.05 $მ^2$-ს, ოთახებში აგია წიფელის პარკეტი, გამოყენებულია ჩეხური მოსაპირკეთებელი მასალა, სანტექნიკა, ბუხარი მოპირკეთებულია გრანიტით.

**ლოტის საწყისი საუქციონო ფასია 347 000 ლარი.**

**ლოტი N 2 ძრავ-გენერატორი**

12 ცილინდრიანი დიზელის ძრავი - ДГА-200-ТНООД გამოშვების წელი 1985, წონა 3500 კგ. 200 KBm; 3-50hrz;400B.

გენერატორი ГСР-200 - 3 ფაზა სინქრონული, 50 hrz, 200 KBm, წონა 1500 კგ, გამოშვების წელი 1986, ძრავ-გენერატორს აქვს მართვის ელექტრო პულტი, გამაგრილებელი სისტემა, 2 აკუმულიატორი და იქოქება ავტომატურად.

ძრავ-გენერატორი საუკეთესო მდგომარეობაშია ნამუშევარი აქვს მხოლოდ 200 საათი. ძრავის დაყენება შესაძლებელია კატარღაზე ან მცირე წყალტევადობის გემზე. **ლოტის საწყისი საუქციონო ფასია 6 200 ლარი.**

**ლოტი N 3 მაღალი ძაბვის ელექტროტრანსფორმატორი კომპლექტში ელექტრო კარადასთან ერთად.**

ტიპი TM-400, სამი ფაზა, გამოშვების წელი 1989, სიმძლავრე 400 КВТ, სიხშირე 50 hrz საუკეთესო მდგომარეობაში.

**ლოტის საწყისი საუქციონო ფასია 4 600 ლარი.**

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი "ბე-ს" მოცულობა შეადგენს საწყისი ფასის 10-%-ს რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107) ანგარიშის N 117904101. განაცხადი და "ბე"-ს შეტანის ქვითარი (აგრეთვე საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) წარედგინება საუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გ. ნატროშვილს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა "მონაწილის ბილეთი".

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხდების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ საუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-42) ელ. ფოსტა gnatroshvili@nbg.gov.ge .

**საქართველოს ეროვნული ბანკის საუქციონო კომისია.**

## ც ვ ლ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 13 იანვარს, გაზეთ "24 საათში" (N155) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება ლოტებად დაყოფილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.333(0.87)-კმ.339(0.73) მონაკვეთის რეაბილიტაცია;

ლოტი-2: ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ.19-კმ.23 მონაკვეთის რეაბილიტაცია:

პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ, ლოტებად დაყოფილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

ლოტი-1: კოდა-თეთრიწყაროს საავტომობილო კმ.21-კმ.26, კმ.27(0.2) მონაკვეთის რეაბილიტაცია (ტენდერი ცხადდება ხელმეორედ);

ლოტი-2: წალენჯიხა-ლიას საავტომობილო გზის კმ.1-კმ.7 მონაკვეთის რეაბილიტაცია (ტენდერი ცხადდება ხელმეორედ);

ლოტი-3: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.333(0.87)-კმ.339(0.73) მონაკვეთის რეაბილიტაცია;

ლოტი-4: ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ.19-კმ.23 მონაკვეთის რეაბილიტაცია; "

**სატენდერო კომისია**

## შ.პს. "საქაერონავიგაცია" აცხადებს ტენდერს ბათუმსა და ფოთში შპს "საქაერონავიგაციის" ობიექტების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაცვის (უსაფრთხოების) სისტემებით აღჭურვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო - შ.პ.ს. "საქაერონავიგაციის" სახსრები**
**განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

შპს "საქაერონავიგაცია", რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს საჰაერო სივრცეში და თბილისის აეროპორტის აფრენა-დაფრენის ზონაში საჰაერო მოძრაობის მომსახურება და ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა აცხადებს ტენდერს **ბათუმსა და ფოთში შპს "საქაერონავიგაციის" ობიექტების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაცვის (უსაფრთხოების) სისტემებით აღჭურვაზე შესყიდვის მიზნით. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა** მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა 2006 წლის 31 ოქტომბერი.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 2 აგვისტოს 16 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ადმინისტრაციული შენობა.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ს/კ 208144051

ა.ა. N111467601, "თი-ბი-სი" ბანკი, ც/ფ; კოდი 220101830

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, შპს "საქაერონავიგაციის" ობიექტების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაცვის (უსაფრთხოების) სისტემებით აღჭურვა.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 2 აგვისტოს 10 საათიდან 2006 წლის 2 აგვისტოს 16 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები (არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით).

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის (სანაციის) საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი ბოლო სამეურნეო წლის ამსახველი ფინანსური უწყისები (ბალანსი; მოგება ზარალის უწყისი და აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია შესრულებული ანალაოგიური ხასიათის სამუშაოების შესახებ უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში, ასევე თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესახებ;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დაცვის სისტემებით აღჭურვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

***შენიშვნა:*** დასაშვებია, *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა* სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოადგინონ უცხო ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანის დართვით, უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

*კონვერტს უნდა მიეთითოს: რომ ის შეიცავს სატენდერო წინადადებას და მისი გახსნის უფლება აქვს მხოლოდ სატენდერო კომისიას;*

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია"

საკონტაქტო პირები: ნ. შარაშანიძე, ე. ბუთხუზი ტელ: 27-43-27.

***სატენდერო კომისია***

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ბოლნისის რაიონის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური (მისამართი: ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N106, რაიონის გამგეობის შენობა. ს ს "საქართველოს ბანკი" ა\ა 3303000001) აცხადებს ტენდერს დაბა თამარისში იაკობ ცურტაველის სახელობის სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

სამუშაოების აღწერილობა: დაბა თამარისის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე (თბილისი-გუგუთის ავტომაგისტრალსა და დაბის განაშენიანების შორის არსებულ ნაკვეთზე) უნდა კეთილმოეწყოს სკვერი და იაკობ ცურტაველის მემორიალის პოსტამენტი. შესასრულებელია: ელმომარაგების გაუქმებული რკინაბეტონის ბოძების დემონტაჟი; ნაკვეთის დაგეგმარება; ბაზალტის ქვით ცენტრალური მისასვლელი და მოსასვენებელი საფეხმავლო ზონის მოწყობა; საფეხმავლო ბილიკების მოწყობა პემზის საფარით; გეგმაში ბოლნური ჯვრის კონფიგურაციის ყორღანის მოწყობა პოსტამენტისათვის; პოსტამრნტის ბეტონირება და შემოსვა ტუფის ფილით; დეკორატიული შადრევნის მოწყობა; დასასვენებელი სკამების დამზადება და მონტაჟი; ტერიტორიისა და ქანდაკების განათების სამუშაოების შესრულება; ავტოსადგომის მოწყობა.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 დღე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 2 აგვისტოდან 4 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N106, (რაიონის გამგეობის შენობა, 1 სართული), სატენდერო კომისიის აპარატში.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);
- ცნობას შესყიდაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების შერჩევა მოხდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2 აგვისტომდე, 12 სთ. შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N106, (რაიონის გამგეობის შენობა).

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, რაიონის გამგებლის მოადგილე ბ. რეხვიაშვილი (ტელ. 899 15-57-70), მისამართზე ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N106, (რაიონის გამგეობის შენობა, III სართული).

**სატენდერო კომისის თავმჯდომარე**
**რაიონის გამგებლის მოადგილე: ბ. რეხვიაშვილი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**პროექტი "ილია ჭავჭავაძე"**
**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**

## აცხადებს კონკურსს ვაკანსიაზე

პროექტი ილია ჭავჭავაძე

**განათლების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების კომპონენტის კოორდინატორი**

(ადგილობრივი ინდივიდუალური კონსულტანტი)

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს პროექტს „ილია ჭავჭავაძე (შემდგომში - პროექტი)". პროექტის საკოორდინაციო ცენტრი დახმარებას უწევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ზოგადი მართვის პროცესში, კერძოდ, კი პროექტის კოორდინაციაში, ადმინისტრირებაში, ანგარიშგებაში, შესყიდვებსა და ფინანსებში.

ამჟამად დასასრულს უახლოვდება პროექტის პირველი ფაზა და მიმდინარეობს მეორე ფაზის მოსამზადებელი სამუშაო.

პროექტის პირველი ფაზის მიზანია განათლების სისტემის მიზნების ეფექტური გარდაქმნისათვის ინსტიტუციონალური ბაზის ჩამოყალიბებას.

პროექტის მეორე ფაზა ითვალისწინებს განათლების სისტემის გარემოს გაუმჯობესებას და შედგება ორი კომპონენტისაგან: I - პედაგოგიური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება; II - ფიზიკური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება.

კომპონენტი II - ფიზიკური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება (შემდგომში - კომპონენტი)

**მოკლე აღწერილობა**

კომპონენტის ძირითადი მიზანია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება. საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის ფარგლებში დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით თანამედროვე სასკოლო სტანდარტების შესაბამისად ათამდე ახალი სასკოლო შენობის აგება და მათი სრული აღჭურვა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პასუხისმგებელია ფიზიკური სასწავლო გარემოს გაუმჯობესების კომპონენტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, მის მონიტორინგსა და შეფასებაზე. მუნიციპალური განვითარების ფონდი კი - კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებაზე.

**განათლების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების კომპონენტის კოორდინატორი**

**ძირითადი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები**

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მუნიციპალური განვითარების ფონდს, განვითარების საერთაშორისო ასოციაციასა და სხვა დარგობრივ სამინისტროებს შორის კომპონენტის ფარგლებში განსახორცელებელი საქმიანობის კოორდინირება;
- კომპონენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მომზადება ინგლისურ და ქართულ ენებზე;
- კომპონენტის აქტივობებთან დაკავშირებული საბაზისო მონაცემების შეგროვება;
- საბაზისო მონაცემების პერიოდული განახლება;
- შედეგების მონიტორინგი;
- კომპონენტის საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მუნიციპალური განვითარების ფონდის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის რეგულარული ინფორმირება კომპონენტის საქმიანობის შესახებ;
- კომპონენტთან დაკავშირებულ სხვა პროექტებთან, დეპარტამენტებთან, საგანმანათლებლო რესურს ცენტრებთან და შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- საქმიანი შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება;
- საოფისე და საველე საქმიანობა (მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი);
- ფინანსების დარგში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის უშუალო მითითებებით კომპონენტის მიზნების განსახორციელებლად სხვა საქმიანობის შესრულება.

**სავალდებულო კვალიფიკაცია**

- უმაღლესი განათლების დიპლომი ტექნიკურ სფეროში;
- სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურაში მუშაობის მინიმუმ ხუთი წლის გამოცდილება (სასურველია საინჟინრო/არქიტექტურულ სფეროში);
- ქართული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა;
- პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევები;
- კომუნიკაბელურობა;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

**ანგარიშვალდებულება:**

კონსულტანტი ანგარიშვალდებული იქნება ფინანსურ დარგში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის წინაშე.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

ხელშეკრულების ვადა იქნება ერთი წელიწადი. აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13 F
ელ-ფოსტა: GEP@mes.gov.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ნინო რევიშვილი**

წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ინტერნეტ გვერდზე:

**www.reform.edu.ge**
ვაკანსიები და განცხადებები
განაცხადის ფორმა

**განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2006 წლის 4 აგვისტო.**

## მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი

მოწვევა ინტერესის გამოსახატავად საკონულტაციო მომსახურებაზე ნომერი **GICMP-CQ-17**

**"ტყის ინვენტარიზაციისა და მისი მართვის სახელმძღვანელო**

**კოლხეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონისთვის"**

„მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო" - მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" განმახორციელებელი ორგანიზაცია იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციებს გამოხატონ ინტერესი ზემოაღნიშნული საკონსულტაციო მომსახურების შესასრულებლად.

დაინტერესებულ ორგანიზაციებმა უნდა მოგვაწოდონ სათანადო ინფორმაცია (ადრე შესრულებული მსგავსი სამუშაოს აღწერა, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის არსებობა, ადრე ჩატარებული ტყის ინვენტარიზაციის ამსახველი მასალა, ანგარიშები, კვლევები, ბროშურები და ა.შ.), რომელიც დაადასტურებდა მათ შესაძლებლობებს შეასრულონ აღნიშნული საკონსულტაციო მომსახურეობა.

ორგანიზაცია შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პროცედურების შესაბამისად, კონსულტანტის კვალიფიკაციის მეთოდით. დამატებითი ინფორმაციის მიღება კონკურსის შესახებ შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით ან პროექტის ვებ-გვერდზე. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია 2006 წლის 21 ივლისამდე უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

რატი ჯაფარიძე, გენერალური დირექტორი
მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო (მ.გ.პ.გ.ს.)
"საქართველოს სანაპირო ინტეგრირებული მართვის პროექტი" (ს.ს.ი.მ. პროექტი)
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

**გულუას 6, მე-6 სართული, თბილისი, 0114, საქართველო**
**ელფოსტა: PHASiS@ICZM.org.ge ინტერნეტი: www.ICZM.org.ge**
**ტელ: 75-50-40 მობილური: (99) 73-02-03**

## სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკი" აცხადებს აუქციონს

გასაყიდად გამოტანილი იქნება სააქციო საზოგადოება "თელავის ღვინის მარანი"-ს 56 050 (ორმოცდათექვსმეტი ათას ორმოცდაათი) ცალი ჩვეულებრივი აქცია.

ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება 805 000 (რვაას ხუთ ათასი) ლარით;

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 17 ივლისს 12.00 საათზე ს.ს. "ბაზისბანკი"-ს სათაო ოფისში, მისამართზე: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის N1.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

- წერილობითი განცხადება;
- აუქციონში მონაწილე პირის პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;

კერძო სამართლის იურიდიული პირის განცხადებას უნდა ერთვოდეს:

- განაცხადის შემოტანის მომენტისათვის ძალაში მყოფი ამონაწერი შესაბამისი სახელმწიფო რეესტრიდან (დედანი);
- უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება აუქციონში მონაწილეობის შესახებ (დედანი ან დამოწმებული ასლი).

საჯარო სამართლის იურიდიული პირის განცხადებას უნდა ერთვოდეს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.

იმ შემთხვევაში, თუ პირი აუქციონში მონაწილეობას იღებს სხვა პირის სახელით განცხადებას უნდა ერთვოდეს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი (დედანი ან დამოწმებული ასლი);

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტების გარდა აუქციონზე უნდა წარმოადგინოს ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბეს ოდენობა განისაზღვრება 100 000 (ასი ათასი) ლარით;

ბე შეიძლება გადახდილ იქნეს 2006 წლის 17 ივლისის 11.00 საათამდე, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგ რეკვიზიტებზე:

ს.ს. "ბაზისბანკი", ბანკის კოდი 220101956, სატრანზიტო ანგარიში N11545862

აუქციონში მონაწილეობის შესახებ განაცხადი და თანდართული დოკუმენტები წარდგენილ უნდა იქნას 2006 წლის 14 ივლისის 17 საათამდე ს.ს. "ბაზისბანკ"-ში მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის N1

TV5MONDE

## 14 ივლისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** რიოპელი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.25** ბიგუდი. სერიალი.**12.00** 2006 წლის14 ივლისის საზეიმო ცერემონიალი. **14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 10. სერიალი. **15.00** ინტერვიუ საფრანგეთის პრეზიდენტთან. **16.25** პირველი ივლისი. მხ ფილმი. რეჟისორი ფილიპ განიონ. 1998. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში.**19.05** ბიჭი და გოგო. ტელეთამაში. **19.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 5.სერიალი. **20.30** ვირუსი სამოთხეში. ტელესერიალი. **23.00** მეტყავის საყვარელი. რეჟისორი კლოდ გრინბერ5.2002. **03.20** მუტანტი ფუტკრები. დოკ.ფილმი.

# ავიდეთ ეთნოგრაფიულში?!



პირველი გვერდიდან

სწორედ ეს იყო ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, რადგან ფესტივალის არსი შარშანდლიდანაც სწორედ ამ ერთობლიობაში გვესახებოდა. ისე როგორც უწინ, წელსაც მრავალფეროვნად იქნება წარმოდგენილი საქართველოს ყველა რეგიონის ხალხური შემოქმედება, ფოლკლორი, რეწვითა და საბრძოლო ხელოვნებით გამდიდრებული, ქართული ხალხური თამაშობებით გამხიარულებული. ისე როგორც შარშან, საღამოს შვიდი საათიდან დღის მთავარი ცენტრი და საზოგადოების თავშეყრის ადგილი გახდება თეატრონი, სადაც ჯერ ხალხური ცეკვა-სიმღერის კონცერტს, შემდეგ კი იმ ხელოვანთა შემოქმედებას ვეზიარებით, ვინც უმრავლესობის აზრით, იმ აზრით, რომელიც უკვე კარგად ჩამოგვიყალიბდა, დღეს ქმნიან საინტერესოს და, როგორც ვამბობთ ხოლმე, ფასეულს.

წლევანდელი, ანუ რიგით მესამე „არტ-გენი" დღეს დაიწყო. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეიდან ათი დღის განმავლობაში, დღის 12 საათიდან ეთნოგრაფიული მუზეუმის კარი ღიაა ყველასთვის, ვისაც ქართული ხელოვნება აინტერესებს და ვისაც, უბრალოდ, სასიამოვნო გარემოში სურს დასვენება. იქ, სადაც თონეებში ქართული პური ცხვება, იქ, სადაც ფოლკლორულ ჰანგებთან ერთად ჯაზისა და ქართული როკის ჟღერადობაც ისმის. ოღონდ ეს ყოველივე თანდათან, ნელა-ნელა. თბილისში ზაფხულის ყველაზე საინტერესო დღეები დაიწყო...

ფესტივალი დღეს დაიწყო, თუმცა ჩვენ, მედიას მისი ორგანიზატორებისა და მხარდამჭერების დიდი გუნდი გუშინ შეგვხვდა თეატრონის სცენაზე და ოდა-სახლების ეზოებთან. წელს ფესტივალს „ჯეოსელი" წარმოადგენს. ტრადიციულად, კულტურის სამინისტრო და ქალაქის მერია გვმასპინძლობს, მხარდამჭერები არიან „ალდაგი" და სასტუმრო „პალასი" ძველი თბილისიდან. თბილისმა ამ ათი დღის განმავლობაში ოთხი ათას ადამიანს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსულ ქართველებს უნდა უმასპინძლოს.

პრესკონფერენცია რომ დაიწყო, ზუმბამ საზოგადოებას ჯერ ღვინო შესთავაზა, შემდეგ - შოთები. მინისტრმა იხუმრა, რომ პრესკონფერენცია სადღეგრძელოებით უნდა დაწყებულიყო. თუმცა, მან უბრალოდ იხუმრა. ბევრს ჰგონია, რომ „არტ-გენი" ერთი დიდი და მობეზრებული სადღეგრძელოა. სულაც არა. ასე ალბათ ისინი ფიქრობენ, ვინ მას არც ერთხელ არ სწვევია, ან წლევანდელი მავალფეროვანი და დახვეწილი პროგრამისთვის არ გადაუხედავს...

ზაზა კორინთელი: მადლობა ყველას, ვისაც ეს ფესტივალი უყვარს. ყველა გვერდში მდგომს დიდი მადლობა, უდიდესი მადლობა საქართველოს მთავრობას ბოლომდე გვერდში დგომისთვის და დიდი მადლობა „ჯეოსელს". უკვე მესამე წელია ფესტივალი ტარდება. ფესტივალი დაიბადა მუზეუმში ღია ცის ქვეშ. და, ვფიქრობთ, ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ჩვენს გამოცდად იქცა - გავუძლებთ თუ არა ამდენ სტუმარს. რაც შეეხება სიახლეს, ყოველი ახალი გამეორებული ძველიაო და... ჩვენი მიზანია ქართული ტრადიციული და თანამედროვე ფასეულობების მაქსიმალური პოპულარიზაცია ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. გვყავს სტუმრები უცხოეთიდან. როგორც ხედავთ, ფესტივალი საერთაშორისო მასშტაბსაც იძენს. ჩვენ არ ვღალატობთ ტრადიციებს. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია რეგიონების დაკავშირება. ფესტივალი წარმოადგენს ადგილს, სადაც ხალხს შეუძლია სხვადასხვა მიმართულების, ჟანრისა და თემატიკის მუსიკის გაცნობა. ფესტივალი არის ხიდი თაობებსა და რეგიონებს შორის. ჩვენი ყველაზე მთავარი მიზანი არის ის, რომ ხმამაღლა განვაცხადით: ჩვენ არ ვართ მხოლოდ სამუზეუმო კულტურის ქვეყანა. ჩვენ ვართ სრულიად თანამედროვე ქვეყანა, რომელსაც აქვს არა მხოლოდ ლამაზი წარსული, არამედ ლამაზი მომავალიც.

**გიგი უგულავა**: ამ ერთი კვირის განმავლობაში ეთნოგრაფიულ მუზეუმში წარმოდგენილი იქნება ყველაფერი ის, რაც არის ნაღდი ქართული, ამ სიტყვის ისტორიული მნიშვნელობით. საქართველო იქნება წარმოდგენილი არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ბევრად უფრო ფართოდ. აქ გაისმება ქართული ჰანგი, დაილევა ქართული ღვინო, შეიჭმება ქართული პური, წარმოდგენილი იქნება ქართული სპორტის სახეობები. აქ მომსვლელ ყველა ადამიანს ექნება საშულება, რომ დაისვენოს მართლა ქართულად. ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ტრადიციულია ის. ამიტომაც მადლობა ყველას, ვინც ის ტრადიციად და ჩვენი ცხოვრების ნაწილად აქცია.

**გიორგი გაბაშვილი**: მიხარია, რომ უკვე მესამე „არტ-გენი" წარდგება თქვენს წინაშე ძალიან საინტერესო პროგრამით. ყველა კარგ საქმეს ახასიათებს, რომ ყოველი მომდევნო უკეთესია, ვიდრე წინა. მადლობა იდეის ავტორებსა და ორგანიზატორებს. ჩვენ მთლიანად ვართ ჩართულნი, რადგან ეს ფესტივალი არის ზუსტად იმ პრიორიტეტებისა, რასაც ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული საპრეზიდენტონაციონალური პროგრამა ფოლკლორის მხარდაჭერისთვის, რომელიც ითხოვს ფოლკლორული ჯგუფების ერთად ყოფნას, ურთიერთგაცვლას, პოპულარიზაციას, აქტიურ კონტაქტებს ქალაქსა და რეგიონებს შორის. ბუნებრივია, რომ ქალაქის მერია მთლიანად გვერდში დაუდგა „არტ-გენს", რადგან ეს არის თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ზეიმი. „ჯეოსელი" კი ტრადიციას არ ღალატობს - ის არის ყველაზე კულტურულად და სოციალურად ორიენტირებული ბიზნესი.

დღეს საღამოს პირველ კონცერტს „ზუმბა-ლენდი" და ბაიარ გუნდარიძე წარმოადგენენ. შედგება გია დიასამიძის ფილმის „ადილას" პრემიერა. წინ გველის სხვადასხვა რეგიონების ფოლკლორული ჯგუფების კონცერტები, ღამე ნინო ქათამაძისა და „ინსაითის" ავტორობით, ჯაზის საღამო ზურაბ ყურაშვილთან ერთად, როკის საღამო სხვადასხვა ჯგუფის შესრულებით და კიდევ ბევრი საინტერესო რამ. თუმცა, არ ავჩქარდებით და მათ შესახებ თანდათან და დაწვრილებით მოგვიანებით გიამბობთ.

# პოეტი-პოლიტიკოსი შელი



ბრიტანელმა ბუკინისტებმა შემთხვევით აღმოაჩინეს ინგლისელი პოეტ-რომანტიკოსის პერსი ბისი შელის (1792-1822) პოლიტიკური პამფლეტი და უცნობი ლექსი. 1811 წელს გამოქვეყნებული ბროშურა, რომელიც 20 გვერდისგან შედგება და დაკარგულად ითვლებოდა, 195 წლის შემდეგ იპოვეს.

გამოკვლევებით დადასტურდა, რომ პოლიტიკური ხასიათის „პოეტური ესე" შელიმ 1811 წელს დაწერა და გამოაქვეყნა. ამავე წლითაა დათარიღებული 172-სტროფიანი ლექსი, რომელიც ომის პერიოდს ეხება. ამ ნაწარმოებით იგი წერს ირლანდიელი ჟურნალისტის პიტერ ფინერტის ბედზე, რომელიც თავის რეპორტაჟებში 1809 წელს ავსტრია-საფრანგეთის ომის დროს ჰოლანდიაში ბრიტანული არმიის განადგურებას აშუქებდა. ფინერტი ლონდონის ციხეში ჩასვეს, თუმცა ინგლისელი საზოგადოება მის დასაცავად გამოვიდა. ამ ფაქტზე შელიმ შექმნა „პოეტური ესე", რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტში საეჭვოდ მიიჩნიეს და 19 წლის პოეტი უნივერსიტეტიდან გარიცხეს.

მალე „პოეტური ესე" უკვალოდ გაქრა. ლიტერატურათმცოდნეებისთვის უცნობი იყო, რამდენი ეგზემპლარი გამოსცა შელიმ. ამ ნაწარმოების შავი ვერსიაც კი არ არსებობდა. როგორც აღმოჩნდა, პამფლეტის ახალი გამოცემა შელიმ თავის ბიძაშვილს პილფოლდ მედვინს 1811 წელს აჩუქა.

ლიტერატორებისა და ისტორიკოსებისთვის „პოეტური ესეს" გამოჩენა დიდი მოვლენაა, რადგან იგი შელის წარმოაჩენს, როგორც დიდ პოეტს და პოლიტიკურ კრიტიკოსს.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge










## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

განებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** **893 60 30 06**
**893 65 38 39**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:




## General Motors პეტერბურგში Chevrolet Captiva და C-კლასის მოდელებს გამოუშვებს

კომპანია General Motors სანკტ-პეტერბურგში Chevrolet Captiva-ს და C-კლასის ტიპის ახალ მოდელებს გამოუშვებს. ქარხანა წელიწადში 25 ათას ავტომობილს ააწყობს. კომპანიის წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, General Motors-ის რუსული ფილიალი წარმოების გაფართოებას 2008 წლისთვის გეგმავს.

კომპანიის ქარხანა სანკტ-პეტერბურგში, პუშკინის ადმინისტრაციულ რაიონშია განთავსებული. პროექტის საინვესტიციო მოცულობა 115 მილიონ დოლარს შეადგენს. გუშინ პეტერბურგში ახალი ქარხნის მშენებლობის ცერემონია ოფიციალურად გაიხსნა.



## Bissol თავის მომხმარებლებს სუნამოებს სთავაზობს

Mobiado ძვირად ღირებული მობილური ტელეფონების მწარმოებელი კომპანია Bissol-თან მოლაპარაკებებს აწარმოებს. თანამშრომლობის ფარგლებში, ეს კომპანიები პრესტიჟული მობილური ტელეფონების მომხმარებლებისთვის პარფიუმერიულ პროდუქციას შექმნიან.

ახალ პარფიუმერულ ნაწარმს Perfume No 919 for Men-ს დაარქმევენ. მისი სახელწოდება კი ასე ჟღერს: "არომატი, რომელიც სპეციალურად ელიტარული მობილური ტელეფონების მოყვარულებისთვის იქმნება". პრესრელიზის ტექსტის თანახმად, Bissol-ისა და Mobiado-ს ერთობლივ სუნამოს მანდარინის, ბამბუკის, ვანილის, ჭადრის ყვავილისა და კიდევ სხვა მცენარეების არომატი ექნება.

Perfume No 919 for Men-ი Mobiado-ს ემბლემით იქნება გაფორმებული.

## საქართველოს საფონდო ბირჟაზე "ექრანის" 693 ათასი ლარის აქციები გაიყიდა

B2

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3364 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9823 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4819 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7700 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8258 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1544 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3026 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3083 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2575 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4431 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3404 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1467 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1545 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2683 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1934 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2379 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4025 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5626 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2065 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5225 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3338 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2839 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5619 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5946 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0659 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1210 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4237 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5345 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4443 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5258 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8172 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1218 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1497 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4422 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2462 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4417 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0794 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2215 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2276 |




ბიზნესისტორია

# გადაფრენა

## იდეალური გუნდის თეორია



მაია ქალაგანიძე

**- ბიზნესში რომ შევედი, მაშინ მივხვდი, რომ ადვილია ცხოვრება, როცა სიმართლეს ამბობ. ეს ყველაზე კარგი მდგომარეობაა. როცა ადამიანი იტყუება, ის ქაოსშია.**

**ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კვლევით ინსტიტუტში გამანაწილეს, მეცნიერი უნდა იყოო. 21 წლისა ვიყავი, როცა რვა ქალბატონის უფროსად დამნიშნეს. მოვხვდი დაწესებულებაში, სადაც დღე 10 ფინჯანი ყავის სმით იწყებოდა, შუადღეს ლობიო იხარშებოდა, კარადაში კი 20 ლიტრიანი ბოცა იდო... მივხვდი, რომ თავი სისულელეში ამოვყავი. არადა, საქმის კეთების შემართებით მივედი, აქ კი არავის არაფერი აინტერესებდა. ჩემს შემართებასაც ასე უყურებდნენ: ამასაც მოვუვლითო. კიდევ კარგი, ასე მოხდა, რადგან ქარხანაში რომ მოვხვედრილიყავი, შეიძლება იქ დავრჩენილიყავი, რადგან ჩარხი რომ მუშაობს, ესე იგი იქ რაღაც ხდება და ეს ჩემთვის საინტერესო იქნებოდა. აქ კი გავგიჟდი. თან სტიპენდია 130 მანეთი მქონდა, ხელფასი კი 70 მანეთი დამინიშნეს.**

წლოვანებით ყოველთვის ყველგან პატარა იყო, რადგან დეკემბრის ბოლოს დაიბადა. ინსტიტუტშიც 16 წლისა შევიდა და ამ თავისი პატარაობით ამაყობდა ხოლმე.

30-ე სკოლის ხელბურთელებმა სულ ცოტა ხნის წინ დაკრძალეს თავისი პირველი მწვრთნელი, ვილი გვარამაშვილი. ბატონმა ვილიმ ხაზარაძის კლასში ექსპერიმენტი დააყენა და გოგო-ბიჭიანად ყველას ხელბურთის თამაში დააწყებინა. ეს კლასი ჯერ რაიონის ჩემპიონი გახდა, მერე მრავალგზის თბილისის ჩემპიონი და მოგვიანებით ამ კლასით დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრებიც. გუნდის კაპიტანი ყველა ეტაპზე მამუკა ხაზარაძე იყო.

- გამარჯვებები ბიზნესში და სპორტში ერთმანეთს ჰგავს?

**- რაღაცით ჰგავს. თამაში ბოლო აკორდია. მანამდე არის შრომა და ვარჯიში, რომელსაც შენი თანაგუნდელების მეტი ვერავინ ხედავს და თან ეს ყველაფერი დროის მოცემულ მომენტში უნდა მოასწრო. შეიძლება, ბიზნესში ასე კონკრეტულად დრო არ გაქვს მოცემული, მაგრამ მოგების მომენტი უნდა იგრძნო და წერტილი უნდა დასვა. ბაზარი სხვაგვარად არ მიგიღებს...**

**მაშინ სხვა ემოცია მქონდა, როცა იგებ, გუნდს განსაკუთრებული ემოცია აქვს - დავიხარჯეთ და რაღაცას მივაღწიეთ. ბიზნესში კი მიღწევა და დასვენება არ გამოდის. დღეს რომ ერთ კონტრაქტს მოაწერ ხელს, ხვალვე ახალზე იწყებ მუშაობას. როცა ბიზნესს ვიწყებდი, პატარა რაღაცის გახსნა (მაშინ მაღაზიები იხსნებოდა) უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, ვიდრე დღეს დიდი პროექტების კეთება, ის განსაკუთრებულად მახსოვს. ძალიან მიყვარდა თითოეული ის პროექტი.**

B2

# ენერგოგადაზიდვები საქართველოში

## რეალობა და პერსპექტივები

მარიამ ჭაჭვაძე

*ენერგორესურსები და მათი ტრანსპორტირების საკითხი საქართველოში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება, ძირითადად, ორი მიზეზის - ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა და ახლად აშენებული მილსადენების გამო.*




*ცხრილი 2.* ნავთობისა და ბუნებრივი აირის მილსადენები საქართველოში

| მილსადენი | ოპერატორი | მაქსიმალური წლიური სიმძლავრე | ტარიფი | ქართული სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია შემოსავლის ამოღებაზე |
|---|---|---|---|---|
| ბაქო-სუფსა (WREP) | BP | 5,75 მილიონი ტონა | $0.18 – $0.20 ბარელზე | საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია |
| ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC) | BP | 50 მილიონი ტონა | $0.12 – $0.14 ბარელზე | საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია |
| სამხრეთ კავკასიური მისადენი (SCP) | BP | 7, 4 მილიარდი სმ³/ (I ფაზა) 20 მილიარდი სმ³/ (II ფაზა) | 5% წინა წელს გატარებული მოცულობისა | საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია |
| ჩრდილოეთ სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენი | საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია | 16 მილიარდი სმ³/ | 10% წინა წელს გატარებული მოცულობისა | საქართველოს გაზის საერთაშრისო კორპორაცია |

B4

## კრედიტი საქართველოს ენერგოქსელის რეაბილიტაციისთვის

გერმანიის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკმა (KfW) საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქსელის რეაბილიტაციის და ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით 25 მილიონი ევრო გამოყო. გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები დღეიდან 3 გადამცემ ქვესადგურში დაიწყო: "სამტრედია-3", "ფოთი-2" და "მთავარი არხი" რუსთავში. KfW მთლიანად აფინანსებს აღნიშნული ქვესადგურების გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს, პარალელურად გამოცხადებულია ტენდერი სხვა მნიშვნელოვანი ქსელის რეაბილიტაციის და გამრიცხველიანების პროექტების შესრულებაზე.

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის განცხადებით, აღნიშნული ქვესადგურები საკვანძოა არა მარტო ენერგოკომპანიისთვის, არამედ მთლიანად საქართველოს ენერგოსისტემის მდგრადობისთვის. მაგალითად, "სამტრედია-3" უზრუნველყოფს დასავლეთ საქართველოში გენერირებული ჰიდროენერგიის გადაცემას მთელს დანარჩენ საქართველოში.

როგორც სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორი დინ უაითი აცხადებს: "ჩვენ მივესალმებით KfW საკრედიტო პროგრამას. საქართველოს რეგიონებში ამოღების მაჩვენებლის და 24-საათიანი ენერგომომარაგების ფონზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და აბონენტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. აღნიშნულ ქვესადგურებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ელექტროენერგიის მიწოდების სტაბილურობას დამდეგი ზამთრის განმავლობაში."

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისადმი მიძღვნილი სამახსოვრო მონეტის პრეზენტაცია

საქართველოს ეროვნულ ბანკში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებასთან დაკავშირებით მოჭრილი სამახსოვრო მონეტის პრეზენტაცია ხუთშაბათს გაიმართა. როგორც ეროვნული ბანკში განაცხადეს, სებ-ის დაკვეთით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებისადმი მიძღვნილი ვერცხლისა და სპილენძის, ნიკელისა და თუთიის შენადნობის სამახსოვრო მონეტები პოლონეთის ზარაფხანაში მოიჭრა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ რომან გოცირიძის განცხადებით, "დღეს ოფიციალურად დასრულდა სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგეტიკული მეგაპროექტის - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. იგი უნიკალურია და საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ პროექტით საქართველო, სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით, მსოფლიოს წამყვანი ენერგოსახელმწიფოების სრულფასოვანი პარტნიორი ხდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისადმი მიძღვნილი მონეტის მოჭრა დღევანდელი ისტორიული თარიღისა და თავად პროექტში საქართველოს როლის პოპულარიზებას შეუწყობს ხელს."

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებისადმი მიძღვნილი სამახსოვრო მონეტა საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმსა და ეროვნული ბანკის ფილიალებში გაიყიდება. ვერცხლის მონეტის ღირებულება 46 ლარია, სპილენძის, ნიკელისა და თუთიის შენადნობისა - 5 ლარი.

ავერსი: მონეტის წრიული კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია რეგიონის გეოგრაფიული რუკა. ზღვა წარმოდგენილია სარკისებური ზედაპირით; ხმელეთი (კონტინენტი) - ფაქტურული ზედაპირით; საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის ტერიტორიები - მქრქალი ზედაპირით. ისინი გამოყოფილია საზღვრებით.

ქალაქები: ბაქო, თბილისი, ჯეიჰანი აღნიშნულია რელიეფური წრეებით; მონეტაზე ნავთობსადენის მარშრუტი დატანილია ამობურცული სიბრტყით.

კომპოზიციის ზედა ნაწილში წრიულად გამოსახულია ორენოვანი წარწერა:- "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი" (ქართულად) და "Bაკუ-თბილისი-ჩეყჰან" (ინგლისურად); მათი შეერთების წერტილები მონიშნულია ორი მცირე წრით.

კომპოზიციის ქვედა ნაწილში რელიეფურად გამოსახულია ნომინალი "3" და ორენოვანი წარწერა: "ლარი" (ქართულად) და "Lარი" (ინგლისურად);

რევერსი: მონეტის წრიული კომპოზიციის ცენტრში რელიეფურად არის დატანილი სამი ნავთობჭაბურღილი, რომლებიც მდებარეობს კასპიის ზღვის ზედაპირზე გამავალ პლატფორმაზე. ზღვა გამოსახულია სიმბოლურად - კლაკნილი ხაზებით. ფონზე ორი განსხვავებული ზედაპირით (სარკისებური და ფაქტურული) წარმოდგენილია ამომავალი მზის კომპოზიცია.

ფაქტურულ ზედაპირზე ამოტვიფრულია მონეტის მოჭრის თარიღის აღმნიშვნელი წელი - "2006".

კომპოზიციის ზედა ნაწილში არის რელიეფური ორენოვანი წარწერა: წრიულად "საქართველოს ეროვნული ბანკი" (ქართულად) და "Nატიონალ Bანკ ოფ Gეორგია" (ინგლისურად); მათი შეერთების წერტილი აღნიშნულია მცირე წრით.

კომპოზიციის ქვედა ნაწილში რელიეფურად გამოსახულია პროექტის აბრევიატურა "თჩ" (ინგლისურად) და ფრთის სიმბოლური ორნამენტი.

მონეტის ესკიზის ავტორია მამუკა გონგაძე. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველოს საფონდო ბირჟაზე "ეკრანის" 693 ათასი ლარის აქციები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) ხუთშაბათს გამართულ 53 (638)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი იყო 16 კომპანიის ფასიანი ქაღალდები, რომელთაგანაც გარიგება დაიდო 11 კომპანიის აქციებზე. გარიგებების რაოდენობა 62 იყო, მათმა მოცულობამ 611 320 აქცია შეადგინა, ჯამურმა ღირებულებამ კი - 863 025 ლარი.

საფონდო ბირჟაზე ტელერადიომიმღებების მწარმოებელი კომპანია "ეკრანის" (EKR) 693 ათასი ლარის აქციები გაიყიდა. აღნიშნული კომპანიის აქციებზე წინა ვაჭრობასთან შედარებით ფასიანი ქაღალდების ღირებულება 453,12%-ით გაიზარდა. ერთი აქციის ფასმა 1,77 ლარი შეადგინა.

ხუთშაბათის ვაჭრობაზე "საქართველოს ბანკის" (GEB) 75 249 ლარის ღირებულების აქციები გაიყიდა. წინა ვაჭრობასთან შედარებით, ბანკის აქციების საშუალო შეწონილი ფასი 1,15%-ით გაიზარდა.

გარიგებები ასევე დაიდო "რეა-ქართუს" (REAQ), "ყაზბეგის" (KAZB), "მასპინძელის" (MASP), "გაერთიანებული ქართული ბანკის" (UGB), "თბილაბრეშუმი-ცისარტყელას" (TABR), "თბილისის სკოლების ინვენტარის ქარხნის" (TSIF), "უქსოვადი ქსოვილების" (UQQS), "ვაზიანის" (VAZI) და "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (UTC) აქციებზე.

11 ივლისს გამართულ საქართველოს საფონდო ბირჟის 52-ე (637-ე) სესიაზე გარიგებები დაიდო 10 კომპანიის აქციებზე და 1 კომპანიის ობლიგაციებზე. გარიგებათა რაოდენობამ - 89, მათმა მოცულობამ - 194 652 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ღირებულებამ 339 797 ლარი შეადგინა.

გაიყიდა "საქართველოს ბანკის" (GEB) 163,4 ათასი ლარის ღირებულების აქციები, 65,2 ათასი ლარის ღირებულების "საქართველო-ლადა"-ს (SLAD) აქციები, 51 ათასი ლარის ღირებულების "ყაზბეგის" (KAZB) აქციები, გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის (UTC) 37,5 ათასი ლარის ღირებულების აქციები.

სამშაბათის ვაჭრობაზე "საქართველოს ბანკის" 64 ობლიგაცია გაიყიდა, მათმა ჯამურმა ღირებულებამ 6 652 ლარი შეადგინა.

გარიგებები ასევე დაიდო "გაერთიანებული ქართული ბანკის" (UGB), "ტრანსმშენის" (TRMS), თბილისის მეოთხე საცხობის (TPU4), "პირიმზეს" (PIRM), გამომცემლობა "მანდარიას" (KTST) და "დავით სარაჯიშვილი და ენისელის" (ENIS) აქციებზე. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

ბიზნესისტორია

# გადაფრენა

პირველი გვერდიდან



ზაურ გელაშვილის ფოტოები

*ელენე მამასთან და ბებიასთან ერთად.*

მამა ინჟინერი ჰყავდა, დედა - ექიმია, ჰყავს და. განსაკუთრებით უყვარდა თავის ბავშვობის მეგობართან, გაგა კიკნაძესთან სახლში ყოფნა. მისი მშობლები არქიტექტორები იყვნენ და მოსწონდა ის შემოქმედებითი გარემო გაგასთან სახლში რომ სუფევდა. მამუკას ხატვა არ გამოსდიოდა, მაგრამ კარგად ეხერხებოდა სახლების კეთება. ჯერ ასანთის ღერებისგან აკეთებდა, მერე მეგობრის მამამ საიდანღაც სიგარეტის გრძელი, დაუჭრელი ფილტრები მოუტანა. ეს მორებად გამოიყენა, სახურავად კრამიტის მსგავსი დაახურა, ელექტრობა გაიყვანა. საბოლოოდ, ამ სახლმა რომელიღაც გამოფენაშიც გაიმარჯვა.

ხან აფრიან გემებს აკეთებდა, ხან - პატარა მატარებლებით ერთობოდა და თან ისე, რომ, მშობლებს დასაძინებლად ძლივს მიჰყავდათ. როგორც ყველა ბიჭს, მამასავით მშენებელი უნდოდა გამოსულიყო. საბოლოოდ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. აქაც იპოვა გატაცება - ხაზვა და კონსტრუქციები.

**- საინტერესო პერიოდი იყო. მასობრივი ღონისძიებების მომზადება მევალებოდა და თავი სტუდენტური დღეების ორგანიზებაში აღმოვაჩინე. ბევრი რამ ვისწავლე, გავიცანი შემოქმედი ადამიანები - რეჟისორები, მხატვრები, ვაჟთა კაპელაშიც ვმღეროდი. მერე სამედიცინო ინსტიტუტის ბიჭებთან ერთად მივხვდი, რომ კომკავშირი შესაცვლელი იყო და ბალტიისპირეთში გავემგზავრე, აქ უკვე მომხდარი ე.წ. უსისხლო რევოლუციის გამოცდილების გასაზიარებლად. ჩამოვედი, კომკავშირი გავაუქმეთ და ალტერნატიული ახალგაზრდული ორგანიზაცია დავარქვით. ამის გამო ჩემს მშობლებს სამსახურში პრობლემებიც კი შეექმნათ.**

**სამედიცინო ინსტიტუტმა დაგვასწრო და მთლიანად ამ ალტერნატიულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. პატარა მოდელი ჩვენს ფაკულტეტზეც გავაკეთეთ, მაგრამ მერე ცნობილი კატაკლიზმები მოხდა და ეს ამბავი აღარავის ახსოვდა.**

**ეს იყო მსოფლმხედველობის შეცვლის დასაწყისი, თუმცა მაშინ ეს გაცნობიერებული არ მქონდა. რაღაცას ალბათ, ინტუიტიურადაც ვაკეთებდი. შეიძლება იმიტომაც, რომ მოდურიც იყო, მაგრამ ეს ყველაფერი ერთად აღებული, დამოუკიდებელი აზროვნების დასაწყისს უფრო ჰგავდა. მანამდე რაღაც დიდის და საერთოს ნაწილი ვიყავი. "არა"-ს თქმა რაღაცაზე, როცა ყველა "ჰო"-ს ამბობს რთული იყო, მაგრამ მაშინ მივხვდი, რომ ეს ჩემთვის სასიამოვნოა. ეს აღმოჩენა ბიზნესში ძალიან დამეხმარა და მივხვდი, რომ დიდი ბედნიერებაა, ადამიანს ჰქონდეს არჩევანის უფლება. იმასაც მივხვდი, რომ "არა"-ს თქმა გაცილებით რთული იყო.**

### მუსიკა

ბავშვობაში ფორტეპიანოზე დადიოდა. სპორტსმენისა და გუნდის კაპიტანისთვის ძალიან რთული იყო ნოტებით პლეხანოვზე გავლა. ერთ დღესაც ეს უხერხულობა აუტანელი გახდა, მასწავლებლის სახლთან მისული უკან მოტრიალდა, მშობლებს კი უთხრა, შინ არ დამხვდაო. რა თქმა უნდა, არ დაუჯერეს - დალი მასწავლებელი ასე არასდროს არ იქცეოდა. მასწავლებელთან მამასთან ერთად გააბრუნეს. მამუკა ვითომ ზარს აჭერდა და ვითომ მასწავლებელი არ აღებდა... ეგონა, მამამ ეს ფანდი დაიჯერა, მაგრამ საღამოს მეზობელი ოთახიდან მამის ხმა გაიგონა - დაანებეთ თავი ამ ბავშვს, მოვკვდი მაგის საცოდაობითო... ფორტეპიანოდან გამოიყვანეს, ის კი სამ თვეში გიტარაზე შევიდა, შევიდა კი არა, შევარდა და გიტარასაც ამაყად დაატარებდა პლეხანოვზე. მერე კი ანსამბლიც ჩამოაყალიბა, სადაც სწორედ ამ ინსტრუმენტზე უკრავდა.



*ოჯახი ელენე ხაზარაძის შესრულებით.*

ოჯახი მის მავნე ჩვევებს მაინცდამაინც ვერც ახლა იხსენებს. სიგარეტიც კი არასდროს მოუწევია - როგორც ბავშვობაში დედას განუმარტა - არ მინდა გავაკეთო ის, რასაც ყველა აკეთებსო. გატაცებებიდან კი არ მოიშალა სიმღერა და განსაკუთრებით, პროფესიონალ მომღერლებთან.

ახლა ოჯახი წყალქვეშ ცურვისთვის თავის დანებებას სთხოვს მას შემდეგ, რაც წყალქვეშ სურათი გადაუღო ეგზოტიკურ თევზს, რომელიც თურმე თავისი შხამიანი ისრებით 20 წუთში კლავს ადამიანს.

**- წყალქვეშ სულ სხვა სამყაროა. უჰაერო სივრცეში ხარ, სხეული არაფერს არ ეყრდნობა, საკუთარი ხელების და სუნთქვის რეჟიმზეა დამოკიდებული შენი მოძრაობა და სიცოცხლეც. განსაკუთრებით გასაოცარია წითელი ზღვა, ეს წყალქვეშა მუზეუმია და იქიდან რაიმეს ამოღება კანონით ისჯება. სილამაზის გარდა, ყველაზე მთავარი ის არის, რომ წყალქვეშ საკუთარი თავისა და პარტნიორის იმედზე ჩადიხარ, ისე, როგორც მწვერვალზე ასვლისას. წყალქვეშ რაც არ უნდა მოხდეს, იქვე უნდა გადაჭრა პრობლემა. პანიკა არაფრით არ შეიძლება. მთლიანად დამოკიდებული ხარ შენი პარტნიორის თვალებზე. ხმელეთზეც დაახლოებით ასეა, მაგრამ ალტერნატივებიც არსებობს - სხვა მეგობარი გყავს.**

### აწ უკვე ტკბილი მოგონებები

25 მაისს, სკოლის დამთავრების დღეს, ექსკურსიის შემდეგ, 30-ე სკოლის სახელოვანმა სპორტულმა მეათე კლასმა მშობლიურ ქალაქზე გადმოსახედად მეტეხზე ასვლა გადაწყვიტა. ჰოდა, ავიდნენ (ხაზარაძე - გიტარით). იქ დახვდნენ უცნობები ორი მანქანით და კაპოტზე პურ-მარილით. ქეიფობდნენ, ცარიელ ბოთლებს და ნაგავს კი პირდაპირ მტკვარში ისვრიდნენ.

ჯიგარმა ბიძებმა შემოსწრებულებს სკოლის დამთავრება მოულოცეს და ახარეს, ჩვენც სწავლის დამთავრებას აღვნიშნავთო - "გეპეის" დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტები ყოფილან. ყოფილმა სტუდენტებმა - სამმართველოს უფროსებმა, მმართველებმა და ბრიგადირებმა 16 წლის ბიჭებს ცხოვრებისეული სიბრძნეები გაუზიარეს, ჭკუა დაარიგეს და თავზე ხელიც გადაუსვეს. ერთმა პატარამ იუკადრისა, თავზე რას მისვამ, ხელი გაწიეო და დაიწყო ჩხუბი არნახული - 15 მეათეკლასელი ბიჭი და 8 გოგონა (ირინა დედამ არ გაუშვა) ორ მანქანა მსხვილკისერა ტიპებს შეერკინენ. გოგოებიც მაგრად ჩხუბობდნენ. ეს დიდხანს გაგრძელდა - ზოგს თავი გაუტყდა, ზოგს თვალი ამოებერა, მაგრამ, ამ პატარებს არც ძალა ელეოდათ და წაქცეულებიც ბევრჯერ ადგნენ.

ამ ყველაფერს ქვემოდან, რიყიდან, თვალს ადევნებდა ერთ-ერთის მშობელი, რომელიც შეშინებული იქვე მდგარ ვილისიან ფორმიანებს მივარდა და უთხრა - ბავშვებს გვიხოცავენ, დაეხმარეთო. იმათ უთხრეს, რას ამბობთ, ქალბატონო, მაგათ თავს როგორ მოვაკვლევინებთ, 15 წუთია ვუყურებთ რაც ხდებაო...

მერე ერთ-ერთმა ყოფილმა დაუსწრებელმა მანქანის საბარგულიდან დიდი რკინა ამოიღო და პირდაპირ ხაზარაძეზე წამოვიდა. მოუქნია და დაარტყა... ხელი ულონოდ ჩამოვარდა (ეს ნაიარევი დღესაც ეტყობა). რა უნდა ექნა?! ადგა და თავისი სათაყვანებელი გიტარა თავდამსხმელს ზუსტად ისე ჩამოაცვა თავზე, როგორც ეს "რომაულ არდადეგებშია".

სახლში სტანდარტული ტყუილი თქვა - მოვრბოდი და გიტარაზე ამ ხელით დავეციო. ხელი არა, მაგრამ იმ დროისთვის ძნელად საშოვნელი ჩეხური გიტარა ძალიან ენანებოდა...

### შინ

ირინასა და მამუკას სიყვარულის ისტორია ერთი შეხედვით, მარტივია - მეექვსე კლასიდან ერთ კლასში სწავლობდნენ. მაგრამ ახირებული სასიძო სულ ამბობდა "სანამ ჩემი შემოსავალი არ მექნება, ოჯახს არ შევქმნიო". ირინა პროფესიით ინჟინერია, ინსტიტუტშიც ერთ დროსა და ეპოქაში სწავლობდნენ. რა თქმა უნდა, დიპლომებს და საკურსოებს მამუკა უხაზავდა. ისე, განსაკუთრებული ამაში არაფერი იყო, რადგან მეორე კურსზე თავის მეგობრებსაც დაუხაზა დიპლომები.

შინ არიან მამუკას დედა, ქალბატონი ზაირა, ირინა, პლუს კიდევ ოთხი ხაზარაძე: ამერიკული აკადემიის მოსწავლეები ანა (რომელიც უფრო არტმენეჯერობისკენ იხრება) და ნიკოლოზი (რომელსაც ჯერ ექიმობა უნდოდა, მერე - წამლების გამოგონება). ახლა ისინი ლონდონის საზაფხულო სკოლაში არიან. შინ არის აგრეთვე, მომავალი მხატვარი და ექიმი - 9 წლის ელენე (რომელსაც ჰყავს პატარა კვიცი, სახელად ხატია) და სულ პაწაწინა - სოფო. კიდევ - ორი გერმანული



*ირინა და პატარა სოფო.*

და ერთიც შუააზიური ნაგაზი. როგორც ჩანს, ძაღლები ამ ოჯახისთვის ბევრი არასდროს არ არის, რადგან ელენეს ძალიან უნდა კიდევ ერთი გერმანული ლეკვი, რომელსაც სულ პატარაობიდან თვითონ გაზრდის.

8 წელი წყნეთში ცხოვრობდნენ. სახლიც და ეზოც გაგა კიკნაძემ დააპროექტა - იმ არქიტექტორმა, რომელთან ყოფნაც მამუკას ბავშვობიდან უყვარდა და რომელიც მისი და მისი კომპანიების ყოველგვარ საარქიტექტორო საქმეს ხელმძღვანელობს.

...დრო მიდის, იზრდებიან ბავშვები და ორი ვერცხლისფერი ნაძვი, რომლის საახალწლოდ მოსართავად ჯერ მხოლოდ სკამი სჭირდებოდათ, მერე გრძელი კიბე. ამ ახალ წელს, რაღაც უნდა მოიფიქრონ...

- ჩვენს ქვეყანაში მდიდრებს ერთხანს სიძულვილითაც უყურებდნენ. ეს სტერეოტიპი შეიცვალა?

**- ვფიქრობ, რომ მდიდრების ცნებაც გაურკვეველი იყო. მდიდარს ბევრ ადამიანს ეძახდნენ. ბიზნესი იყო არეული პოლიტიკასთან, კრიმინალთან. ბიზნესის მიერ განვლილი გზა სულ თავიდან ბოლომდე გამჭვირვალე უნდა იყოს. ჩვენ ყველა ნაბიჯს ვატყობინებთ საზოგადოებას, ჩვენს შესახებ ყველაფერია ცნობილი. სამწუხაროდ, საქართველოში სულ რამდენიმე კომპანიას აქვს ეს კულტურა. იმედია, რომ დრო დადგება და ესეც გამოსწორდება. საზოგადოებას კი არაფერი გამოეპარება და თუ ის ხედავს, რომ ვიღაც არა საკუთარი შრომით, არამედ მის ხარჯზე მდიდრდება, ბუნებრივია, სიძულვილი გაჩნდება. მე ეს არ მიგრძვნია. ის კი მიგრძვნია - რატომ ამას და არა მეო... ამის ახსნას აზრიც არ აქვს.**



*მამაკაცები.*



*ანა.*

### 40 კვადრატული ჭავჭავაძეზე



*მეექვსე კლასიდან ერთად არიან.*

იმ კვლევითი ინსტიტუტიდან წამოვიდა და თქვა, რომ უნდა გააკეთოს ბიზნესი. მაშინ ქაოტურად იქმნებოდა პირველი კოოპერატივები, ასოციაციები. ამას სჭირდებოდა ფული, მამუკა ხაზარაძეს კი ის არ ჰქონდა.

ჭავჭავაძის გამზირზე, 40 კვადრატული ოთახი (იქ, სადაც ახლა "ვულე ვუა") იჯარით აიღო, საკუთარი ხელით გააკეთა რემონტი, რომლისთვისაც მასალები მშენებელმა მეგობრებმა მისცეს და სამხატვრო სალონი გახსნა. მხატვრებს გამოართვა სურათები, რომლებსაც ისინი ისედაც ხატავდნენ და გაყიდულიდან 15-პროცენტიანი საკომისიოთი დაიწყო ფულის მოგროვება - ეს იყო პირველი ბიზნესგეგმა. მაგრამ, ბიზნესჯგუფს ოფისი ხომ სჭირდება?! ალმასკომმა ნუცუბიძეზე 8 კვადრატული ნახევრადამოშენებული კუთხე გამოუყო - დანარჩენი თავად ააშენეთ და თქვენიაო. ააშენეს, მამას სამსახურიდან ჩამოწერილი ტელეფონი გამოართვეს და მიუხედავად იმისა, რომ არავინ ურეკავდა, მაინც ბედნიერები იყვნენ. ოფისს სახელად "შემოქმედებითი პროგრამების საერთაშორისო ასოციაცია" დაარქვეს, რადგან მამუკა ხაზარაძე, როგორც ყველა, ფიქრობდა, რომ საექსპორტო გვქონდა კულტურა და ის უნდა გაეტანა უცხოეთში.

ჭავჭავაძეზე გალერეის დირექტორად დანიშნა თავისი მეგობარი, ხიდებისა და გვირაბების კარგი სპეციალისტი და სურათების მოსატანად მხატვრებთან გააგზავნა. იმან კი ერთ ცნობილ მხატვარს ჰკითხა - შუშებიანი ნახატი რამდენი გაქვსო? მოკლედ, ცნობილ მხატვრებთან არაფერი გამოუვიდათ და საკუთარი ძმაკაცის ასევე ცნობილ მხატვარ მამას მიადგნენ. ის იყო ერთადერთი, ვინც ახალბედა გალერისტი მიიღო. აჩვენა ნახატები და დასძინა, რომ ისინი გერმანიაში 3000-დან 4 000 დოლარამდე ღირსო. გალერისტმა გადაითვალა, საკომისიო 400 დოლარამდე გამოსდიოდა. ეს მოეწონა და მხატვარს ჰკითხა - ასეთს დღეში რამდენს დამიხატავო... ცხადია, იქიდანაც გამოაგდეს და მოაძახეს - შენ დამფუძნებელ ხაზარაძეს უთხარი, თავი დამანებოსო.

გალერეამ კი იმუშავა, მაგრამ მამუკა მიხვდა, რომ საქართველოს ბაზარი ხელოვნებისთვის მზად არ იყო. ამიტომ, კიდევ ერთხელ ჩამოუარეს მხატვრებს და ნამუშევრები პეტერბურგში წაიღეს. ამ ნახატებს პეტერბურგში დამფუძნებლის მარკშეიდერი ძმაკაცი გაჰყვა. ნახატები მაშინ ერთადერთ 5-ვარსკვლავიან სასტუმრო "ასტორიაში" გამოფინეს და როცა ხაზარაძემ ნახატებს ჩააკითხა, ასეთი სურათი დახვდა - ეს მარკშეიდერი მეგობარი ფოიეში 15 პროფესიონალ ლამაზმანთან ერთად იჯდა. ისინი კლიენტს ელოდნენ, ეს - მყიდველს და ამ ლოდინში დაძმაკაცებულიყვნენ კიდეც.

■ ■ ■

**- სწორედ ამ ნახატებმა გაგვიყვანა კონტაქტზე ბიზნესმენებთან, რომელთაც ეგონათ, რომ ჩვენ ვართ ჩამოყალიბებული, წარმატებული ბიზნესმენები და თავისუფალ დროს ხელოვნებით ვერთობით. ის კი არ იცოდნენ, რომ უკან გადმოსაფრენი ფული ძლივს შევაკოწიწეთ. იქ გავიცანი ჩემი რუსი პარტნიორები, ჩემი ძირითადი პარტნიორი აგერ უკვე 14 წელია - ბობ მეიერი. მაშინ მივხვდი, რამხელა მნიშვნელობა აქვს ბიზნესში ნდობას. მე და ბობი დღემდე ასე ვართ - ჯერ სიტყვიერად ვთანხმდებით და მერე ამას იურისტები აფორმებენ. ბიზნესში ასეთი რამ ძალიან დიდი ფუფუნებაა.**

**მერე იყო პატარ-პატარა ობიექტები. "ჰეინეკენის" ბარი, რომლის საქართველოში გაყიდვის ლიცენზიაც ამ კომპანიამ ჩვენ მოგვცა; მერე სუპერმარკეტი, მაღაზია "ბატა" და ასე ნელ-ნელა. ყველა პროექტი იყო წარმატებული და იმის გარდა, რომ ვდებდით დიდ შრომას და გულს, შეთავაზებასაც ოდნავ ადრე ვაკეთებდით, ვიდრე სხვები. მოკლედ, პირველები ვიყავით.**

### იმ დროს საქართველოში...

პარტიულმა ნომენკლატურამ სასწრაფოდ ჩამოაყალიბა ბიზნესჯგუფები - ცეკავშირი, კოოპერაცია, "აგროპრომი", რომლებიც სახელმწიფოსგან გამოცალკევებული ინფრასტრუქტურა იყო. იგივე ბედი ეწიათ სახელმწიფო ბანკებსაც.

ისეთი საქმე (მერე ამას ბიზნესმოდელი დაერქვა) უნდა შეერჩია, სადაც უფულოდ გააკეთებდა ბიზნესს. ხაზარაძეს არ ჰქონდა ფული იმისთვის, რომ თუნდაც რაღაც ეყიდა ან გაეყიდა. ამიტომ შექმნა კერძო ბირჟა ბროკერების გარეშე. ასე შეიქმნა TBC (თბილისის ბიზნესცენტრი), ამავე დროს ჰოლანდიელ პარტნიორთან ერთად გახსნა მაღაზია "ბაბილონი", სადაც პირველი კონტეინერით მიღებული სხვადასხვა ტიპის საქონელი შეიტანეს.

აქედან შემოსულ ფულს კი შენახვაც სჭირდებოდა და კონვერტაციაც. რთული პერიოდი იყო - 1991-1992 წლები, შეიარაღებული ფორმირებები. საჭირო იყო ბანკი, რადგან ერთადერთს, ამ სტრუქტურას ჰქონდა დაცვის და სეიფების დაყენების უფლება. TBC ბანკმა სუფთა ფურცლით და 500-დოლარიანი საწესდებო კაპიტალით დაიწყო. არც კი ფიქრობდნენ, რომ ოდესმე გახდებოდნენ ისეთი ბანკების კონკურენტები, როგორებიც იყვნენ "შემნახველი ბანკი", "ბინსოცბანკი", "მრეწვმშენბანკი" - გიგანტები, რომელთაც კლიენტურაც ჰყავდათ და ინფრასტრუქტურაც ჰქონდათ.

თავიდან ე.წ. "ჯიბის ბანკის" გაკეთებას აპირებდნენ, მაგრამ მიხვდნენ, რომ საჭირო იყო ხალხი, ვინც იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე ფულის შენახვა იყო. ამიტომაც იმ დროისთვის არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღეს - არ წავიდნენ საბჭოთა დროს გაზრდილ ცნობილ ბანკირებთან. მივიდნენ უნივერსიტეტში და ეკონომიკის ფაკულტეტზე არსებული ექსპერიმენტული ჯგუფიდან, სადაც არა გეგმიურ ეკონომიკას, არამედ კაპიტალიზმის ეკონომიკას სწავლობდნენ, ახალგაზრდა ეკონომისტები წამოიყვანეს. ვახტანგ ბუცხრიკიძე, პაატა ღაძაძე და სხვები დღესაც ამ ჯგუფში მუშაობენ, ცხადია, ახლა უკვე უმაღლეს მენეჯმენტში. TBC ბანკის პრეზიდენტი ვახტანგ ბუცხრიკიძე დღესაც იხსენებს, როგორ ითვლიდნენ ჩუმად სამზარეულოში პირველ დეპოზიტს - ცნობილი ხელოვანის მიერ შესანახად მიბარებულ 3 თუ 4 000 ფუნტს და როგორ გაოცებულები ათვალიერებდნენ მათთვის უცნობ ფულის ნიშანს.

**- იმ პერიოდში უამრავი ბანკი გაიხსნა და ჩვენთვის ამ საქმეში ფული არ მოუთხოვიათ, მაგრამ რად უნდა იმას ლაპარაკი, რომ მაშინ ტოტალური კორუფცია იყო?! არ მინდა მამა აბრამის ბატკნად მოვაჩვენო ვინმეს თავი, მაგრამ ფული ხელში არავისთვის არ გადაგვიცია. არასდროს ამ გზით არ გვიყიდია ან ლიცენზია, ან რაიმე მომსახურება. მარტივად გეტყვით - "ბორჯომის" გაწმენდისა და სტრუქტურად ჩამოყალიბებისთვის რომ მაშინ პოპულარული მეთოდები გამოგვეყენებინა, კომპანია ორ წელიწადში ჩამოყალიბდებოდა და არა ათ წელიწადში. არ გვეყოლებოდა კონკურენტები, არ იქნებოდა ამდენი ლიცენზია და ბევრი სულელური ხელის შემშლელი ფაქტორი, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ. მაგრამ ქრთამის მიცემაზე თავიდანვე ვთქვით უარი და ეს ჩვენთვის პრინციპული საკითხი იყო ყოველთვის.**

გაგრძელება ჩვ გვერდზე

ბიზნესისტორია

# გადაფრენა

[illegible]

## პირველი მილიონი

ეს იღბალი უფრო იყო, ვიდრე პრაგმატულად გათვლილი ბიზნესოპერაცია (მაშინ საქართველოში ასეთი სიტყვები არც იცოდნენ, 1992 წელი იყო). პირველად ლუდის ოპერაცია იყო. ერთ-ერთმა ქართულმა კომპანიამ ამერიკიდან ქილის ლუდის დიდი პარტია შემოიტანა. საქართველოში კი არ აღმოჩნდა ტექნიკა, რომელიც ამ ლუდებს კონტეინერიდან გადმოტვირთავდა. [illegible]

მეორეც ასეთივე სარისკო ოპერაცია იყო, რასაც ახლა არც ერთი სერიოზული ბიზნესმენი არ გააკეთებს. იმ დროს საქართველოში კარაქი გაქრა. [illegible] ფული მოითხოვა იქამდე, ვიდრე კარაქს არ ჩამოიტანდნენ. ცხადია, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეს ოპერაცია ჩაიშლებოდა და ალბათ, მართლებიც იყვნენ. ხაზარაძემ მაშინ არსებული პირველი კომერციული "ქართლი ბანკიდან" კრედიტი აიღო. დაიქირავა სამგზავრო თვითმფრინავი, მოხსნა სკამები, დატვირთა კონიაკით და ბიძაშვილთან ერთად გაფრინდა. კონიაკებში ჩაკარგულ მგზავრებს პილოტმა ჰაერში შეატყობინა, რომ ტალინში პრემიერი გადადგა, ახალმა კი გამოუშვა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ქვეყნიდან ნებისმიერი პროდუქტის გატანა აიკრძალა. ესტონელი პარტნიორების წყალობით ქართული კონიაკი ტალინის მახლობლად რუსების სამხედრო ბაზაზე "დაჯდა." ბაზის უფროსმა ტვირთის დასაცლელად 3 საათი გამოყო - წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრაბანდისტობისთვის დაგიჭერთო. დღესაც ახსოვს ხაზარაძეს ამ გენერლის მძღოლმა როგორ ჩააწყო "ვილისში" 5 ყუთი კონიაკი და წაიღო. რა თქმა უნდა, ჩამოტვირთის არანაირი მოწყობილობა არ ჰქონდათ. ისევ ნატურით გადაიხადეს, 40 ჯარისკაცი "მარშბრასოკით" მოვარდა თვითმფრინავს და დაცლა დაიწყო. იქვე, ბაზაზე კარაქით სავსე ორი ტრაილერიც გამოჩნდა... თბილისის აეროპორტში თავისუფლება უკვე კარაქით "იყიდეს".

ერთ მშვენიერ დღეს კი ხაზარაძე ფულით სავსე ყუთით "ქართლი ბანკს" მიადგა, სესხი ხომ უნდა დაებრუნებინა?! სანამ კონიაკი მიფრინავდა და კარაქი მოფრინავდა, ამ ბანკმა გაკოტრება "მოასწრო". ცენტრალური ბანკიდან მოვლინებული ბანკირი "ქართლის" კარს ლუქავდა, როცა ხაზარაძე ყუთით ხელში გამოჩნდა. ბანკირმა, ხო არ გაგიჟებულხარ, სულ ცოტა მე მომეცი და დავიშალოთო...



[illegible]

- 23-24 წლის ვიყავი. [illegible]

- ხელის შემშლელი სხვაც ბევრი რამ იყო?

[illegible]

## Bob

[illegible]

დასხდნენ. რამდენიმე უშედეგო მცდელობის მერე გააჩერეს ერთი ახალგაზრდა კაცი და დამტვრეული რუსულით სთხოვეს, მიგვასწავლე ადგილი, სადაც ვივახშმებთო. ამ უცნობთან ერთადაც უშედეგოდ იარეს. ბოლოს, უცნობმა სთხოვა, 10 წუთის სავალზე გამომყევით, ნამდვილად ვიცი, ის ადგილი ღია იქნებაო. 8 მდიდარი უცხოელი მოგზაური უკვე შეგუებული იყო ბედს, რომ უვახშმოდ უნდა დაეძინათ, მაგრამ უცნობს ხათრი ვეღარ გაუტეხეს, გაჰყვნენ და ძველ თბილისში მივიდნენ. კაცმა გააღო ჭიშკარი და დაიძახა - ოთარ, გივი, ნათელა... ერთი კი მიესალმნენ უცნობებს და საქმეს შეუდგნენ - ვიღაცამ მაგიდა გამოიტანა, ვიღაცამ - საჭმელი და შუა ეზოში პურმარილი გაიშალა. სუფრა დილის 6 საათამდე გაგრძელდა. ბობიმ უცნაურ მასპინძელს თავისი მისამართი მისცა, იმან კი არ დაუბრუნა და მას შემდეგ ბობი ამ კაცს ეძებს. ძველ თბილისშიც იარა იმ ეზოს მოსაძებნად, რა ვიზები და წერილები არ აგზავნა თბილისის ფოსტამტში არსებულ ერთადერთ ფაქსზე, მაგრამ კომუნისტების ბოლო ჟამს ეს ფაქსები ამ კარგ კაცთან, ძველ თბილისში რო არ მოხვდებოდა, ხომ გასაგებია?!



*ბობი - ანტიკვარული "ბუგატით" იტალიაში მოგზაურობისას.*

1994 წელს კი ბობი იყო პირველი უცხოელი, ვინც აქ ცხოვრების უფლება აიღო. დღეს მას აქ სახლი აქვს და ისევ შეყვარებულია საქართველოზე.

რამდენიმე დღის წინ ბობი კიდევ ერთხელ გაოცდა - მანქანის უკანა სავარძელში ჩადო ჩანთა, სადაც იდო კომპიუტერი, ჩეკები და უამრავი მნიშვნელოვანი საბუთი. ეს თბილისი აღმართ-დაღმართის ქალაქია და ერთ-ერთ აღმართზე ბობის მანქანის საბარგული გაიხსნა, იქიდან კი საკმაოდ ძვირადღირებული ჩანთა გადმოვარდა. ეს ჩანთა პატრულმა ბობს 15 წუთში მოუტანა - უკან მომავალ ტაქსის მძღოლს ეს ყველაფერი დაუნახავს, მაგრამ რადგან ეს ქალაქი საცობების ქალაქიც არის, ბობის მანქანას ვერ დაწევია და ჩანთა უახლოესი პატრულისთვის გადაუცია. სახელი არც მას დაუბარებია და ახლა ბობი მეორე ადამიანსაც ეძებს - მუქი ვოლვოს მძღოლს.

**- როცა ჩემი მთავარი პარტნიორი ბობ მეიერი გავიცანი (ეს ლუდის ოპერაციის დროს მოხდა პეტერბურგში) პირველი, რაც მითხრა - ქართველებს ვიცნობ, მე ისინი მიყვარს და აუცილებლად ჩამოვალო. დღემდე ვსვამთ იმ უცნობის სადღეგრძელოს - ზოგადად ეს არის ქართველი კაცის საქციელი - გააკეთა სიკეთე და სანაცვლოდ არაფერი მოითხოვა, თან იმ დროს, როცა უცხოელის დანახვაზე, უკეთეს შემთხვევაში, ვიდეომაგნიტოფონს ან ჯინსს სთხოვდნენ, უარეს შემთხვევაში - ძარცვავდნენ.**

## ჰარვარდი არ კვდება

ტრადიციაა ასეთი - ყოველ წელს ჰარვარდის ჯგუფელები რიგრიგობით იკრიბებიან ერთმანეთის ქვეყნებში. ჰარვარდი არასდროს არ კვდება, მისი კურსდამთავრებულები მის წიგნებში, ჟურნალებში და ცნობარებში არიან. და თუ ჰარვარდელი ჰარვარდელს დახმარებისთვის მიმართავს, სადაც არ უნდა იყოს ვალდებულებაა ასეთი - უნდა დაეხმარო.

პროგრამა, რომელიც მამუკა ხაზარაძემ ჰარვარდში გაიარა, იმ ადამიანებისთვის არის შექმნილი, ვისაც უკვე აქვს ბიზნესი, არის პრეზიდენტიც და მფლობელიც (OPM). ამიტომ ჯგუფში სხვადასხვა ასაკის ადამიანები იყვნენ. წელს ეს შეკრება აფრიკაში შედგება - ზამბიასა და მალავაში. ხაზარაძის იტალიელი წარმოშობის ჯგუფელი 70 წელს არის მიტანებული. თავის დროზე, იტალიიდან ჩასული ამ ქვეყნის სილამაზით და იქაური კოლონისტის ქალიშვილით მოიხიბლა. ცოლად მოიყვანა და იქვე დასახლდა. დღეს ის აფრიკაში ყველაზე დიდი ნაციონალური პარკის მფლობელია. ჟურნალ National Geographics-ის სექტემბრის ნომერში ამ პარკში მდებარე იმ სასტუმროს სურათია, სადაც ჯგუფელები გაათევენ ღამეს. ოღონდ, ცოტა უცნაური რამ ხდება იმ სურათზე - სპილოები პირდაპირ სასტუმროს მისაღებში სეირნობენ. ზოგი ტელეფონს მიირთმევს და ზოგიც ავეჯს... შარშან ლას-ვეგასში შეიკრიბნენ, მომავალ წელს კი პერუ აქვთ დაგეგმილი. სპილოები სასტუმროში?! არა, ვერც ერთი ჰარვარდელი ამას საქართველოში ვერ ნახავს......

- ჩვენი ჯერი როდის არის?

**- ალბათ, პერუს მერე ჩამოვიყვან.**

- პირველ რიგში რას აჩვენებთ?

**- პირველად მცხეთაში წავიყვან, უფლისციხეში, მამადავითზე, შატილში, თუშეთში... ყველაფერს 4-5 დღეში ვერ მოვასწრებთ, მაგრამ სანახავი უამრავი რამ არის, არა?**

## ბორჯომი

1994 წელს TBC ჯგუფი სერიოზული იმპორტიორი იყო - ბანკი, საბითუმო საქონელი, ტანსაცმელი, საკვები პროდუქტები, ტექნიკა, ფეხსაცმელი და სხვა. ერთხელ, ბობ მეიერმა თქვა - თუ ქვეყნის განვითარება გინდათ, აუცილებლად რამე უნდა აწარმოოთო. მაშინ ქართული ჩაი უკვე განადგურებული იყო, ღვინის ჯგუფებიც არსებობდნენ და დარჩა ბორჯომი. დაიწყეს თუ არა, მაშინვე შეცდომა დაუშვეს - როცა არ იცი რას ეხები, საქმე მარტივი გგონია. ხაზარაძე ამბობს, ჩვენ რომ თუნდაც იმის 15 პროცენტი გვცოდნოდა, რაც ბორჯომში ხდებოდა, ამ პროექტს ხელს არასდროს მოვკიდებდითო. საბოლოოდ, ის შეცდომა გამოცდილებად იქცა.

ჯგუფს ეგონა, რომ ქარხანა იმიტომ ვერ უშვებდა პროდუქციას, რომ არ ჰქონდა საბრუნავი კაპიტალი. შუშის წარმოება გაჩერებული იყო, არ იყო ბაზარი და დისტრიბუცია. "ბორჯომის" საბჭოთა ქსელი ფალსიფიკაციით აივსო. ქარხნები გაძარცვული იყო. TBC ჯგუფმა ქარხანას ისეთი რამ შესთავაზა, რაზეც უარის თქმა არ შეეძლოთ, თუმცა ეს იყო ძვირი გზა. ხაშურის შუშის ქარხნის მეშვეობით ბორჯომის №1 და №2 ქარხნის ამუშავება. მიუხედავად იმისა, რომ სხვა კონკურენტი არ ჰყავდათ (შუშის ქარხანა არავის სჭირდებოდა), პრივატიზაციის პროცესში დახვდათ სისულელეები - თითქმის ყველა ქარხანა გაურკვეველი სტრუქტურული წარმონაქმნი იყო. შუშის ქარხანა ისე ამუშავდა, რომ დღეში 1 ლუმელი 250 000 ბოთლს უშვებდა. თუ ეს არ აითვისე, შუშის ბოთლების უზარმაზარ ქვეყანაში აღმოჩნდები.

სახელმწიფომ TBC ჯგუფის პარტნიორების - ევროპული ბანკი, სამი საერთაშორისო ფონდი - "ხათრით," საშინლად კაბალური პირობებით, მართვის უფლების ტენდერი გამოაცხადა. ჯგუფს არჩევანი არ ჰქონდა და პირობები მიიღო. მერე წყლის ლიცენზიის კონკურსი მოიგეს, მაგრამ იმავე საღამოს მაშინდელმა პრეზიდენტმა საკუთარი განკარგულებით, ამავე წყლისა და სახელის გამოყენების ლიცენზია კიდევ 16 სუბიექტს მისცა. ბრენდს (არც ეს ტერმინი გაეგონა მანამდე იმ 16 სუბიექტს) საფრთხე ემუქრებოდა.

ბოლოს და ბოლოს, მოსკოვში პირველი მილიონი ბოთლი გაგზავნეს, ქალაქის მერს, ლუჟკოვს შეხვდნენ, უთხრეს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს პირველი ნამდვილი "ბორჯომი" იყო და დახლებიდან ფალსიფიკაციის განსადევნად დახმარება თხოვეს. ლუჟკოვმა 20 წუთში თათბირი მოიწვია იკითხა - что мы пили до сих пор? ერთ-ერთმა მოადგილემ გაბედა და უთხრა: газированную москву реку... ერთ კვირაში გამოიცა მერის განკარგულება, რითიც მოსკოვის ტერიტორიაზე ბორჯომის ტიპის სასმელის ჩამოსხმა აიკრძალა. მაშინ ასე იყო - ყველა ქალაქში და ყველა ეზოში ასხამდნენ ბორჯომს.

...და დაიწყო დიდ სქემებთან ჭიდილი. კორუფციული გარიგებებიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი გზა უზარმაზარი უცხოური ინვესტიცია იყო და საქართველოში მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ევრობანკის 27 მილიონი დოლარის პირველი კომერციული საკრედიტო ხაზი გაიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში სახელისუფლო სტრუქტურების, სამინისტროების, დეპუტატების და სხვა ჯურის ხალხის დიდი ინტერესი იდო, იმ 16 ლიცენზიის გაუქმებას სასამართლო დაჭირდა, მაგრამ თითოეული ლიცენზიის გამოსყიდვა მაინც მოუხდათ.

გაჩერებულ "ბორჯომში" ერთ-ერთი ინვესტიცია ცნობილი ფრანგული წყლის, "პერიეს" ყოფილმა პრეზიდენტმაც ჩადო, "სასტიკი" სარეკლამო კომპანია გააჩაღეს მოსკოვში - მეტროში, ცელოფანის პარკებზე, თავად ბოთლებზე. იპოვეს პენსიონერი ბებიები, რომელთაც გაუპიროვნეს ტერიტორია, დაუდგეს ტელეფონები და კომპანიის ათასობით თანამშრომელი ბებია რეკავდა ოფისში იმის სათქმელად, თუ რომელ მაღაზიასა და ჯიხურში იყო ფალსიფიცირებული ბორჯომი.

რეალიზაციის ტემპი იზრდებოდა და 1998 წელს "ბორჯომმა" წარმატების პიკს მიაღწია... იმავე წელს კი რუსეთში ფინანსური კრიზისი დაიწყო და "ბორჯომი", რომელიც მაღაზიაში თითქმის დოლარი ღირდა, 5 ცენტი გახდა. გამოსავალი ისევ მსოფლიო ბანკისა და ევრობანკის ახალი ემისია იყო, კომპანია სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად და იმისთვის, რომ ბაზარი არ დაეკარგა, საკრიზისო მენეჯმენტზე გადავიდა. სამწუხაროდ, ახლაც იგივეს კეთება უწევთ.

**- ამ ორ კრიზისს შორის ის განსხვავებაა, რომ მაშინ ბორჯომი დახლებზე იდო. დღეს ეს აღარ არის. ყველაზე რთული კი დახლზე სანტიმეტრების მოპოვებაა - ბაზრის მოპოვება სხვა არაფერია. ეს სანტიმეტრებია სწორედ წილი ბაზარზე. ნებისმიერი დიდი კომპანიისთვის ამის აწყობაა მთავარი, დაკარგვით კი, ერთ წამში იკარგება. იმედი გვაქვს, რომ "ბორჯომი" ასე მარტივად არ ამოვარდება რუსეთიდან.**

**მაშინ მენეჯმენტმა გადაგვარჩინა და ახლაც იმედი გვაქვს, რომ ისევ ეს გადაგვარჩენს. ბორჯომი არის ის პრაქტიკული და გნებავთ, თეორიული გაკვეთილი, რაც კი შეიძლება ბიზნესმენმა მსოფლიოში მიიღოს. ჰარვარდის ბიზნესსკოლაში არსებობს საგანი - "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია", რომელიც ჰარვარდის პროფესორმა უოლტერ კუმერლიმ დაწერა. ამ საგანს 1999 წლიდან ასწავლიან. ამდენ ხანს არც ერთ ქეისს არ გაუძლია, მეექვსე წელია ეს არის ყველაზე წარმატებული საგანი. ამოსახსნელად ეს რთული ბიზნესი იყო - დაახლოებით ისეა, გემზე რომ ბევრი ნახვრეტია და ცდილობ, არ ჩაიძირო და გადარჩე. მათთვის საინტერესოა საბჭოთა მენტალობიდან ახალზე გადასვლაც. ყოველ წელს მე, ან ჩემი გენერალური დირექტორი ჩავდივართ, ვხვდებით სტუდენტებს და მათ შეკითხვებს ვპასუხობთ. დღეს პრაქტიკულად, ჰარვარდის სკოლადამთავრებულები მართავენ მსოფლიო ეკონომიკას.**

**არ შეიძლება დამოკიდებული იყო ისეთ გამოუცნობ ბაზარზე, როგორიც რუსეთია. მეორე კრიზისის დროს 25 ქვეყანაში მოვახდინეთ დივერსიფიკაცია და ამის მიუხედავად, რუსეთის დაბალანსება გვიჭირს. მარტო რუსეთის ბაზრიდან 150 მილიონი ბოთლი დაგვაკლდა. იმედია, ამ კრიზისსაც გავუძლებთ და გავიტანთ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში უკრაინაში დავფუძნდით და სამი უზარმაზარი კომპანია ვიყიდეთ. "ბორჯომის" სახელით შევქმენით ჰოლდინგი, ამ ქსელში შევუშვით ბორჯომი და უკრაინის მთელი ქსელი დავფარეთ. ახლა უკრაინულ წყლებთან ერთად ბორჯომს ქვეყნის მინერალური წყლების ბაზრის დაახლოებით 45 პროცენტი უჭირავს, ეს უდიდესი ციფრია. ამ მეორე კრიზისის წინ თანხის ბრუნვის თვალსაზრისით რუსეთში ყველაზე დიდ კომპანიად გამოვცხადდით. ჩვენს მერე იყო "კოკა-კოლა" და "პეპსი-კოლა". როცა ამ ორ გიგანტს აჯობებ, ეს სერიოზული წარმატებაა.**

- არასდროს გაგჩენიათ გრძნობა - ყველაფერს დავყრი და წავალ?

**- ძალიან ახალგაზრდა ასაკში ღმერთმა საჭირო ადგილზე და საჭირო დროს ჩამსვა, იმ დროისთვის უზარმაზარი კაპიტალის შექმნის შესაძლებლობა მომცა, არ დამაშვებინა შეცდომები, ბევრი განსაცდელი ამარიდა. იმ დროს მოსკოვში და პეტერბურგში კავშირები მქონდა, უცხოელებს ვიცნობდი. ვხედავდი, რომ რუსეთში ყველაფერი თუხთუხებდა, იზრდებოდა, შენდებოდა. ჩემი ქვეყანა კი ომისკენ მიდიოდა. მაშინ მივიღე საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება - ეს რაღაც ძალამ მიკარნახა და მადლობა ღმერთს, ეს გადაწყვეტილება სწორი იყო.**

**ბანკი, რომელიც ჩვენ აქ შევქმენით, თუ არ სჯობს, არაფრით არ ჩამორჩება იმ ბანკებს, რომელიც არის რუსეთში. ეს არის ტექნოლოგიურად და ინტელექტუალურად გამართული ბანკი, რომელიც თბილისიდან ამსტერდამში ან ლონდონში რომ გადადგა, იმუშავებს - ამის გარანტიას გაძლევთ. უბრალოდ, სხვა ზომა ვართ, თუმცა, არც ისე პატარა, როგორც სამი წლის წინ - TBC ახლა საშუალო ამერიკული ბანკის ხელაა.**

**სპორტული ჟინი მქონდა დამემტკიცებინა, რომ ქართველებს შეგვიძლია ბანკის გაკეთება, სერიოზული პარტნიორობა, რომ ქართველები არ ვართ მატყუარა ხალხი, თითქოს ვიღაცას და პირველ რიგში, საკუთარ თავს ვუმტკიცებდი ამას. ბოლო 14 წელი მთელი გუნდი პრაქტიკულად, ყაზარმულად ვმუშაობდით. მეგობრებით, ძმაკაცებით და ნათესავებით დავიწყე, ერთად შევქმენით და დავამკვიდრეთ მუშაობის წესები და ამ ხნის განმავლობაში არც სამეგობროში, არც სანათესაოში ერთი კონფლიქტიც არ მომხდარა. პრინციპი ერთია - 9-დან 6-მდე ვართ თანამშრომლები და თუ შენზე უკეთესი მენეჯერი არსებობს, ის შენ შეგცვლის. თუ გინდა დარჩე, საუკეთესო უნდა იყო. ამ კომპანიაში არანაირი დივიდენდი არ დარიგებულა 1999 წლამდე - ჩვენ ყველაფრის რეინვესტიციას ვაკეთებდით. ახალგაზრდები ვიყავით და ეს ძალიან რთული იყო - მუშაობ, მუშაობ, ხედავ, რომ კომპანია იზრდება და შენ მაინც "ნივით" და "09"-ით დადიხარ... ჩემი პირველი უცხოური მანქანა 1999 წელს ვიყიდე.**

- ახლა რა მანქანა გაქვთ?



*ამ სახლში ძაღლები ბევრი არასდროს არ არის.*

**- ამერიკული "კადილაკი". დღეს ჩვენს სისტემაში ვერ ნახავთ "მერსედესს". "მერსედესი" (ახალს ვგულისხმობ), არ არის მარტო მანქანა. გერმანიაში, მწარმოებელ ქვეყანაში, ვისაც ეს მანქანა ჰყავს, მის შესახებ მთელმა საზოგადოებამ იცის ვინ არის, რა შემოსავალი აქვს და მისით ამაყობენ. მე არ მყავს და არც არასდროს მეყოლება "მერსედესი", რადგან რაღაცა რაღაცას უნდა აღნიშნავდეს, ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს. დღეს საქართველოში მერსედესში ბიუროკრატიც ზის, გაბიზნესმენებული პოლიტიკოსიც. ეს მანქანა ჩემი სიიდან ამოღებულია.**

- მოტყუებისგან დამცავი მატრიცა გამოიგონეთ?

**- ამ ეტაპს გავცდით. ეს აღარ არის მხოლოდ ურთიერთნდობაზე დამოკიდებული ბიზნესი, ყველაფერი ინსტიტუციონიზებულია. მეც, ამის სათავეში მყოფმა, თვითონ შევქმენი ბევრი ისეთი დოკუმენტი, რაც ჩემს უფლებებს ზღუდავს. შეცდომისგან დაზღვეული არავინ არის. უფლებები შევიზღუდე, რადგან გადაწყვეტილების მიღებისას მაგიდის გარშემო ყველა თანასწორუფლებიანად უნდა გრძნობდეს თავს.**

**ჰარვარდში იხვების და ხარების ფრენის თეორიას ასწავლიან - თბილ ქვეყნებში გადამფრენი იხვები იდეალური გუნდია - პერიოდულად ლიდერი იცვლება, რადგან მასზე ჰაერის დიდი ზეწოლაა. ეს აწყობილი გუნდია და მხოლოდ იმიტომ იცვლება, რომ მთავარი მიზანი ერთი აქვთ - რთული გზა უნდა გაიარონ და თბილ ქვეყნებში ჩაფრინდნენ. არავის აქვს ამბიცია, რომ მარტო თვითონ უნდა იყოს წინ. ხარებთან სხვაგვარადაა - როცა ლიდერი კვდება ან სუსტდება, სხვა ხარები ლიდერობისთვის ერთმანეთს ებრძვიან. იღვრება სისხლი და ენერგია, ამ ბრძოლაში ძლიერი იმარჯვებს. ჰარვარდში ასწავლიან, რომ იდეალური მაშინ არის გუნდი, როცა ხარები იხვებივით დაფრინავენ. ეს ჩვენს გუნდს ახასიათებს. ყველაზე მთავარი ადამიანების პოვნაა. როცა ამ ადამიანებს ერთად მოუყრი თავს, დააწესებ თამაშის დემოკრატიულ და გამჭვირვალე წესებს, თან თუ ამას შედეგიც მოაქვს - ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ჩვენგან არავინ წასულა. ვინც მოდის, რჩება და თუ მიდის, ისევ ჩვენს სატელიტურ კომპანიებში.**

- პოლიტიკაზე არ გიფიქრიათ?

**- არა და არც ვიფიქრებ, რადგან იმდენად დიდი შრომა გავწიეთ და იმდენი რამ ვისწავლე ბიზნესში, რომ ჩემი ქვეყნისთვის აქ გაცილებით ეფექტური ვარ.**

## ჯეიჰანიდან ნავთობის პირველი პარტიის გაყიდვაზე ტენდერი გამოცხადდა

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ Azeri Light-ის მარკის ნავთობის პირველი პარტიის გაყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა თურქეთის ქალაქ ჯეიჰანის პორტიდან. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის სახნავთობკომპანიიდან აცნობეს.

ნავთობის პირველი პარტიის მოცულობა 1 მილიონ ბარელს შეადგენს. გადატვირთვა მიმდინარე წლის 11-13 აგვისტოსაა დაგეგმილი. ტენდერის შედეგები 19 ივლისს შეჯამდება.

ტრენდის ინფორმაციით, ნავთობის ბაზარზე ივლისში 6,6 მილიონი ბარელი Azeri Light-ის მარკის ნავთობის ექსპორტირება მოხდება.

AZERI LT FOB Ceyhan-ის ნავთობის ფასმა 11 ივლისს ერთ ბარელზე 72,18 აშშ დოლარი შეადგინა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## სათამაშო ბიზნესიდან ბიუჯეტის შემოსავლებმა 11,8 მილიონი ლარი შეადგინა

სათამაშო ბიზნესის სფეროში 2006 წლის პირველ ექვს თვეში 421 ლიცენზია გაიცა, ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ მთლიანობაში 11 მილიონი 823 ათასი ლარი შეადგინა, - განაცხადეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. მათი ინფორმაციით, საქართველოს კანონი "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ" აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების ორგანიზებისათვის თუ მოწყობისათვის შესაბამისი ნებართვის გაცემას ითვალისწინებს.

სათამაშო აპარატების სალონებზე იანვარ-ივნისში 314 ნებართვა გაიცა. ბიუჯეტში გადახდილი თანხა - 1 256 000 ლარი. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობისთვის კანონის შესაბამისად ბიუჯეტში გადასახადი 4000 ლარს შეადგენს.

ტოტალიზატორების მოსაწყობად 84 ნებართვა გაიცა. ბიუჯეტში გადახდილი თანხა - 504 000 ლარი. ტოტალიზატორის მოწყობა 6000 ლარი ღირს.

კანონის მიხედვით, სამორინეს მოწყობა საქართველოს მთელს ტერიტოტიაზე 5 000 000 ლარი ღირს, გარდა ბათუმის, დუშეთის რაიონის, ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიის, ქობულეთის, ბორჯომისა და წყალტუბოს რაიონების, სადაც აღნიშნული თანხა 250 ათას ლარს შეადგენს. სამორინეების მოსაწყობად 2006 წელს გაიცა 2 ლიცენზია - ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ 10 მლნ ლარი შეადგინა.

წამახალისებელი გათამაშების, ლოტოს და ბინგოს მოწყობის ღირებულებაა 3000 ლარი. პირველ ექვს თვეში წამახალისებელი ლატარიების მოსაწყობად 16 ლიცენზია გაიცა. ბიუჯეტში გადახდილი თანხა - 48 000 ლარი.

ლოტოს ორგანიზებისათვის გაიცა 4 ერთეული ლიცენზია. გადახდილი თანხა - 12 000 ლარი. ბინგოს ორგანიზებისათვის გაიცა 1 ლიცენზია. ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ 3 000 ლარი შეადგინა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## კომპანია "ვიმპელკომმა" ქართული ოპერატორის "მობიტელის" აქციების 51 პროცენტი იყიდა

ღია სააქციო საზოგადოება "ვიმპელკომმა" ფიჭური კავშირგაბმულობის ქართული ოპერატორი შპს "მობიტელის" აქციათა 51-პროცენტიანი პაკეტი შეიძინა. დარჩენილი 49 პროცენტი კვლავ "მობიტელის" მფლობელობაშია.

შპს "მობიტელის" 51-პროცენტიანი წილი 12,6 მილიონ ამერიკულ დოლარად გაიყიდა.

"მობიტელს" საქართველოში GSM-1800 სტანდარტების ფიჭური კავშირგაბმულობის ლიცენზია 2013 წლამდე ვადით აქვს. აღნიშნული კომპანია საქართველოში 2003 წლის ნოემბერში დაარსდა, თუმცა კომერციული საქმიანობა მას ჯერ არ განუხორციელებია. კომპანიის პრესრელიზის თანახმად, საქართველო დსთ-ს სივრცეში უკვე მეხუთე ქვეყანაა, სადაც "ვიმპელკომი" იმუშავებს ("ბილაინის" მარკით)

აღნიშნული კომპანიის ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ ქართულ ბაზარს დიდი პოტენციალი გააჩნია. "მოხარულები ვართ შეგატყობინოთ ჩვენი კომპანიის შესვლის შესახებ საქართველოში, სადაც 4,7 მილიონი მოქალაქე ცხოვრობს. ამ ბაზარს განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია," - განაცხადა "ვიმპელკომის" გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრა იზოსიმოვამ.

კომპანიის ცნობით, ქართული ბაზრის 55 პროცენტი კომპანია "ჯეოსელს" ეკუთვნის, 45 პროცენტი კი - "მაგთის". კომპანია "ვიმპელკომს" წარმომადგენლობები აქვს უკრაინაში, რუსეთში, ყაზახეთში და უზბეკეთში.

"ვიმპელკომის" ლიცენზია 237 მილიონი ადამიანით დასახლებული სივრცის ათვისების საშუალებას იძლევა.

ქართულ ბაზარზე შემოსვლით რუსული "ვიმპელკომი" საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე რუსული კომპანიების მოღვაწეობის დაკანონებას შეეცდება, - განუცხადა პრაიმ-ნიუს ბიზნესს ექსპერტმა ტელეკომუნიკაციების საკითხებში ზურაბ გორგაძემ.

რუსულმა კომპანიამ "მობიტელ"-ის აქციების სახით რეალურად მხოლოდ 1800-იანი სიხშირე იყიდა, რომელიც ქართული კომპანიის მფლობელობაშია. მისივე თქმით, "ვიმპელკომს" შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე თავისი დაფარვის ზონის გაფართოება, მაგრამ რეალური კონკურენციის გაწევა "მაგთისთან" და "ჯეოსელთან" მას გაუჭირდება. მხოლოდ ქსელის აგებას საქართველოს ტერიტორიაზე 2 წელზე მეტი დასჭირდება, - განაცხადა გორგაძემ.

ქართულ კომპანიებთან თანამშრომლობის სურვილი, რომელიც "ვიმპელკომის" განცხადებაშია გამოთქმული, გამორიცხავს "მაგთისთან" ან "ჯეოსელთან" გაერთიანებას ან რაიმე სახის გარიგებას, რადგან ქართულ ბაზარზე მოქმედ კომპანიებს ეს სიხშირეები არ სჭირდება.

"ვიმპელკომის" აქციების ფასი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე 0,9 პროცენტით შემცირდა. **პრაიმ-ნიუს-ბიზნესი**

## დღგ-დან შემოსავლები 16 პროცენტით გაიზრდება

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული 2006-2010 წლის განვითარების გეგმის მიხედვით, დამატებული ღირებულების გადასახადის(დღგ) მოცულობის ზრდა 16.0 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელია. მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ეს მაჩვენებელი 8.8 პროცენტის ფარგლებში იქნება;

2005 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლების დაჯამებისას აღმოჩნდა, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის სახით, რომლის წილი საგადასახადო შემოსავალში 43.1 პროცენტია, ნაერთ ბიუჯეტში 987.4 მლნ ლარი შევიდა. ამ მონაცემებმა საპროგნოზო მაჩვენებლის 105.2 პროცენტი შეადგინა. ზრდა, წინა წელთან შედარებით, 57.2 პროცენტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საბაჟო გადასახადის სახით 123.4 მილიონი ლარია მობილიზებული

2005 წლის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში საბაჟო გადასახადის სახით, 123.4 მლნ ლარია შესული. საბაჟო გადასახადს საგადასახადო შემოსავალში 5.4 პროცენტი უკავია.

ზრდა, წინა წელთან შედარებით, 23.2 პროცენტია. ეს მაჩვენებელი პროგნოზს 0.3 პროცენტით აღემატება. ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, სამომავლოდ საბაჟო გადასახადის მოცულობის ზრდა 11.4 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს მიმართ ეს მატება 1.1 პროცენტის ფარგლებშია გათვალისწინებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აქსის თაუერის მშენებლობა უკვე დაიწყო

სალომე ძაძამია

*ილია ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე პირველმა ქართულმა დეველოპერულმა კომპანია "აქსისმა" ორი ოცდაათსართულიანი ცათამბჯენის მშენებლობა დაიწყო.*

აღსანიშნავია, რომ ეს საქართველოს მასშტაბით უპრეცედენტო პროექტი გახლავთ. საქართველოში ყველაზე მაღალი, უნიკალური და მრავალფუნქციური შენობის, პირველი ქართული ცათამბჯენის "აქსის თაუერის" მშენებლობა უკვე მიმდინარე თვეში დაიწყება და მას პირველი ქართული დეველოპერული კომპანია "აქსისი" განახორციელებს.

კომპანია "აქსისის" კომერციული დირექტორი გოგა კაპანაძე აღნიშნავს, რომ "უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ, საქართველოში პირველ ცათამბჯენს უდიდესი მნიშვნელობა ექნება როგორც ქვეყნის არქიტექტურული განვითარების, ისე საქართველოს ევროსაბჭოში ინტეგრაციის საკითხებში. "აქსის თაუერი" საინტერესო ნაგებობა იქნება, და იგი როგორც სამშენებლო, ასევე შიდა მოწყობისათვის აუცილებელი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება."

მისივე განმარტებით, სამშენებლო სამუშაოებს "აქსისი", ძირითადად, საკუთარი ძალებით განახორციელებს. სხვა სამუშაოებისთვის მოწვეულია სერიოზული და უცხოური კომპანიები.

კომპანია "აქსისის" დეველოპერი გიორგი ჭყონია: "უკვე დასრულდა საძირკვლების გაკეთება და, ფაქტობრივად, მშენებლობა დაიწყო. ორ წელიწად-ნახევარში უკვე აშენდება პირველი ა კლასის ბიზნეს-ცენტრი თბილისში. ძირითადად, იქნება საოფისე ფართები, სამ სართულზე განთავსდება სავაჭრო ცენტრი, საკონფერენციო დარბაზები და ა.შ ყველაფერი ის, რაც სჭირდება თანამედროვე ევროპული სტანდარტების ბიზნეს-ცენტრს. ახლა, როდესაც საქართველო უცხოელი ინვესტორების ყურადღების ცენტრშია, სწორედ რომ დროულია ბიზნეს-ცენტრის აშენება, რადგან ინვესტორებს მაქსიმალური ხელშეწყობა და უმაღლესი კლასის ბიზნეს-ცენტრი სჭირდებათ.

ინფორმაციისათვის: პირველი ქართული 30-სართულიანი ცათამბჯენი, რომლის სიმაღლე 110 მეტრზე მეტს მიაღწევს, ორი, იდენტური ფორმის და სიმაღლის, თანაბარი მოცულობის კოშკისაგან იქნება შემდგარი. იგი 6000 კვადრატულ მეტრ ფართობს დაიკავებს. უნიკალურია, აგრეთვე, ამ ორი მოცულობის კონტრასტულობა, ანუ მოსაპირკეთებელ მასალათა სხვადასხვაობა - ერთი კოშკი მინით, ხოლო მეორე ქვით დაიფარება. "აქსის თაუერი" აღჭურვილი იქნება ბიზნეს-ოფისებისათვის საჭირო ყველა ელემენტით (საკონფერენციო დარბაზები, პარკინგი და სხვა).

კომპანია "აქსისის" პრეზიდენტის ალექსანდრე მეჟევიძის განცხადებით, "საოფისე ნაგებობას თავისი მოთხოვნები აქვს - გარკვეული ანტურაჟი და სივრცე სჭირდება. შესაბამისად, მოსაძებნი იყო შესაფერისი ადგილი. თანაც, ასეთი ადგილი თბილისში ბევრი არ არის, რადგან რელიეფური ქალაქია. შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი დედაქალაქის ცენტრალურ უბანში."

დედაქალაქის მერის გიგი უგულავას შეფასებით, "აქსის თაუერი" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მშენებლობა გახლავთ, რადგან ჭავჭავაძის გამზირი, სადაც იგი შენდება, ფაქტობრივად, საქმიანი ალაგის ფუნქციას შეიძენს."

თბილისის ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის ნიკა ჩხაიძის თქმით, "ქვეყანაში "აქსის თაუერი"-ს მსგავსი შენობის მშენებლობა პროგრესისა და წინსვლის მაჩვენებელია. ეს საკმაოდ რთულად ასაშენებელი შენობაა. სამაგიეროდ, იგი როგორც ჭავჭავაძის პროსპექტს, ასევე მთლიანად დედაქალაქს საქმიან იერს შესძენს."






## ამინდი

| | 14/07 | 15/07 | 16/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 32 | 22 | 22 |
| რიგა | 23 | 17 | 22 |
| ვილნიუსი | 27 | 12 | 14 |
| მოსკოვი | 32 | 29 | 32 |
| მინსკი | 34 | 18 | 18 |
| პარიზი | 25 | 26 | 28 |
| რომი | 33 | 33 | 32 |
| ლონდონი | 23 | 25 | 26 |
| მადრიდი | 32 | 32 | 35 |
| ბონი | 25 | 27 | 27 |
| ვარშავა | 26 | 21 | 20 |
| ათენა | 31 | 31 | 32 |
| ბერნი | 27 | 28 | 28 |
| ამსტერდამი | 22 | 22 | 23 |
| ოსლო | 19 | 23 | 24 |
| ანკარა | 33 | 33 | 33 |
| ვარნა | 33 | 37 | 28 |
| დელი | 41 | 48 | 48 |
| ტოკიო | 36 | 36 | 32 |
| კოპენჰაგენი | 22 | 22 | 23 |
| ბაქო | 33 | 33 | 32 |
| ერევანი | 40 | 38 | 38 |
| ასტანა | 24 | 25 | 26 |
| ჰელსინკი | 19 | 19 | 21 |
| დუბლინი | 20 | 22 | 22 |
| ლისაბონი | 37 | 36 | 38 |
| პრაღა | 24 | 24 | 22 |
| სოფია | 25 | 25 | 26 |
| ბუდაპეშტი | 34 | 27 | 26 |
| ბუხარესტი | 33 | 34 | 32 |

# ენერგოგადაზიდვები საქართველოში

პირველი გვერდიდან

რა მოაქვს მილსადენს ნავთობის გარდა? დღეს ამ კითხვას თბილისის თითქმის ყველა უბანში შეხვდებით, თუმცა მასზე პასუხის გაცემა არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა. ენერგორესურსების ტრანსპორტირებიდან სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლები და სხვა, მასთან დაკავშირებული მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი გაუმჭვირვალე და საზოგადოების უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელია. ქვემოთ გთავაზობთ მასალას, რომელიც "24 საათმა", ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის - "საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისთვის" - მიერ მოპოვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით მოამზადა. ინფორმაცია კოალიციამ სხვადასხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური გზებით მოიძია.

## ბაქო-სუფსა - პირველი მერცხალი

ბაქო-სუფსის (WREP) პროექტი იყო პირველი, რითაც ბრიტანული ნავთობკომპანია "ბიპი" BP საქართველოში შემოვიდა. ეს იყო, ფაქტობრივად, პირველი მილსადენი, რომელიც ქვეყანაში კერძო ინვესტიციებით აშენდა. ბაქო-სუფსის მილსადენი ექსპლუატაციაში 1999 წლიდან შევიდა, თუმცა მისი მშენებლობა 2 წლით ადრე დაიწყო. მილსადენის წლიური სიმძლავრე დღეისათვის 5 მილიონ 750 ათასი ტონაა (115 ათასი ბარელი დღეში), თუმცა, როგორც ამბობენ, დამატებითი საქაჩი სადგურების დამონტაჟების შემთხვევაში, წარმადობა 10 მილიონ ტონამდე გაიზრდება, რაც დღე-ღამეში 200 ათას ბარელს უდრის.

მილსადენის ექსპლუატაციის პირველ წელს, ანუ 1999 წელს ბაქო-სუფსით წელიწადში 24.8 მილიონი ბარელი ნავთობი გადაიზიდა, მომდევნო წელს ეს მაჩვენებელი 36.6 მილიონამდე გაიზარდა. 2001 წლიდან მოყოლებული კი, ხსენებული მილსადენის საშუალებით წელიწადში სტაბილურად 43-47 მილიონი ბარელის გადატანა ხდება.

ამ მილსადენში, ძირითადად, გაედინება აზერბაიჯანის სანაპირო ზოლის ე.წ. "პირველადი ნავთობი" კასპიის ზღვის რეგიონიდან, რომელსაც AIOC კონსორციუმი მოიპოვებს. ამავე მილსადენში გაედინება ყაზახური ნავთობიც, რომელსაც "შევრონის" კონსორციუმი აწარმოებს თენგიზის ნავთობის საბადოზე. ყაზახური ნედლი ნავთობი კასპიის ზღვაზე ბორნით გადააქვთ ბაქოს მახლობლად მდებარე საპორტო ქალაქში და შემდეგ, რკინიგზისა და მილსადენის საშუალებით, სუფსის შავი ზღვის ტერმინალამდე.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენიდან საწყის ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტი სატრანზიტო გადასახადის სახით ერთ ბარელზე 0.18 აშშ დოლარს იღებდა, თუმცა ეს განაკვეთი მოგვიანებით ჯერ 0.19 აშშ დოლარამდე, ხოლო 2004 წლიდან 0.20 აშშ დოლარამდე გაიზარდა. 1999 წელს სატრანზიტო გადასახადის სახით ბიუჯეტმა 700 ათასი აშშ დოლარი მიიღო, ხოლო ერთი წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა და 2004 წლისთვის 7 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია ამ შემთხვევაში არის შემოსავლების ამოღებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო ქართული მხრიდან.

## BTC - საუკუნის პროექტი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, რომელიც მაშინდელმა ხელისუფლებამ საუკუნის პროექტად შეაფასა, საქართველოში 2002 წელს დაიწყო. მილსადენი, ძირითადად, კასპიის ზღვის აუზის ნავთობის ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად აშენდა, და მისი მეშვეობით აზერბაიჯანული ნედლი ნავთობი საქართველოს გავლით თურქეთის ხმელთაშუა ზღვის პორტში - ჯეიჰანში იტვირთება.

მილსადენი სრული დატვირთვით მომავალი წლიდან დაიწყებს ფუნქციონირებას და მისი წარმადობა წელიწადში დაახლოებით 50 მილიონი ტონაა, რაც დღეში დაახლოებით 1 მილიონ ბარელს უდრის. საწყის ეტაპზე BTC-დან საქართველო სატრანზიტო გადასახადის სახით ერთ ბარელზე 0.12 აშშ დოლარს ღებულობს, თუმცა 2010 წლიდან დაგეგმილია მისი 0.14 აშშ დოლარამდე გაზრდა. გასულ წელს BTC ტრანზიტის საფასურმა 6 მილიონ 800 ათასი აშშ შეადგინა. მიმდინარე წლის ბოლომდე ბიუჯეტი 17 მილიონ 500 ათას, ხოლო მომდევნო წელს 26 მილიონზე მეტ აშშ დოლარს მიიღებს. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინასწარი გათვლებით 2011 წლისთვის ამ მილსადენიდან ქვეყნის შემოსავლები 51 მილიონ აშშ დოლ-

**ცხრილი 3.** ბაქო-სუფსის ნავთობსადენიდან მიღებული სატრანზიტო შემოსავლები

| | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოცულობა (მილიონი ბარელი) | 24.8 | 36.6 | 43.3 | 45.9 | 46.0 | 47.1 |
| საფასური (1 ბარელზე, აშშ დოლარი) | 0..18 | 0.18 | 0.18-0.19 | 0.19 | 0.19 | 0.19-0.20 |
| სატრანზიტო შემოსავლები (მილიონ აშშ დოლარში) | 4.5 | 6.5 | 8.5 | 8.7 | 8.7 | 9.3 |
| *აქედან* სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა (მილიონი აშშ დოლარი) | 0.7 | 1.4 | 3.8 | 4.3 | 6.6 | 6.9 |
| *აქედან* წავიდა დანახარჯების დასაფარად, საერთაშორისო ხელშეკრულებების პირობების თანახმად (მილიონი აშშ დოლარი) | 3.8 | 5.1 | 4.7 | 4.4 | 2.1 | 2.4 |

**ცხრილი 4.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) ნავთობისა და გაზის ტრანზიტის მოცულობა და შემოსავლები

| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| AIOC ნავთობის საწარმო (მილიონი ბარელი) | 114.6 | 192.0 | 265.0 | 338.0 | 338.0 | 374.5 | 411.0 | 411.0 |
| ბაქო-სუფსის გავლით | 46.0 | 46.0 | 46.0 | 46.0 | 46.0 | 46.0 | 46.0 | 46.0 |
| BTC-ს გავლით | 56.3 | 146.0 | 219.0 | 292.0 | 292.0 | 328.5 | 365.0 | 365.0 |
| BTC ტრანზიტის საფასური (აშშ დოლარი ბარელზე) | 0.12 | 0.12 | 0.12 | 0.12 | 0.12 | 0.14 | 0.14 | 0.14 |
| BTC ტრანზიტის საფასური (მილიონი აშშ დოლარი) | *6.8* | *17.5* | *26.3* | *35.0* | *35.0* | *46.0* | *51.1* | *51.1* |
| BTC ტრანზიტის საფასური (მშპ-ს %) | 0.12 | 0.29 | 0.41 | 0.52 | 0.49 | 0.60 | 0.63 | 0.59 |
| **SCP შემოსავლები:** | | | | | | | | |
| გაზის გაყიდვები თურქეთში (მილიარდი $м^3$) | | | 2.0 | 3.0 | 5.0 | 6.6 | 6.6 | 8.0 |
| საქართველოს 5% (სანაცვლო საფასური) (მილიარდი $м^3$) | | | 0.100 | 0.150 | 0.250 | 0.330 | 0.330 | 0.400 |
| გაყიდვების სავარაუდო ღირებულება (აშშ დოლარი ათას $м^3$-ში) | | | 100 | 102 | 104 | 106 | 108 | 110 |
| SCP ტრანზიტის საფასური (მილიონი აშშ დოლარი) | | | *10.0* | *15.3* | *26.0* | *35.0* | *35.7* | *44.2* |
| SCP ტრანზიტის საფასური (მშპ-ს %) | | | 0.16 | 0.22 | 0.36 | 0.46 | 0.44 | 0.51 |
| **BTC / SCP სატრანზიტო შემოსავალი (მილიონი აშშ დოლარი)** | **6.8** | **17.5** | **36.3** | **50.3** | **61.1** | **81** | **86.8** | **95.3** |
| **BTC / SCP სატრანზიტო შემოსავალი (მშპ-ს %)** | **0.12** | **0.29** | **0.57** | **0.74** | **0.85** | **1.06** | **1.07** | **1.11** |

არს გადააჭარბებს. კეთდება იმის პროგნოზიც, რომ ამ დროისთვის BTC-დან მიღებული შემოსავალი (მხოლოდ სატრანზიტო გადასახადის სახით) ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის 0.63 პროცენტს მიაღწევს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიდან საქართველოს მიერ მიღებული მთლიანი შემოსავალი, სავარაუდოდ, 700 მილიონ დოლარს მიაღწევს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია დაარსებულია ენერგოკომპანიების კონსორციუმის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს BP. ის არის ამ მილსადენის ოპერატორი კომპანია და მასში ფლობს 30.1-პროცენტიან წილს. დარჩენილი 69.9 პროცენტი კი კონსორციუმის 5 წევრზე ასე ნაწილდება: AzBTC (25 პროცენტი); Chevron (8.9 პროცენტი); Statoil (ნორვეგია) - 8.71 პროცენტი; TPAO (თურქეთი) - 6.53 პროცენტი; Eni (იტალია) - 5 პროცენტი; Total (საფრანგეთი) - 5 პროცენტი, Itochu - 3.4 პროცენტი; INPEX (იაპონია) - 2.5 პროცენტი, ConocoPhillips (აშშ) - 2.5 პროცენტი, და Amerada Hess (აშშ) - 2.36 პროცენტი.

## რას მიიღებს SCP-დან საქართველო?

SCP ანუ სამხრეთ კავკასიური გაზსადენი გადაიტანს გაზს შაჰდენიზის საბადოდან აზერბაიჯანში, საქართველოში, თურქეთსა და სხვა სახელმწიფოებში. გაზსადენი, რომლის სიგრძე 690 კილომეტრია, მიჰყვება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მარშრუტს თურქეთამდე, სადაც ის შემდეგ თურქეთის გაზგამანაწილებელ სისტემას უერთდება.

სამხრეთ-კავკასიური მილსადენების მაქსიმალური სიმძლავრე დაახლოებით 20 მილიარდი კუბური მეტრია წელიწადში, თუმცა მისი სრული დატვირთვისთვის საჭიროა კიდევ ხუთი დამატებითი კომპრესიის სადგურის აშენება. დღეს მილსადენის სიმძლავრე 7.4 მილიარდი კუბური მეტრია და გაყიდვების არსებული კონტრაქტების დაკმაყოფილება, სავარაუდოდ, 2009 წლისთვის მოხდება.

იმ შემთხვევაში, თუ შაჰ-დენიზისა და სამხრეთ-კავკასიური მილსადენის პარტნიორები მომხმარებელთა ახალი ბაზრების მოზიდვას მოახერხებენ, ისინი გაზრდიან ინვესტიციებს საბადოსა და მილსადენის განვითარების მეორე ეტაპისთვის, რაც გაზრდის მილსადენის სიმძლავრეს. თუმცა, როგორც მოსალოდნელია, ეს პროცესი 2012 წლამდე არ დაიწყება.

თავის დროზე საქართველოს მთავრობას ჰქონდა არჩევანი, რომ სამხრეთ-კავკასიური მილსადენის ექსპლუატაციის ძალაში შესვლიდან მიეღო ან სატრანზიტო გადასახადი, ან ბუნებრივი აირი. ენერგორესურსების დეფიციტისა და ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიიდან გამომდინარე, რაც ენერგომომწოდებლების დივერსიფიკაციას გულისხმობს, ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თანხის სანაცვლოდ მიეღო ბუნებრივი აირი, რომლის მოცულობა წინა წლის წარმადობის 5 პროცენტით განისაზღვრება.

გაზსადენის მშენებლობა უახლოეს სამ თვეში უნდა დასრულდეს, რომელიც სრულადფუნქციონირებას მომავალი წლიდან დაიწყებს. 2007 წელს საქართველოსთვის გამოყოფილი 0.1 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, ხოლო 2012 წელს ეს მოცულობა 0.4 კუბურ მეტრამდე გაიზრდება.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას შეუძლია, სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიისგან შეისყიდოს დამატებითი მოცულობის გაზი შეღავათიან ფასებში - 1000 კუბური მეტრი 55 აშშ დოლარად.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია თავის დროზე ჩამოყალიბდა GIOC იმ მიზნით, რომ განეხორციელებინა ნავთობის მილსადენებისა და ნავთობის გადაზიდვების სხვა საშუალებების რეაბილიტაცია საქართველოს ტერიტორიაზე, შესაბამისი საბანკო საინვესტიციო, ფინანსური, სადაზღვევო და სხვა ოპერაციები. კორპორაცია პასუხისმგებელია ასევე მილსადენებიდან (SCP, BTC და WREP) მიღებული შემოსავლების აკრეფაზე და სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვაზე.

კორპორაცია არის ძირითადი მიმღები და განმკარგველი ინფორმაციისა მილსადენებში გატარებული ნახშირწყალბადების ოდენობისა და სახელმწიფოს მიერ მიღებული სატრანზიტო გადასახადების შესახებ. შესაბამისად, ის ინფორმაციის გამჭვირვალობის მკაცრ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, დღემდე GIOC საკუთარი დასრულებული ვებგვერდი არ გააჩნია, შესაბამისად, ინფორმაცია მილსადენებისა და მასში გამავალი ენერგორესურსების შესახებ რთულად მოსაპოვებელია.

## ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი

ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი, რომლის მთლიანი სიგრძე 235 კილომეტრია, საქართველოს გარდა, ბუნებრივი აირით სომხეთს ამარაგებს. სხვათა შორის, სომხეთისთვის ეს არის გაზით მომარაგების ერთადერთი წყარო. ბუნებრივი აირის მომწოდებელი რუსული კომპანია "გაზპრომია", ხოლო გაზსადენის ეროვნული ოპერატორი - გაზის ტრანსპორტირების საერთაშორისო კორპორაცია. ტრანზიტის საფასურს ქართული მხარე ნატურით იღებს - გატარებული ბუნებრივი აირის რაოდენობის 10 პროცენტს.

2003 წელს ამ მილსადენით გატარებული გაზის მოცულობამ 1 მილიონ 300 ათასი კუბური მეტრი, ხოლო 2004 წელს 1 მილიონ 332 ათასი შეადგინა.

## სარკინიგზო გადაზიდვები იზრდება

გარკვეული მიზეზების გამო, 1990-იან წლებში ქვეყანაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სარკინიგზო გადაზიდვები მნიშვნელოვნად შემცირდა. "შავი ოქროს" საქართველოს გავლით სარკინიგზო ტრანზიტის განხორციელება არამიმზიდველი იყო რამდენიმე ფაქტორის გამო: სუსტი თანამშრომლობა საქართველოს ნავთობის კორიდორის მონაწილე პირებს შორის, ამ გზასთან დაკავშირებული კორუფცია და მეზობელი ქვეყნების ნავთობტერმინალების მზარდი კონკურენცია, რასაც, ბუნებრივია, რომ შედეგად ტრანზიტული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტვირთების შემცირება მოჰყვა. ამან კი, თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ ქვეყნის რკინიგზამ, საქართველოს ნავთობის ტერმინალებმა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკამ დიდი ფინანსური ზარალი ნახა.

უახლოესი წლების ტენდენციებს თუკი გადავხედავთ, აშკარაა, რომ რკინიგზით გადაზიდული "შავი ოქროს" მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება.

მიმდინარე წელს, 1 ივნისის მონაცემებით, საქართველოს რკინიგზით ქვეყანაში 5 მილიონ 971 ათასი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები გადაიზიდა, რაც, რკინიგზის ხელმძღვანელობის ინფორმაციით, 30 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

არცთუ შორეულ მომავალში, ექსპერტების პროგნოზით, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში მოსალოდნელია ნავთობის მოპოვება, რაც ავტომატურად გამოიწვევს საქართველოს გავლით ნავთობის სარკინიგზო გადაზიდვებს.

2004 წელს ყაზახეთმა 332 800 ტონა ნავთობი გადაიტანა საქართველოს რკინიგზით.

"ექსონმობილმა", რომელიც ფლობს აზერბაიჯანის ნავთობის ექსპორტირების უფლებას, უარი თქვა "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენის გამოყენებაზე და აზერბაიჯანულ კომპანია "აზერპეტროლთან" 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ამ კონტრაქტის თანახმად, 2010 წლამდე "ექსონმობილმა" 10 მილიონი ტონა აზერბაიჯანული ნავთობის ბაქოდან ბათუმამდე ექსპორტირება რკინიგზის საშუალებით უნდა მოახდინოს.

## რას იღებს სახელმწიფო გადაზიდვებიდან?

ენერგორესურსების ტრანზიტიდან ქვეყნის ბიუჯეტი, ძირითადად, სამი ტიპის შემოსავალს იღებს. სატრანზიტო გადასახადი ერთ-ერთი მათგანია, საიდანაც სახელმწიფო ახლო მომავალში (ანუ, როცა საქართველოზე გამავალი ორი მნიშვნელოვანი მილსადენი სრული დატვირთვით დაიწყებს მუშაობას) გაცილებით მეტ თანხებს მიიღებს, ვიდრე დღეს. სატრანზიტო გადასახადი განისაზღვრება მილსადენში გავლილ ყოველ ბარელ ნავთობზე, და სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში, ყოველ ტონა გადატანილ ტვირთზე დაწესებული გადასახადით. ინფლაციის პროცესებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში სატრანზიტო გადასახადი ცვალებადია. ასე, მაგალითად: 2001 წლამდე ყოველ ერთ ბარელ გატარებულ ნავთობზე სახელმწიფო ბიუჯეტი 0.18 აშშ დოლარის შემოსავალს იღებდა, 2001 წლის შემდეგ კი სატრანზიტო გადასახადი 0.19 აშშ დოლარამდე გაიზარდა.

თუმცა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის შემთხვევაში განსხვავებული ტარიფები მოქმედებს. მილსადენის მესაკუთრე კომპანიები 2010 წლამდე - ერთ ბარელზე 0.12 აშშ დოლარს, ხოლო 2010 წლის შემდეგ 0.14 აშშ დოლარს გადაიხდიან.

რაც შეეხება ბუნებრივი აირის მილსადენებიდან მისაღებ სატრანზიტო გადასახადს, ამ შემთხვევაში სახელმწიფო არ ღებულობს ფულად შემოსავალს ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი გაზის ორი მაგისტრალური მილსადენიდან. ფულის ნაცვლად, საქართველო იღებს გატარებული ბუნებრივი აირის გარკვეულ პროცენტს - სამხრეთ-კავკასიური გაზსადენიდან - 5, ხოლო ჩრდილო სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენიდან - 10 პროცენტს.

მეორე ტიპის შემოსავალი, რასაც სახელმწიფო ენერგოგადაზიდვებიდან ყოველწლიურად იღებს, ეს მოგების გადასახადია. მილსადენების ოპერატორი კომპანიები, ჩვეულებრივ, ექვემდებარებიან ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობას, რის თანახმადაც ისინი ვალდებულნი არიან, საკუთარი მოგებიდან გადაიხადონ ხსენებული ტიპის გადასახადი. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადმა ოპერატორმა კომპანია "ბიპიმ" მოგების პირველი გადასახადი, სახელმწიფოსთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, მიმდინარე წლის აპრილში გადაიხადა. არსებული მოცულობების გათვალისწინებით მოგების მთლიანი გადასახადი, რაც დაახლოებით 575 მილიონი აშშ დოლარს შეადგენს, 2025 წლამდე იქნება გადახდილი. "ბიპის" საქართველოს წარმომადგენლობაში ამბობენ, რომ 2010-2011 წლებში მოგების გადასახადის სახით საქართველოს ბიუჯეტი 50 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს.

მესამე ტიპის შემოსავალი, რასაც ქვეყნის მთავარი ხაზინა, ბოლო რამდენიმე წელია, რეგულარულად ღებულობს მილსადენების მფლობელი კომპანიებიდან, ეს მათ მიერ გადახდილი არაპირდაპირი გადასახადებია. კომპანიები, რომლებიც ამუშავებენ ან აშენებენ მილსადენს, ხშირად საკუთარ თავზე იღებენ გარკვეულ ფინანსურ ვალდებულებებს, უფრო ზუსტად: ისინი მხარს უჭერენ ქვეყანაში სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროგრამებს. თუმცა ამ შემთხვევაში მათ მიერ გაცემული გრანტების ადრესატები, როგორც წესი, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არიან. მართალია, ასეთ დროს ეს გრანტი არ არის სახელმწიფოს პირდაპირი შემოსავალი, თუმცა მათ გარკვეული [illegible] დასაფინანსებლად დაიხარჯებოდა.

## აჭარაში 12 ობიექტი გაიყიდება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ აუქციონზე გასაყიდად 12 ობიექტი გამოიტანა.

როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, ბათუმში მდებარე მუნიციპალური საწარმო "ჭოროხი"-ს დაუმთავრებელი მშენებლობა, რომლის ფართი 10 500 მ2-ს შეადგენს, 1 მილიონ დოლარად იყიდება.

შპს "ბათუმვაჭრობი"-ს საწესდებო კაპიტალიდან გამოტანილი № 1,2,3 საწყობების გასაყიდი საწყისი ღირებულება 235 ათასი აშშ დოლარია. ობიექტის საერთო ფართი - 4 724,6 მ2-ია.

ხელვაჩაურის რაიონში "ახალსოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის" საერთო ფართი - 128,6 მ2-ია, ერთსართულიანი კაპიტალური ქვის შენობის საწყისი გასაყიდი ფასი 10 ათასი აშშ დოლარია.

ქედის რაიონში მდებარე შპს "ქედის სატყეო მეურნეობის" საწესდებო კაპიტალში შემავალი კაფე "ჭადრების" საერთო ფართი 104,6 მ2-ს შეადგენს და მისი საწყისი ფასი 3 ათასი დოლარია.

ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. № 92-ში ორი არასაცხოვრებელი ფართის (91,83 მ2 და 68 მ2) გასაყიდი საწყისი ფასები, შესაბამისად, 18,5 და 14 ათასი აშშ დოლარია.

ქობულეთში, რუსთაველის ქ. № 166ა-ში რამდენიმე არასაცხოვრებელი ფართი იყიდება. ამ ობიექტებიდან სამი ხელმეორედ იყიდება აუქციონზე, ხოლო დანარჩენი - ახალ ობიექტებს განეკუთვნება. მათი ჯამური საწყისი ღირებულება 97 ათას დოლარს შეადგენს.

აუქციონები 11 აგვისტოს 17 საათზე გაიმართება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## "ფოლკსვაგენისა" და "აუდის" შესაძენად ავტომოყვარულები საქართველოში ჩამოვლენ

თბილისში კომპანიების "ფოლკსვაგენისა" და "აუდის" რეგიონული საბაჟო საწყობი გაიხსნება. მისი დახმარებით ავტომოყვარულები აღნიშნული კომპანიების ავტომობილებს და ავტონაწილებს საქართველოშივე შეღავათიან ფასში, დროისა და ფულის დაზოგვით შეიძენენ.

პროექტის პრეზენტაციის მიზნით, 14 ივლისს, 15:00 საათზე, სასტუმრო "თბილისი მერიოტში" საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნება, რომლის ორგანიზატორია ცნობილი ფირმა "კრეს ავტოჰაუსი" (Kres AutoHaus GmbH).

კონფერენციას "ფოლკსვაგენისა" და "აუდის" წარმომადგენლები, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდი, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული დელეგაციები დაესწრებიან.

"ფოლკსვაგენისა" და "აუდის" რეგიონული საბაჟო საწყობი საქართველოში გაიხსნება, თუმცა არა მხოლოდ ადგილობრივ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, არამედ აზერბაიჯანს და სომხეთსაც მოემსახურება.

პროექტის ინიციატორები აცხადებენ, რომ საწყობის ამოქმედება გაზრდის "ფოლკსვაგენისა" და "აუდის" გაყიდვებს, მნიშვნელოვან შემოსავალს მოუტანს საქართველოს ბიუჯეტს, გააუმჯობესებს სერვისს, შეამცირებს სატრანსპორტო და სხვა ხარჯებს. **ინტერპრესნიუსი**

## საფონდო ბირჟაზე გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია და საქართველოს ბანკი ლიდერობს

გუშინ, 13 ივლისს, საფონდო ბირჟაზე გამართულ რიგით 53 (638)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი 16 კომპანიიდან გარიგება დაიდო 11 კომპანიის აქციებზე.

როგორც გასულ კვირას გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის აქციებზე მოთხოვნა კვლავ იზრდება. დღეს გამართულ აუქციონზე ამ კომპანიის აქციებზე 36 გარიგება დაიდო და 31742.12 ლარი შეადგინა.

გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის შემდეგ მოთხოვნა საქართველოს ბანკის აქციებზე შეინიშნება. ბანკის აქციებზე 14 გარიგება დაიდო და ჯამურმა მოცულობამ 75 249.16 ლარი შეადგინა.

დანარჩენი კომპანიის აქციებზე კი თითო გარიგება დაიდო. გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 60, ჯამური მოცულობა - 611,320 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ჯამური ღირებულება - 863,025.14 ლარი.

განაცხადები ყიდვა-გაყიდვაზე იყო, აგრეთვე, შემდეგი ემიტენტების [illegible] **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ფაბიო კანავარო:
"ჩვენ დავიმსახურეთ!"



C2

ევროპის
ნაკრები



C3

შვიდკაცა
დიდ ქალაქში



C4

## ჟურნალისტები უშბიდან დაეშვებიან

18 ივლისს დაბა მესტიის გამგეობა, სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია და ფესტივალი "ნიამორი" უშბის პლატოზე აწყობს ჟურნალისტთა შეჯიბრებას სამთოსათხილამურო სპორტში. ღონისძიების გენერალური სპონსორია კომპანია "რუსული ალკოჰოლი", საინფორმაციო მხარდაჭერა - სპორტული გაზეთი "სპორტი".

შეჯიბრება მეორედ იმართება. ორგანიზატორები გვპირდებიან, რომ ის ტრადიციული გახდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეჯიბრების გაშუქებამ შეიძლება უცხოელ ინვესტორთა ყურადღებაც მიიპყროს, რადგან ევროპაში ძალიან ცოტაა ისეთი ადგილი, სადაც ზამთარ-ზაფხულ შეიძლება თხილამურებით სრიალი. კომპანია "რუსულ ალკოჰოლს" გამარჯვებულთათვის დაწესებული აქვს პრიზები. სწორედ ეს კომპანია გვპირდება, რომ მომავალში ამ ღონისძიებას ყოველთვის მხარში ამოუდგება და ფინანსურ დახმარებასაც გაუწევს.

## კოკაის მარცხი

ივლისის ბაშოზე ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ მეხუთე ბრძოლა გამართა და კოკოა ტოკიტენეკუსთან დამარცხდა, თუმცა, დადებით ბალანსს მაინც ინარჩუნებს. ქართველი გოლიათის ანგარიშზე სამი გამარჯვება და ორი მარცხია.

დღეს კოკაის პრინციპული დაპირისპირება ელის. მისი მეტოქე იქნება აღმოსავლეთ კონფერენციის მესამე მაიგეშირა როხო, რომელსაც ივლისის ბაშოზე ისეთივე შედეგი აქვს, როგორც კოკაის.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოკაი და როხო სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ჯერჯერობით უპირატესობას ფლობს რუსი სუმოისტი, რომელსაც სამიდან ორი ბრძოლა აქვს მოგებული. საერთოდ, როხო კოკაისთვის უხერხული მეტოქეა, თუმცა, იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად ქართველი იზეიმებს გამარჯვებას.

## საუკეთესოთა შორის ორი ქართველია

განახლდა რუსეთის ჩემპიონატი. ამ დღეებში გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები, რომლის შემდეგაც რუსულმა მედიამ ტურის სიმბოლური ნაკრები დაასახელა. რუსი ჟურნალისტების რჩეულ ფეხბურთელებში ორი ქართველი მოხვდა. სამარის "კრილია სოვეტოვის" ნახევარმცველი დავით მუჯირი, რომელმაც ორი საგოლე გადაცემა გააკეთა და მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველი მალხაზ ასათიანი.

## იტალიაში ლიპის შემცვლელს ეძებენ

მარჩელო ლიპიმ უკვე დატოვა იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოცდილი სპეციალისტის შემცვლელის ძებნა დაიწყო. ყველაზე რეალურ კანდიდატად რობერტო დონადონი ითვლება. ამ ვაკანსიაზე შესაძლოა დაინიშნონ აგრეთვე ჯანლუკა ვიალი, კლაუდიო ჯენტილე, ალბერტო ძაკერონი და კლაუდიო რანიერი.

## რიბერი შეთავაზებებს ელის

მსოფლიო ჩემპიონატზე გაიბრწყინა საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ. ამბობენ, რომ "მარსელის" ფეხბურთელზე ახლა დიდი მოთხოვნილებაა. უცხოური მედიის ინფორმაციით, ამ ფეხბურთელის შეძენა თითქმის ყველა გრანდს სურს, თუმცა, რიბერის აგენტის განცხადებით, მას ჯერ კონკრეტული წინადადება არც ერთი კლუბისგან არ მიუღია.

"ამბობენ, რომ რიბერის "არსენალი" იწვევს. შემიძლია ზუსტად გითხრათ, რომ ლონდონური კლუბის წარმომადგენლებს არ შევხვედრივარ. არც რომელიმე სხვა კლუბისგან გვაქვს შემოთავაზება. ჯერჯერობით სულ ესაა. ასე რომ, რიბერი კლვავ "მარსელის" ფეხბურთელად რჩება", - აცხადებს ნახევარმცველის აგენტი.

## მარადონას მწვრთნელობა არ სურს

ლეგენდარული ფეხბურთელი დიეგო მარადონა არ აცხადებს პრეტენზიას არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

"თუ ვინმეს სურს, რომ ეს თანამდებობა დავიკავო, ჩემი პოვნა ძნელი არ არის. პირადად მე ინიციატივას არ გამოვიჩენ", - ამბობს მარადონა, რომელმაც არგენტინის ნაკრების წარუმატებელი თამაში მთლიანად ხოსე პეკერმანს დააბრალა.

რაც შეეხება პეკერმანს, მართალია, მან მუნდიალის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ დატოვებს ნაკრებს, მაგრამ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებმა მწვრთნელს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს.

## იუჰანსონი რჩება

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა აცნობა უეფას აღმასრულებელ კომიტეტს, რომ კიდევ ერთხელ იყრის კენჭს უეფას პრეზიდენტის პოსტზე.

შეგახსენებთ: დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო საუბარი იმაზე, რომ იუჰანსონის ადგილს პლატინი ან ბეკენბაუერი დაიკავებდნენ. თანამედროვე ფეხბურთის ორი ლეგენდა არჩევნებში უნდა დაპირისპირებოდა ერთმანეთს. ორივე ამბობდა, რომ დიდი სიამოვნებით დაიკავებდა უეფას პრეზიდენტის პოსტს, თუმცა, ამატებდნენ: საკუთარ კანდიდატურას მხოლოდ იმ შემთხვევაში წარადგენდნენ, თუ იუჰანსონი პრეზიდენტობაზე უარს იტყოდა. ახლა, ეტყობა, ყველაფერი შეიცვლება. გამორიცხული არაა, რომ მომავალ არჩევნებში იუჰანსონი საერთოდ უალტერნატივო კანდიდატურა იყოს.

# ამერის ბანანცური დებიუტი



"ბანანცმა" მეორე ქართული გუნდი დაამარცხა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მიხეილ აბაიშვილი

"ეს არის ფეხბურთი? თავს და ყელს ერთად გვჭრიან. შუბლის ძარღვი საერთოდ არ ჰქონიათ თუ დაბადებისთანავე გაუწყდათ? სირცხვილია, როდემდე ვითმინოთ ასეთი შეურაცხყოფები. მერე გამოდიან და იძახიან - ქართული ფეხბურთი წინ მიიწევსო. ჩემს თავად სტადიონზე კიდევ მომსვლელის...", - ასეთი მონოლოგით დატოვა გუშინ მიხეილ მესხის სტადიონი ერთმა ჭარმაგმა გულშემატკივარმა, რომელსაც ასაკიდან გამომდინარე ეტყობოდა, რომ ქართული ფეხბურთის ბევრი ნათელი ფურცელი ახსოვს. რას ვიზამთ, თუ ადრე "ლივერპულებთან", "ინტერებთან" და "ფეინორდებთან" ვმეტოქეობდით, დღეს ვიღაც "ბანანცები" გადაულახავ ზღუდედ გვექცევია.

მატჩის წინა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მფლობელი "ამერის" მთავარმა მწვრთნელმა, გიორგი ჩიხრაძემ აღნიშნა, რომ მისი გუნდი თამაშის ისეთი ანგარიშით დასრულებას შეეცდებოდა, რომელიც განმეორებით შეხვედრაზე ნერვიულობის საბაბს აღარ მისცემდა. რას ერჩი ჩიხრაძეს, პრინციპში, ასეც მოხდა - საკუთარ მოედანზე მარცხი იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ სტუმრად სანერვიულო აღარ გქონდეს და ტურისტის რანგში ეწვიო ერევანს.

თუმცა, მოდით, ირონია იქით იყოს და თამაშს დავუბრუნდეთ. ამ ახალგაზრდული გუნდის მიმართ პირადად მე დიდ სიმპათიებს განვიცდი. სწორედ ამიტომ მსურს "მოყვარეს პირში უძრახეს" პრინციპით ვისაუბრო. ასე თამაში არ შეიძლება. ის, რასაც გუშინ "ამერის" ფეხბურთელები მოედანზე აკეთებდნენ, საკუთარი გულშემატკივრის, საკუთარი თავის შეურაცხყოფაა. შეიძლება ვინმემ გასასამართლებელ საბუთად "ამერის" დებიუტანტობა მოიშველიოს. კი ბატონო, ეს გუნდი პირველად თამაშობს ევროსარბიელზე, მაგრამ ეს არგუმენტი გუშინდელი უსუსური თამაშის ასახსნელად აშკარად არ კმარა. სრული ქაოსი დაცვაში იმ იშვიათ ეპიზოდებში, როცა "ბანანცი" შეტევაზე გადმოდიოდა. როცა მატჩის ერთადერთი გოლი გავიდა, ეს კი მეათე წუთზე მოხდა, სომეხმა თავდამსხმელმა, ტადევოსიანმა აშკარად გაისეირნა "ამერის" დაცვის ხაზში და ხუთი ამერელი "დამკვირვებლის" გარემოცვაში ზუსტი დარტყმა განახორციელა. ამ ტადევოსიანმა დანარჩენი 65 წუთის განმავლობაშიც აგვიკლო, შემდეგ კისილოვმა შეიცოდა ამერის მცველები და ეს ფეხბურთელი შეცვალა. სრული ერთფეროვნება შეტევის ხაზში და უამრავი ტექნიკური წუნი, რომელიც ქვაჩახიადან იწყებოდა და წინამძღვრიშვილით მთავრდებოდა. რითი იყო ამერელთა ასეთი სისუსტე განპირობებული, ნამდვილად ვერ ავხსნი. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ გუნდი აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. აზრი არ აქვს რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფას და გაკრიტიკებას. მეკარით დაწყებული, ცენტრფორვარდ წინამძღვრიშვილით დამთავრებული, ყველამ საშინლად ითამაშა. კიდევ უფრო დამთრგუნველი ის ფაქტია, რომ მსაჯმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე გააძევა ერთი ფეხბურთელი და "ამერმა" თითქმის 40 წუთი კაცნაკლული მეტოქის კართან ერთი რეალური მომენტიც კი ვერ შექმნა. სომხები მასპინძლების ყველა უილაჯო შეტევას განსაკუთრებული დაძაბულობის გარეშე, აუღელვებლად იგერიებდნენ და როცა შესაძლებლობა ეძლეოდათ, გაცილებით სახიფათოდ უტევდნენ "ამერის" კარს.

**თბილისი, მიხეილ მესხის სტადიონი**
**უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**
**ამერი (თბილისი) - ბანანცი (ერევანი, სომხეთი) 0:1 (0:1)**

**ამერი:** ქვაჩახია, კედელაშვილი (სევასტოპულო, 67`), დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დეკანოსიძე, გაბისკირია(ბოლქვაძე, 54`), ჯელაძე, დოლიძე (დობროვოლსკი, 82`), დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი. მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე

**ბანანცი:** რადაჩა, სიმონიანი, ჩერევკო, ბურდიანი, ხიზანიანი, მელქონიანი, იენეზიანი (აირაპეტიანი, 68`), სარქისიანი(გრიგორიანი, 90`), სარაკელიანი, აკოფიანი, ტადევოსიანი(მურადინაი, 76`). მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი კისელოვი.

**გაფრთხილება:** ბურდიანი, ჯელაძე.

**გაძევება:** ბურდიანი 53`, ჯელაძე 89`.

**მთავარი მსაჯი** ალბერტ ტუსანი (ლუქსემბურგი)

გაგრძელება A2 გვერდზე

## ვან ნისტელროი თითქმის მადრიდელია

რუუდ ვან ნისტელროის სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო აღარ სურს "მანჩესტერ იუნაიტედში" დარჩენა. ამის თაობაზე ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე იყო ცნობილი. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰოლანდიელი მეგოლე ფაქტობრივად უკვე "რეალის" ფეხბურთელია. სამეფო კლუბი მზადაა ვან ნისტელროიში 15 მილიონი ევრო გადაიხადოს.

## 50 მილიონი რუსეთის ფეხბურთს

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციამ რეკორდული გარიგება გააფორმა კომპანია "როსგოსნეფტთან", რომლის თანახმადაც რუსული ფეხბურთი 50 მილიონ დოლარს მიიღებს.

უცხოური საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, ამ კონტრაქტის უკან რომან აბრამოვიჩი დგას. სწორედ ამ კონტრაქტის გამოისობით შეძლო რუსეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მთავარ მწვრთნელად გუუს ჰიდინკის მოწვევა, რომელმაც რუსებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## რონალდუ არ იყიდება

"მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ სცადა გაექარწყლებინა ჭორები, რომლებიც კრიშტიანუ რონალდუს ტრანსფერს უკავშირდება. მოგეხსენებათ, ფეხბურთელის განცხადებით, ის მანკუნიანურ კლუბში დაბრუნებას არ აპირებს და მადრიდის "რეალში" სურს კარიერის გაგრძელება.

ბრიტანული გრანდის ხელმძღვანელთა განცხადებით, რონალდუ ტრანსფერს არ ექვემდებარება და კლუბი მის გაყიდვას არ აპირებს. ამავე დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ რონალდუ მანჩესტერში არ ჩადის. მეტიც: ფეხბურთელი კლუბის წარმომადგენელთა სატელეფონო ზარებსაც კი არ პასუხობს.

## ჰამანი "სიტიში" გააგრძელებს კარერას

1996 წლის ევროპის ჩემპიონი, გერმანიის ნაკრების ექსნახევარმცველი დიტმარ ჰამანი "მანჩესტერ სიტიში" აპირებს კარიერის გაგრძელებას. ბრიტანული მედიის ცნობით, ჰამანმა უკვე მიაღწია შეთანხმებას "ქალაქელებთან" და კონტრაქტიც უახლოეს დღეებში გაფორმდება.

## სავიოლამ "არსენალი" აირჩია

ლონდონის "არსენალი" სადაცაა კონტრაქტს გააფორმებს ხავიერ სავიოლასთან. არგენტინელმა ფორვარდმა ლონდონურ კლუბში თამაშზე თანხმობა განაცხადა. "ბარსელონამ" არგენტინელი 4 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეაფასა. ამ თანხის გადახდაზე "მეთოფეები" ყაბულს არიან.

## პარაგვაი მარტინომ ჩაიბარა

არგენტინელი სპეციალისტი ხერარდო მარტინო პარაგვაის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მარტინომ ამ თანამდებობაზე შეცვალა ანაბელ რუისი, რომლის ხელმძღვანელობითაც პარაგვიას ნაკრებმა პირწმინდად ჩააგდო 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი.

## ვანჩოპე არგენტინაში ითამაშებს

"როიტერის" ინფორმაციით, კოსტა-რიკის ნაკრების თავდამსხმელი პაოლო ვანჩოპე არგენტინაში გააგრძელებს კარიერას. 30 წლის ფორვარდმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა "როსარიო სენტრალთან".

ვანჩოპეს არგენტინაში გადასვლის ინიციატორი გახდა "როსარიოს" გენერალური მენეჯერი ორასიო კარბონარი, რომელთან ერთადაც კოსტარიკელი ფეხბურთელი 90-იან წლებში "დერბი ქაუნთიში" თამაშობდა.

ახლახან დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ვანჩოპემ სამი გოლი გაიტანა, გერმანიასთან გახსნით მატჩში კი დუბლი შეასრულა.

## "ინტერი" რონალდუს დახმარებას ცდილობს

მილანის "ინტერის" ხელმძღვანელთა განცხადებით, მათ შეუძლიათ პორტუგალიელ ნახევარმცველ კრიშტიანუ რონალდუს, რომელსაც "მანჩესტერში" დაბრუნება აღარ უნდა, პრობლემები მოუგვარონ. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელებმა კატეგორიული უარი განაცხადეს პორტუგალიელის გაყიდვაზე, იტალიური პრესა ირწმუნება, რომ რონალდუს "ინტერში" გადაბარგების დიდი შანსია.

საქმე ის გახლავთ, რომ, გავრცელებული ცნობით, "ინტერი" მზადაა "მანჩესტერს" რონალდუს სანაცვლოდ ბრაზილიელი თავდამსხმელი ადრიანო გადაულოცოს და ზედ 15 მილიონი ევროც დაამატოს. თავის მხრივ, ინგლისელებმა მანამდე განაცხადეს, რომ ვან ნისტელროის შემცვლელად ადრიანო ესახებათ.

## "ლიონი" და "რეალი" დიარაზე ბჭობენ

საფრანგეთის ჩემპიონ "ლიონისა" და მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში ფრანგული კლუბის ნახევარმცველის მამადუ დიარას "სამეფო გუნდში" გადასვლის საკითხს განიხილავს. "რეალის" ახალ თავკაცს ფაბიო კაპელოს დიდი სურვილი აქვს 25 წლის ფეხბურთელი "სანტიაგო ბერნაბეუზე" იხილოს.

კლუბის გამოცვლა თავად მამადუსაც უნდა. ამის მიზეზი "ლიონის" თავკაცთან ჟერარ ულიესთან ბოლო ხანს დაძაბული ურთიერთობაა.

## "არსენალი" უოლკოტს მცველში ცვლის

ლონდონის "არსენალის" ხელმძღვანელობა გუნდის ახალგაზრდა თავდამსხმელის თეო უოლკოტის "ვესტ ბრომვიჩის" მცველის კერტის დევისში გაცვლას აპირებს. "მეთოფეთა" ფრანგი თავკაცი არსენ ვენგერი დევისს სოლ კემპბელის შემცვლელად მოაზრებს.

ცოტა ხნის წინ "ვესტ ბრომვიჩმა" უარით გაისტუმრა დევიდის შეძენის მსურველი "ტოტენჰემი", რომელიც ფეხბურთელში 6 მილიონ ფუნტ სტერლინგს იხდიდა. გუნდის ხელმძღვანელთა თქმით, 21 წლის ფეხბურთელის ფასი არანაკლებ 10 მილიონი ფუნტია. თავის მხრივ, "არსენალმა" ოპტიმალური ვარიანტი შეიმუშავა - ლონდონური კლუბი მზადაა 8 მილიონი ფუნტი გაიდაიხადოს თეო უოლკოტის დამატებით.

# ამერის ბანანცური დებიუტი



| | |
|---|---|
| **უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები:** | |
| არტმედია (სლოვაკეთი) - ვიტ ჯორჯია (საქართველო) | 2:0 |
| ამერი (საქართველო) - ბანანცი (სომხეთი) | 0:1 |
| მიკა (სომხეთი) - იანგ ბოიზი (შვეიცარია) | 1:3 |
| ორასიე (ბოსნია) - დომჟალე (სლოვენია) | 0:2 |
| ქარვანი (აზერბაიჯანი) - ტრნავა (სლოვაკეთი) | 1:0 |
| დინამო (ალბანეთი) - ცსკა (ბულგარეთი) | 0:1 |
| ვენტსპილსი (ლატვია) - გოთუ (ფარერები) | 2:1 |
| ლევადია (ესტონეთი) - ჰაკა (ფინეთი) | 2:0 |
| ზაგლებიე (პოლონეთი) - დინამო (ბელორუსი) | 1:1 |
| ვარტექსი (ხორვატია) - ტირანა (ალბანეთი) | 1:1 |
| ჟენესი (ლუქსემბურგი) - სკონტო (ლატვია) | 0:2 |
| ჰიკი (ფინეთი) - დროჰედა (ირლანდია) | 1:1 |
| ვარდარი (მაკედონია) - რუზელარე (ბელგია) | 1:2 |
| სარაევო (ბოსნია) - რეინჯერსი (ანდორა) | 3:0 |
| ბატე (ბელორუსი) - ნისტრუ (მოლდოვა) | 2:0 |
| რანდერსი (დანია) - აკრანესი (ისლანდია) | 1:0 |
| გეტებორგი (შვედეთი) - დერი სიტი (ირლანდია) | 0:1 |
| ზიმბრუ (მოლდოვა) - ყარაბახი (აზერბაიჯანი) | 1:1 |
| გეფლე (შვედეთი) - ლანელი (უელსი) | 1:2 |
| ლინი (ნორვეგია) - ფლორა (ესტონეთი) | 1:1 |
| უიპეშტი (უნგრეთი) - ვადუცი (ლიხტენშტაინი) | 0:4 |
| აპოელი (კვიპროსი) - მურატა (სან მარინო) | 3:1 |
| რაპიდი (რუმინეთი) - შლემა უონდერერზი (მალტა) | 5:0 |
| ლოკომოტივი (ბულგარეთი) - მაკედონია (მაკედონია) | 2:0 |

პირველი გვერდიდან

ეს შეტევები ქვაჩახიას ისე ანერვიულებდა, რომ შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და სრულიად უწყინარ სიტუაციებში ბურთს ხან კუთხურზე იგერიებდა, ხან მეტოქეს აბარებდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, სტადიონზე მისული ორიათასამდე გულშემატკივარი სერიოზულად დაფიქრდებოდა - იქნებ ფეხბურთი ჩვენი საქმე საერთოდ აღარ არის? სამწუხაროდ, ეს რიტორიკული შეკითხვა ბოლო წლების განმავლობაში აქტუალობას არ კარგავს.

"ბანანცი" კი ქართულ კლუბს ევროსარბიელზე ზედიზედ მეორედ ამარცხებს სტუმრად. გასულ სეზონში ერევნელებმა უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან თბილისის "ლოკომოტივი" გამოთიშეს, დაამარცხეს რა ამავე არენაზე 2:0 (ერევანში "ლოკომოტივმა" მოიგო 3:2).

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა ორი კვირის შემდეგ, 27 ივლისს ერევანში გაიმართება.

აქვე გამცნობთ, რომ გუშინვე, სლოვაკეთში გაიმართა უეფას თასის საკვალიფიკაციო ტურნირის კიდევ ერთი მატჩი ქართული კლუბის მონაწილეობით. პეტრჟალკას "არტმედიამ" "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლა და დაამარცხა ანგარიშით 2:0. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა თბილისში 27 ივლისს შედგება.

# ზიდანი და მატერაცი - სერიალი გრძელდება

საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი ზინედინ ზიდანი ტელეკომპანია Canal+-სა და TF1-სთვის მიცემულ ინტერვიუში მოყვა, თუ რა მოხდა 9 ივლისს იტალია-საფრანგეთის ფინალურ მატჩში მასა და მატერაცის შორის.

"პირველ რიგში, მე კაცი ვარ, - ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი ზიდანმა, - თავიდან მაისურზე მომქაჩა. მე ხუმრობით ვუთხარი, თუ ჩემი მაისური გინდა, მატჩის შემდეგ გაგიცვლი-მეთქი. შემდეგ შეურაცხყოფა მომაყენა მე, დედაჩემს და ჩემს დას. იმ სიტყვებს ახლა ვერ გავიმეორებ. თავიდან მოვითმინე, მაგრამ მატერაცი არ დაცხრა და შეურაცხყოფა გაიმეორა. არის სიტყვები, რომელთა მოსმენას მირჩევნია მცემონ. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. ვაელარ მოვითმინე და... დანარჩენი თავადაც ნახეთ. არ ვნანობ, რომ მატერაცის დავარტყი. მისთვის ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ. ჩემი მხრიდან ბოდიშის მოხდა იმას ნიშნავს, რომ მარკოს სიმართლე ვაღიარო. არადა, მატერაცი მტყუანია. ბოდიში კი მაინც მაქვს მოსახდელი ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვინც იმ თამაშს თვალი ადევნა. მესმის, რომ ჩემს საქციელს გამართლება არა აქვს. მინდა პატიება ვთხოვო მილიონობით ბავშვს, ვინც ეს ყველაფერი ნახა".

ახლა რაც შეეხება მატერაცის. იტალიელი ფეხბურთელი უარყოფს, რომ შეურაცხყოფა მიაყენა ზიდანის დედას. მატერაცის თქმით, მის სიტყვებში რასისტულიც არაფერი ყოფილა. თავად ზიდანმაც თქვა, რომ მატერაცის მისთვის რასისტული შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

"მისთვის არაფერი მითქვამს ისეთი, რაც რასიზმს უკავშირდება. არც დედა-



*ზიდანის ტელეინტერვიუ*

მისი მიხსენებია. 15 წლის ვიყავი, როდესაც დედა დავკარგე და, მერწმუნეთ, ჩემთვის ახლაც ძალიან ძნელია დედაზე საუბარი. არც ის ვიცოდი, რომ ზიდანის დედა საავადმყოფოში იყო. მას გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. არ უარვყოფ, რომ შეურაცხყოფა მის დას მივაყენე. ეს მართლაც ასე იყო. თავად ზიდანს უდიდეს პატივს ვცემ, ის დიდი ფეხბურთელია. არ მეგონა, რომ მინდორზე ასე მოიქცეოდა. გთხოვთ, დამიჯეროთ, რომ მცოდნოდა, რის გაკეთებასაც აპირებდა, აუცილებლად მის თავს თავს შევუშვერდი და მსაჯი ორივეს გაგვაძევებდა. ვფიქრობ, ეს ყველაზე სამართლიანი იქნებოდა", - ამბობს მატერაცი.

მოკლედ, რაც მოხდა მინდორზე, ასე თუ ისე, ნათელია. მატერაცის ზიდანისთვის ალჟირელი ტერორისტი არ უწოდებია, უხამსი სიტყვებით კი, ეტყობა, მართლაც ზიზუს და მოიხსენია.

ერთი შეხედვით, თითქოს ამით ყველაფერი უნდა დასრულდეს. მართალია, ფიფა ამ საქმეს იძიებს, მაგრამ ფეხბურთიდან წასული ზიდანის დასჯა ალბათ არაფერს მოიტანს, მატერაცის დასჯით კი ბევრი არაფერი შეიცვლება. თუმცა არსებობს ამ საქმის გაგრძელების კიდევ ერთი გზა, რომელიც ფრანგმა ადვოკატმა მეანა მუხუმ იპოვა.

როგორც ირკვევა, მუხუ სასამართლოში აპირებს ჩივილს, რათა გაუქმდეს საფრანგეთ-იტალიის მატჩის შედეგი.

ალბათ საინტერესოა, რა ფაქტებს ეყრდნობა მუხუ, როდესაც ამას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ ფიფას კანონებით საფეხბურთო მატჩისას ვიდეოგამეორების გამოყენება დაუშვებელია. მუხუ ამტკიცებს, რომ შეხვედრის არბიტრს ჰორაციო ელისონდოს და მის თანაშემწეებს არ დაუნახავთ, თუ როგორ დაარტყა ზიდანმა მატერაცის. ის, ვინც მატჩს თვალი ადევნა, ალბათ ამ მოსაზრებას გაიზიარებს, რადგან ელისონდო იმ მომენტში ინციდენტისგან შორს იყო და ზიდანიც მხოლოდ თანაშემწეებთან თათბირის შემდეგ გააძევა. ფრანგი ადვოკატის მტკიცებით, არგენტინელმა არბიტრმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღო ზიდანის გაძევების გადაწყვეტილება, რაც მას ყურსასმენში მეოთხე არბიტრმა აუხსნა საქმის ვითარება. ამავე დროს, ფრანგი იურისტის თქმით, მეოთხე არბიტრმა მომენტის სწორად განსჯისთვის ვიდეოგამეორება გამოიყენა.

მეოთხე არბიტრი ესპანელი ლუის მედინა კანტალეხო იყო. მატჩის არგენტინელი მსაჯი ჰორაციო ელისონდო აღიარებს, რომ მას ზიდანის გაძევება სწორედ კანტალეხომ ურჩია. ახლა გასარკვევია, მართლა დაინახა თუ არა კანტალეხომ ეს ეპიზოდი და ისარგებლა თუ არა მან ვიდეოგამეორებით. თუ მუხუმ დაამტკიცა, რომ კანტალეხომ მომენტი მხოლოდ ვიდეოგამეორებაზე ნახა, სასამართლო ამ საქმის განხილვას დაიწყებს. შემდეგ უკვე მართლმსაჯულების დასადგენია, უნდა გადათამაშდეს თუ არა ფინალური მატჩი.

# ფაბიო კანავარო: "ჩვენ დავიმსახურეთ!"

9 ივლისს იტალიის ნაკრების 32 წლის კაპიტანმა ფაბიო კანავარომ თავისი მე-100 მატჩი გამართა "სკუადრა აძურას" შემადგენლობაში. მისთვის ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე ორმაგი ტრიუმფი შედგა.

**- ფაბიო, თქვენთვის ფინალი ორმაგი დღესასწაული იყო: საიუბილეო მატჩი იტალიის ნაკრებში და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული...**

- ვფიქრობ, ეს გარკვეულწილად სიმბოლურია. გუნდი რამდენიმე წელი მიდიოდა ამ წარმატებისკენ. იყო მომენტები, როცა საწყენი მარცხიც გვიწვნევია. თუმცა, ბოლოს ჩვენს ქუჩაზეც მოვიდა გაზაფხული. ჩვენ ეს დავიმსახურეთ. შეიძლება ვინმეს არ ესიამოვნოს ჩემი ნათქვამი, მაგრამ ეს პირადად მე დავიმსახურე.

**- ფინალური მატჩის წინ არ გიჩნდებოდათ ასოციაცია 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალისა, რომელშიც საფრანგეთის ნაკრებთან დამარცხდით?**

- რა თქმა უნდა. ის მატჩი ექვსი წლის მანძილზე მქონდა ხინჯად. მაშინ გამარჯვებამდე 20 წამი დაგვაკლდა. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ იმ ფეხბურთელებიდან, რომლებმაც როტერდამული ფინალი ვითამაშეთ, ბერლინში ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ორნი ვიყავით - მე და ტოტი. ასე რომ, ჩვენს გამარჯვებას ვერც რევანშს ვუწოდებ და ვერც იმას ვიტყვი, რომ სამართლიანობამ იზეიმა.

**- იტალიის ნაკრებმა არსებობის მანძილზე პირველად მოიგო მსოფლიო ჩემპიონატზე პენალტების სერია...**



*ფაბიო კანვარო გამარჯვებას ზეიმობს.*

- მართალია. "სკუადრა აძურასთვის" მატჩისშემდგომი პენალტები წყევლასავით იყო. სასიამოვნოა, რომ ეს ტრადიცია სწორედ ფინალურ მატჩში დაირღვა.

**- საფრანგეთის ნაკრები 1978 წლის შემდეგ არ დაგიმარცხებიათ...**

- რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგად ვიცოდი, მაგრამ ჩემი თანაგუნდელების მჯეროდა და დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში.

**- რაში მდგომარეობს იტალიის ნაკრების წარმატების საიდუმლო?**

- ასეთი საიდუმლო ორია. პირველი - ჩვენ ერთი გუნდი ვართ და მხოლოდ ერთად შეგვიძლია გამარჯვება. ასე იყო ყოველთვის იტალიური ფეხბურთის ისტორიაში. მერე საიდუმლო კი მარჩელო ლიპია. მას მივყავდით ჩვენ გამარჯვებისკენ და ყოველი მატჩის შემდეგ მისი რწმენა ფეხბურთელებში იზრდებოდა. სწორედ ეს დაგვეხმარა გამარჯვებაში.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე დაცვის ცენტრში სამ სხვადასხვა ფეხბურთელთან გიწიათ თამაში - ნესტა, ბარცალი და მატერაცი - იოლად ახერხებდით მათთან საერთო ენის პოვნას?**

- თითოეული მამთგანი მსოფლიო დონის მცველია. ასე, რომ არანაირი სათამაშო პრობლემები არ გვქონია. ერთადერთი ზოგჯერ მჭირდებოდა პარტნიორი ს დაწყნარება, რომელსაც ჩემსავით დიდი სათამაშო გამოცდილება არ ჰქონდა.

**- ანდრეა პირლომ თქვა, რომ ფინალის წინ ნახევარ გუნდს არ ეძინა...**

- ასეა. ფინალის წინ ჩემმა შვილმა მთხოვა ერთად დავიძინოთო, მე კი ვუთხარი მოდი დღეს შენს ლოგინში დაიძინე ხვალ კი სამივემ ერთად დავიძინოთ, მე შენ და მსოფლიოს თასაო.

## ინფოთეკა

### შუმი იმედს არ კარგავს

ფორმულა 1-ის გუნდ "ფერარის" პილოტი მიხაელ შუმახერი აცხადებს, რომ საფრანგეთში გასამართი გრან-პრის შედეგებზე შესაძლოა ნებისმიერმა მცირე დეტალმაც იქონიოს გავლენა.

"გასულ კვირაში ჩატარებულმა ტესტებმა დაადასტურა, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. ინდიანაპოლისში "ფერარის" დიდი უპირატესობა ჰქონდა, თუმცა არა მგონია ეს მანიკურზე გამეორდეს. ამ რბოლის დროს ნებისმიერ მცირე დეტალს ექნება მნიშვნელობა. რაც შეეხება ჩემპიონობისთვის ბრძოლას, 19-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა შესაძლებელია. კარგი იქნება, თუ ამას უახლოეს რბოლებშივე დავიწყებ," - ამბობს შუმახერი.

### ენინ-არდენმა ნაკრები იუარა

უიმბლდონის ტურნირის ფინალისტი ჟუსტინ ენინ-არდენი არ ითამაშებს ბელგიის ნაკრების შემადგენლობაში ფედერაციის თასის ნახევარფინალში აშშ-ს ნაკრების წინააღმდეგ. სააგენტო როიტერის ცნობით, მსოფლიო ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელის ნაცვლად ბელგიის ნაკრებს ლესლი ბუტკევიჩი დაეხმარება.

### ფედერერი პირსახოცებს იპარავს

ჩოგბურთის ვარსკვლავებს უიმბლდონის ტურნირიდან მხოლოდ მრავალათასიანი ჰონორარები როდი მიაქვთ. მათი უმეტესობა ტურნირის საფირმო პირსახოცებსაც იპარავს.

ტურნირის ორგანიზატორები საოცრად დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. წესით, ჩოგბურთელებმა პირსახოცები უნდა დააბრუნონ, მაგრამ ვარსკვლავების უმეტესობა ამ პირსახოცებს იპარავს. გამოდის, რომ უიმბლდონის ორგანიზატორები მხოლოდ პირსახოცების გამო ყოველ ტურნირზე 60 000 გირვანქა სტერლინგს ზარალობენ.

კორტზე გასვლისას ვაჟ ჩოგბურთელებს მწვანე და იისფერ პირსახოცებს აძლევენ, ქალებს კი - ვარდისფერს და ნარინჯისფერს. თითო პირსახოცი მაღაზიაში 24 გირვანქა სტერლინგი ღირს. პირსახოცების ქურდობა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელმა როჯერ ფედერერმაც კი აღიარა, რომელსაც კარიერის განმავლობაში საპრიზო თანხის სახით უკვე 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი აქვს მიღებული. "პირსახოცებს მართლა არ ვაბრუნებ. სახლში უკვე მთელი კოლექცია მაქვს. ძალიან კარგი სუვენირია, - ამბობს ფედერერი, რომელმაც უიმბლდონის ტურნირის მოგებისთვის წლეულს 655 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო, - ორგანიზატორები პირსახოცებს კორტებზე გვირიგებენ. იციით, ეს პირსახოცები გასახდელში რომ მოგვცენ, დარწმუნებული ვარ, საერთოდ არავინ დააბრუნებს". წყვილთა თანრიგში მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებმა, ამერიკელებმა ბობ და მაიკ ბრაიანებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა მხოლოდ დიდი ჩანთა, რათა კორტიდან ოთხი პირსახოცი შეუმჩნევლად გაიტანო. "ჩემი ჩანთა ფინალის შემდეგ სავსე იყო. ხუთი ბოთლი წყალი და ოთხი პირსახოცი წამოვიღე. ეს პირსახოცი უკვე დიდი ხანია ტურნირის სიმბოლოდ იქცა. ჩოგბურთელები ყოველთვის ცდილობენ შეძლებისდაგვარად ბევრი პირსახოცი გამოიტანონ კორტიდან. ყოველ თამაშზე ჩემს სკამზე ორი პირსახოცია ჩამოკიდებული. როცა მატჩი მთავრდება, ბოლ-ბოიმ პირსახოცი უნდა წაიღოს, მაგრამ ჩვენ მანამდე ვახერხებთ პირსახოცის ჩანთაში ჩადებას. მაგალითად, შერეულ წყვილებში ორი მატჩი გავმართე. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ოთხი პირსახოცის წამოღება მოვახერხე," - ამბობს ბობი. ამის თაობაზე უიმბლდონის ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმაც გააკეთა კომენტარი: "ჩოგბურთელებს ყოველთვის ვთხოვთ პირსახოცების დაბრუნებას, მაგრამ მათ სუვენირები უყვართ. როდესაც ჩოგბურთელს ერთი ან ორი პირსახოცი გააქვს, ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ ზოგიერთი იმდენს იპარავს, რომ წარმოდგენაც ძნელია. ტექნიკურად ეს ნამდვილი ქურდობაა, მაგრამ რას ვიზამთ. პირსახოცი ხომ ჩოგბურთელების ყველაზე სანატრელი სუვენირია".

### სერენა ბრუნდება

ამერიკელი ჩოგბურთელი სერენა უილიამსი, რომელიც ამა წლის იანვრიდან არ გასულა კორტზე, მონაწილეობას მიიღებს ცინცინატის ტურნირში, რომელიც მომავალ კვირაში აიღებს სტარტს. რამდენიმე დღის წინ სერენა ამბობდა, რომ ზაფხულის ბოლომდე არ გავიდოდა სათამაშოდ, რათა ბოლომდე მოეშუშებინა მარცხენა მუხლის ტრავმა, თუმცა ბოლო მომენტში გადაიფიქრა და ცინცინატის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

### ჩემპიონს დისკვალიფიკაცია მისცეს

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა რუს ძალოსანს დმიტრი ბერესტოვს, რომელმაც 2004 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე 105 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა. რუსი ძალოსანი დოპინგის მიღებაში ამხილეს და ორი წლით ჩამოაშორეს სპორტს.

### პუერტას სასჯელი

არგენტინელი ჩოგბურთელი მარიანო პუერტა ორი წლით ჩამოაშორეს სპორტს. სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ პუერტას ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა დოპინგის გამოყენების გამო. აღსანიშნავია, რომ ჩოგბურთის ისტორიაში ეს ყველაზე ხანგრძლივი დისკვალიფიკაციაა.

## ევროპის ნაკრები

14 ევროპული ნაკრებიდან, რომელმაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე აიღო სტარტი, ოთხმა ნახევარფინალს მიაღწია. განვლილი მსოფლიო ჩემპიონატი ევროპული ფეხბურთის სრულ ტრიუმფად იქცა. უეფას ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტებმა მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილე ფეხბურთელებისგან შეადგინეს ევროპის სიმბოლური ნაკრები და შეეცადნენ აეხსნათ, თუ რატომ მოხვდა ესა თუ ის ფეხბურთელი მათ ნაკრებში.

### მეკარე

**ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია)**

ფინალამდე ბუფონის კარში იტალიის ნაკრების მეტოქე გუნდების ფეხბურთელებიდან არც ერთს არ ჰქონდა გოლი გატანილი. ერთადერთი გოლი, რომელიც ჯიჯი ბუფონმა ფინალამდე გაუშვა, იტალიელი მცველის კრისტიანო ძაკარდოს ანგარიშზეა. ბუფონის გარდა, მუნდიალზე საკმაოდ კარგად ითამაშა ლემანმაც, თუმცა პირველობა მაინც იტალიელს ეკუთვნის, თუნდაც იმიტომ, რომ ფინალურ მატჩში მან საკუთარი კარი ასპროცენტიანი გოლისგან იხსნა და თამაში პენალტების სერიამდე მიიყვანა, რომელიც მისმა გუნდმა მოიგო კიდეც.

### მარჯვენა მცველი

**ჯანლუკა ძამბროტა (იტალია)**

ამ პოზიციაზე ძამბროტასა და სანიოლს შორის კეთდებოდა არჩევანი. ძამბროტას არჩევანი იმან განაპირობა, რომ იტალიელმა მთელი ტურნირი უშეცდომოდ ჩაატარა. თუმცა, მხოლოდ დაცვაში როდი იყო სასარგებლო. ძამბროტა ხშირად ერთვებოდა შეტევებში და საჭირო მომენტში მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა უკრაინის ნაკრების კარში.

### ცენტრალური მცველი

**ლილიან ტურამი (საფრანგეთი)**

34 წლის ვეტერანმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ, ასაკის მიუხედავად, მსოფლიოში საუკეთესოა. უილიამ გალასთან წყვილში ტურამმა უშეცდომოდ ითამაშა. მას დიდი წვლილი მიუძღვის საფრანგეთის ნაკრების წარმატებაში.

### ცენტრალური მცველი

**ფაბიო კანავარო (იტალია)**

კანავარომ ბრწყინვალე ტურნირი გამართა. იტალიელთა კაპიტანი იმდენად საიმედო იყო დაცვაში, რომ მისი თანაგუნდელები უკანმოუხედავად მიდიოდნენ წინ. კანავარო ამ ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების სიმბოლოდ იქცა და ამ პოზიციაზე ალბათ კონკურენტიც არ ჰყავს.

### მარცხენა მცველი

**ფილიპ ლამი (გერმანია)**

ამ პოზიციაზე ლამის მთავარი კონკურენტი ფაბიო გროსო იყო. ლამის სასარგებლოდ თუნდაც ის მეტყველებს, რომ სწორედ მან გაიტანა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი გოლი, თანაც, ეს უაღრესად ლამაზი დარტყმით გააკეთა.

### ნახევარმცველები:

**ანდრეა პირლო (იტალია)**

"მილანის" ნახევარმცველი იტალიის ნაკრების იტალიის ნაკრების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. სწორედ ის ალაგებდა "სკუადრა აძურას" თამაშს. იწყებდა ყველა შეტევას და დაცვასაც ეხმარებოდა. სწორედ მისი ორიგინალური პასით გაიტანა ფაბიო გროსომ გადამწყვეტი გოლი გერმანელთა კარში.

**პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი)**

მას საფრანგეთის ნაკრების მოტორი უნდა ვუწოდოთ. არადა, ვიეირა მუნდიალს ტრავმირებული შეხვდა. სამწუხაროდ, ამ ტრავმამ ფინალურ მატჩში იჩინა თავი. პატრიკმა ჯგუფურ ეტაპზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა ტოგოს ნაკრების კარში, რომლის წყალობითაც ფრანგებმა ჯგუფური ეტაპის ბარიერი დაძლიეს.

**კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია)**

შესაძლოა, ამ ფეხბურთელის მოხვედრა სიმბოლურ ნაკრებში საკამათოც იყოს, მაგრამ რონალდუმ არაერთ მატჩში დაგვამახსოვრა თავი და პორტუგალიის ნაკრების წარმატებაშიც დიდი წვლილი შეიტანა.

**ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)**

ჩემპიონატის სტარტზე უფერული თამაშის შემდეგ პლეი-ოფებში ზიზუმ საფეხბურთო მასტერკლასი გვიჩვენა. შეიძლება ითქვას, რომ მან მარტომ მოუგო ბრაზილიის ნაკრებს.

### თავდამსხმელები

**მიროსლავ კლოზე (გერმანია)**

შეუძლებელია სიმბოლურ ნაკრებში ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირი არ მოხვდეს. ევროპელი ფორვარდებიდან კლოზე მართლაც საუკეთესო იყო.

**ფერნანდო ტორესი (ესპანეთი)**

ესპანელმა მართლაც კარგი ფეხბურთი აჩვენა. ჯგუფურ ეტაპზე იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ ესპანელები ნაადრევად დაემშვიდობნენ მუნდიალს და ტორესმაც ვერ შეძლო საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენა.

# ბელეტის "კამპ ნოუ" მოენატრა

მარი ჭავახიშვილი



სან პაულუში, ბელო ორიზონტესა და კასაველეში გატარებული შვებულების შემდეგ, "ბარსელონას" ბრაზილიელი მცველი ჟულიო ბელეტი კატალონიაში, მშობლიურ "კამპ ნოუს" დაბრუნდა და გუნდთან ერთად შეუდგა ახალი სეზონისთვის მზადებას.

"ბარსელონას" ოფიციალური საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში ბელეტი გამოტყდა, რომ უზომოდ გახარებულია კატალონიაში დაბრუნებით: "ერთადერთი, რაც მომენატრა, გულშემატკივრებით გადაჭედილი "კამპ ნოუ" და თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშია. ერთი სული მაქვს, როდის გაიმართება პირველი მატჩი".

**- ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვების გოლის გამტანს სამშობლოში როგორ შეგხვდნენ?**

- ბრაზილიაში ისეთი დახვედრა მომიწყვეს, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. ხალხი მეუბნებოდა, რომ იმ გოლის გატანას ვიმსახურებდი. ერთადერთი, რაზეც ჩემს გულშემატკივარს დასწყდა გული, ის არის, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ გავემგზავრე.

**- მართალია, გერმანიაში არ ყოფილხართ, მაგრამ მუნდიალის თამაშებს ხომ უყურებდით?**

- შეუძლებელია, არ უყურო ისეთი ტურნირის მატჩებს, სადაც ამდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი თამაშობს. საბედნიეროდ, შესაძლებლობა მქონდა თითქმის ყველა თამაში მენახა.

**- როგორ მოგეწონათ "ბარსელონას" ფეხბურთელების გამოსვლა მუნდიალზე?**

- ვფიქრობ, რომ ჩემმა თანაგუნდელებმა, რომლებიც გერმანიაში იყვნენ, საერთო ჯამში, კარგად წარმოაჩინეს თავი. მაგრამ, რაღა დაგიმალოთ და, ის უფრო მირჩევნია, ისინი "ბარსელონას" ფორმაში მოთამაშენი ვნახო.

**- ბრაზილიის ნაკრების თამაშზე რას იტყვით?**

- როგორც ყველა ბრაზილიელს, მეც ძალიან მეწყინა, რომ ტურნირს მეოთხედფინალში დავემშვიდობეთ. ფაქტია, რომ ჩვენი გუნდი მართლაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. თუმცა, მათ ვერ შეძლეს მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ ის ფეხბურთი, რასაც მათგან მოელოდნენ.

**- ბევრი რამ ითქვა საფრანგეთის დაცვაზე. ამ მატჩზე ბრაზილიაში ბევრს საუბრობენ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ვაღიაროთ, რომ საფრანგეთმა მოგება დაიმსახურა. თქვენი აზრით, რატომ ვერ აჯობეთ ფრანგებს?**

- არ ვიცი, რა გიპასუხოთ. როდესაც ყველაფერს გარედან უყურებ, ობიქტური ვერ იქნები. ჩემი აზრით, ბრაზილიის ნაკრებს ერთსულოვნება და შეთამაშება აკლდა.

**- რონალდინიოსგან ბევრს ელოდნენ. თქვენი აზრით, გადაჭარბებული ხომ არ იყო მასზე ასეთი დიდი პასუხისმგებლობის დაკისრება?**

- ალბათ კი. პირადად მე არ ვეთანხმები იმას, რასაც მის თამაშზე ამბობენ. რონალდინიო კვლავ მსოფლიოს ნომერ პირველი ფეხბურთელია და ყველაფერს გავაკეთბ იმისთვის, რომ მან უწინდებურად ითამაშოს და ისევ ისე გაახაროს კატალონიელი გულშემატკივარი, როგორც გასულ სეზონში.

**- მუნდიალის წინ არგენტინასა და ბრაზილიას ფავორიტებად მიიჩნევდნენ, მაგრამ ნახევარფინალამდე მხოლოდ ევროპულმა გუნდებმა მიაღწიეს...**

- ტრადიციულად, ყოველი მუნდიალის წინ ასეა - ძლიერ ნაკრებებს ფავორიტად ასახელებენ, მაგრამ გუნდმა ეს მოედანზე უნდა დაამტკიცოს.

**- მსოფლიო ჩემპიონატიდან ბრაზილიის გამოვარდნის შემდეგ ვის გულშემატკივრობდით?**

- პორტუგალიას. და ამის ორი მიზეზი მქონდა. პირველი, რომ ამ ნაკრებში დეკუ თამაშობს და მინდოდა, ის მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყო. მეორე მიზეზი კი ლუიშ ფელიპე სკოლარია, მწვრთნელი, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში.

# შვაინშტაიგერის დროა



2004 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც გერმანიის ნაკრებს ახალგაზრდა იურგენ კლინსმანი ჩაუდგა სათავეში, ბუნდესნაკრებს ფეხბურთის სპეციალისტები ხშირად მოიხსენიებდნენ ახალგაზრდა გუნდად და ეს ბევრის უკმაყოფილებას იწვევდა. მაგრამ, უფრო მართებული იქნებოდა, თუ კლინსმანის მიერ დაკომპლექტებულ აწ უკვე ექს-ნაკრებს გამოცდილს, მაგრამ შედარებით ახალგაზრდულს ვუწოდებდით.

36 წლის იენს ლემანი, 32 წლის ბერნდ შნაიდერი, 30 წლის მიხაელ ბალაკი და 29 წლის ტორსტენ ფრინგი ხომ ნამდვილად არ არიან დამწყები ფეხბურთელები. ბუნდესგუნდის ძირითად ბირთვს სწორედ ეს გამოცდილი მოთამაშეები წარმოადგენენ.

მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას კი, როცა ზემოხსენებული მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გერმანელთა ნაკრებს რამდენიმე ახალგაზრდამ ახალი სული შთაბერა, სკეპტიკოსებმა უკან დაიხიეს. კლინსმანის გუნდში აშკარად გამორჩეული იყო ერთბაშად რამდენიმე ახალგაზრდა - შეტევაში ბრწყინავდა მუნდიალის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დასახელებული ლუკაშ პოდოლსკი, დამაჯერებლად თამაშობდა მარცხენა მცველის ფლანგზე გამწესებული ფილიპ ლამი, დაცვის ცენტრში კი მტკიცედ გამოიყურებოდა პერ მერტერსაკერი.

ბრინჯაოს მედლების მოსაპოვებლად გამართული მატჩი პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ კი 22 წლის ბასტიან შვაინშტაიგერისთვის კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეული გამოდგა. "ბაიერნის" ნახევარმცველმა, რომელიც 7-ნომრიანი მაისურით იცავს ნაკრების ღირსებას, იმ მატჩში გერმანელთა მიერ გატანილ სამივე გოლში მიიღო უშუალო მონაწილეობა.

მეოთხედფინალის ჩათვლით ბასტიან შვაინშტაიგერი ყოველ შეხვედრას ძირითადში იწყებდა, თუმცა ნახევარფინალში, იტალიელებთან, რატომღაც სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. როგორც ჩანს, იურგენ კლინსმანზე ბასტის თამაშმა ეფექტი ვერ მოახდინა და "სკუადრა აძურასთან" ახალგაზრდა ჰავბექი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, კლინსმანის ამ გადაწყვეტილებამ ახალგაზრდა ნახევარმცველი ისე გაანაწყენა, რომ გერმანელმა ფეხბურთელმა პორტუგალიელებთან სცადა საკუთარი ძალის დამტკიცება. ბასტიან შვაინშტაიგერი იმ შეხვედრაში მართლაც შეუჩერებელი იყო, რის გამოც, ცხადია, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მის სპორტულ კარიერაში ნაკრების მაისურით შესრულებული დუბლი კი რიგით მეორე აღმოჩნდა. პირველად ორი გოლი 2005 წლის ივნისში, რუსებთან ამხანაგურ მატჩში გაიტანა. თუმცა, სად მუნდიალი და სად ამხანაგური მატჩი?1

"ნახევარფინალში მარცხის შემდეგ შტუტგარტში ასეთ მხარდაჭერას არ ველოდით. პორტუგალიას 3:1 რომ მოვუგეთ, პირველ რიგში, გულშემატკივრის დამსახურებაა, მათგან ვიყავით დამუხტულები. რაც შეეხება ჩემს ორ გოლს, ეს დღე არასოდეს დამავიწყდება", - ამბობდა მატჩის შემდეგ სებასტიანი, რომელსაც იმ მატჩამდე მუნდიალზე გოლი არ ჰქონდა გატანილი.

გერმანული ფეხბურთის იმედი და "ბაიერნის" სიამაყე სწორედ მიუნხენური კლუბის აღზრდილია, ისევე როგორც ფილიპ ლამი. ის მიუნხენში არ დაბადებულა. შვაინშტაიგერი პატარა ქალაქ კოლბერმორში მოევლინა ქვეყნიერებას. ბავარიის პირველ გუნდში 2002 წელს გადავიდა და, ყველას გასაკვირად, ძალიან მალე მოიპოვა ადგილი ძირითადში. ტექნიკურმა და უბადლო დარტყმის ოსტატმა იმავე სეზონში შეძლო გერმანელ გულშემატკივართა სიყვარულის მოპოვება. თუმცა, პოპულარობას თავბრუ არ დაუხვევია.

"ბაიერნთან" ერთად შვაინშტაიგერმა სამჯერ იზეიმა გერმანიის ჩემპიონობა, ქვეყნის პირველ გუნდში კი ახალგაზრდული ნაკრებიდან 2004 წლის ევროპის ჩემპიონატისას მოხვდა (მასთან ერთად ნაკრებში მაშინ ლუკაშ პოდოლსკიც გამოიძახეს).

მართალია, გერმანელებმა პორტუგალიაში ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი, მაგრამ რუდი ფიოლერის ნაკრებში ბასტიან შვაინშტაიგერი უდავოდ ყველაზე გამორჩეული იყო და ფართო საზოგადოებამაც კარგად დაიმახსოვრა მისი გვარი.

შვაინმა, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ სამშობლოში, ნიჭიერებით უფროსი ძმა, 24 წლის ტობიასიც დაჩრდილა. ტობიასიც ფეხბურთელია, ოღონდ მეორე ბუნდესლიგაში, ბრაუნშვაიგის "აინტრახტის" ღირსებას იცავს.

## ბრეშიანო "პალერმოში" ითამაშებს

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, "პარმას" ავსტრალიელი ნახევარმცველი მარკო ბრეშიანო უახლოეს დღეებში ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს "პალერმოსთან".

"ჩვენ რამდენიმე ახალი, ძლიერი ფეხბურთელის დამატებას ვაპირებთ, მათ შორის ბრეშიანოსი. გადაწყვეტილება ბრეშიანოს თაობაზე თითქმის უკვე მიღებულია", - განაცხადა სიცილიური კლუბის პრეზიდენტმა.

## "მანჩესტერ იუნაიტედი" აფრიკაში მიემგზავრება

"მანჩესტერ იუნაიტედი" სრული შემადგენლობით გაემგზავრა სამხრეთ აფრიკაში, სადაც ათდღიან ტურნეს გამართავს.

გუნდის ძველ შემადგენლობასთან ერთად, აფრიკაში კლუბში დაბრუნებული, განათხოვრებული სიმპსონი, ლაიემ მილერი, კრის იგლზი, ფილ ბარდსლი და დევიდ ჯონსიც გაემგზავრებიან.

პირველ მატჩს სერ ალექს ფერგიუსონის შეგირდები ხვალ "ორლანდო პაირეტსთან" გამართავენ. ამის შემდეგ გაემგზავრებიან კეიპთაუნში, სადაც სამშაბათს "კაიზერ ჩიფს" დაუპირისპირდებიან. ბოლო შეხვედრას ინგლისელები 22 ივლისს "ორლანდო პაირეტსსა" და "კაიზერ ჩიფსს" შორის გამარჯვებულ გუნდთან გამართავენ.

## საბერძნეთს დისკვალიფიკაცია მოეხსნა

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას დისკვალიფიკაცია მოუხსნა და თავის რიგებში აღადგინა.

ფიფას საგანგებო კომიტეტმა მას შემდეგ მიიღო ეს გადაწყვეტილება, რაც შეიტყო, რომ საბერძნეთის პარლამენტმა სპორტის ახალი კანონი ფიფასა და უეფას კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანა. შეგახსენებთ, რომ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის დისკვალიფიკაცია დაუხვეწავ სპორტის ახალ კანონს მოჰყვა.

## მილანური ერთგულება

მიუხედავად იმისა, რომ "მილანს" შესაძლოა დაატოვებინონ სერია A, ალბერტო ჯილარდინომ და ჯენარო გატუზომ განაცხადეს, რომ არ დატოვებენ კლუბს.

"მეამაყება, რომ "მილანის" ფეხბურთელი ვარ. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს იტალიურმა საფეხბურთო ტრიბუნალმა, გუნდს არ დავტოვებ. თუ საჭირო გახდა, "მილანთან" ერთად სერია B-შიც ვითამაშებ. უკვე ვესაუბრე ადრიანო გალიანის და ვუთხარი, რომ გუნდის ერთგული ვიქნები", - აცხადებს გატუზო.

რაც შეეხება ჯილარდინოს, ფორვარდმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საკუთარ მომავალს მხოლოდ "მილანს" უკავშირებს.

ამავე დროს ტრიბუნალს მიმართა "მილანის" პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ: "სანქციები ფეხბურთელებს არ უნდა შეეხოს. თუ ჩვენ კლუბები დავსაჯეთ, გამოდით, რომ პირველ რიგში ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს ვსჯით. უნდა მოვიფიქროთ სასჯელის ისეთი ფორმა, რომ ფეხბურთელები არ დაისაჯონ. ამ სკანდალში მათ ბრალი არ მიუძღვით".

## ფაბრეგასი არ იყიდება

სესკ ფაბრეგასის აგენტი ამტკიცებს, რომ მისი კლიენტი აუცილებლად დარჩება "არსენალში" და არ გადავა მადრიდის "რეალში".

"სესკი "არსენალში" რჩება. ლონდონური კლუბი ფაბრეგასს ას მილიონ გირვანქადაც არ გაყიდის. ფეხბურთელს ეამაყება, რომ კლუბის მხრიდან ასეთი დამოკიდებულება დაიმსახურა," - განაცხადა ახალგაზრდა ნახევარმცველის აგენტმა.

ფაბრეგასის თაობაზე ჟურნალისტებთან არსენ ვენგერმაც ისაუბრა: "სესკი "არსენალის" მომავალია. მინდა ყველამ გაიგოს: ფაბრეგასი არ იყიდება! კლუბი მის ტრანსფერზე შემოსულ წინადადებებს არ განიხილავს. ყველას ვთხოვ, რომ სესკს თავი დაანებონ".

## ჰუტი დაიწუნეს

გერმანიის ნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" მცველი რობერტ ჰუტი "მიდლსბროში" უნდა გადასულიყო, მაგრამ ტრანსფერი ალბათ ჩაიშლება. მართალია, რივერსაიდული კლუბის ხელმძღვანელები არ საუბრობენ ფეხბურთელის დაწუნების მიზეზებზე, მაგრამ ბრიტანულ მედიაში გაჟონა ინფორმაციამ, რომლის თანახმადაც ჰუტმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა. "მიდლსბროს" ექიმებმა ფეხბურთელს კოჭის ქრონიკული ტრავმა აღმოუჩინეს.

## "იუვენტუსი" სუპერმარკეტი არ არის

ტურინის "იუვენტუსის" ახალმა გენერალურმა დირექტორმა ალესიო სეკომ განაცხადა, რომ კლუბი ფეხბურთელთა ძირითად ბირთვს აუცილებლად შეინარჩუნებს. როგორც იცით, ტურინელებს სერია A-დან გარიცხვა ემუქრებათ. ამიტომ ამ გუნდის ფეხბურთელებზე ნამდვილი ნადირობაა გამოცხადებული.

"ვცდილობთ, კლუბები დავარწმუნოთ, რომ "იუვენტუსი" სუპერმარკეტი არ არის, სადაც ყველაფრის ყიდვა შეიძლება. ამჟამად არ გვინდა ვიფიქროთ სერია C-ზე, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სერია B-ში აღმოვჩნდებით. თუ ასე მოხდება, გუნდი მიზნად დაისახავს ელიტურ დივიზიონში დაბრუნებას, სადაც პირველივე სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურიც უნდა მოვიპოვოთ. ასეთია ჩვენი სტრატეგია. ასე რომ, წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვას არ ვაპირებთ. მეტიც: გუნდის გაძლიერებაზე ვფიქრობთ", - აცხადებს სეკო.

ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩი დათანხმდა მილანის "ინტერში" გადასვლაზე. კანავაროს, ძამბროტას და ემერსონს კი მადრიდის "რეალი" ყიდულობს.

## დელ ორნო ესპანეთში ბრუნდება?

"ვალენსიას" ხელმძღვანელები არ მალავენ, რომ ასიერ დელ ორნოს შეძენას აპირებენ. გასულ სეზონში ლონდონის "ჩელსიმ" ესპანელ მცველში 12 მილიონი ევრო გადაიხადა და, როგორც ბრიტანელები ამბობენ, "არისტოკრატები" ამ ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებენ, თუმცა, "ღამურების" პრეზიდენტის თქმით, ის ყველაფერს იღონებს, რათა ბასკი მცველი გადაიბიროს.

## კემპბელს "პორტსმუთი" ეპატიჟება

ინგლისის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა სოლ კემპბელმა განაცხადა, რომ აღარ აპირებს ლონდონის "არსენალში" დარჩენას. ამ სიტყვების შემდეგ სწრაფად გამოჩნდნენ კემპბელის შეძენის მსურველები. ახლა გამოცდილი მცველის გადაბირებას "პორტსმუთი" ლამობს.

"იგი ნამდვილი ლიდერია. დარწმუნებული ვარ, არაერთი სარფიანი შეთავაზება ექნება, თუმცა, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით", - აღნიშნა "პორტსმუთის" მთავარმა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა.

## ბლოხინის მორიგი ჯილდო

უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ოლეგ ბლოხინს კიევის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. საპატიო წოდება ბლოხინმა ნაკრებთან ერთად მიღწეული წარმატებების გამო დაიმსახურა.

## სად ითამაშებს ტრისტანი?

ესპანური "დეპორტივოს" 30 წლის ფეხბურთელს დიეგო ტრისტანს დიდი არჩევანი აქვს. ფეხბურთელს ორი პორტუგალიური და ერთი შოტლანდიური კლუბი იწვევს. საუბარია "ბენფიკაზე", "სპორტინგსა" და "სელტიკზე".

ფეხბურთელის გაშვება არც "დეპორტივოს" ხელმძღვანელობას უნდა, მაგრამ თუ წინადადებები სერიოზული იქნება, შესაძლოა, ტრისტანი გაიყიდოს.

## 23 განდგომილი

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ არაერთი ფეხბურთელი დაემშვიდობა საფეხბურთო კარიერას. გერმანულმა გაზეთმა "კიკერმა" დაადგინა, რომ მუნდიალის შემდეგ 23-მა ფეხბურთელმა დაასრულა ნაკრებში თამაში. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს ამ ფეხბურთელთა შესაბამისი მონაცემებით.

| გვარი სახელი | ქვეყანა | შედეგი მუნდიალზე | ასაკი | ახლანდელი კლუბი |
|---|---|---|---|---|
| 1.ზინედინ ზიდანი | საფრანგეთი | მე-2 ადგილი | 34 წლის | რეალი (ესპანეთი) |
| 2.კლოდ მაკელელე | საფრანგეთი | მე-2 ადგილი | 33 წლის | ჩელსი (ინგლისი) |
| 3.ოლივერ კანი | გერმანია | მე-3 ადგილი | 37 წლის | ბაიერნი (გერმანია) |
| 4.ლუიშ ფიგუ | პორტუგალია | მე-4 ადგილი | 33 წლის | ინტერი (იტალია) |
| 5.პაულეტა | პორტუგალია | მე-4 ადგილი | 33 წლის | პსჟ (საფრანგეთი) |
| 6.რობერტო კარლოსი | ბრაზილია | 1/4 ფინალი | 33 წლის | რეალი (ესპანეთი) |
| 7.ჟუნინიო | ბრაზილია | 1/4 ფინალი | 31 წლის | ლიონი (საფრანგეთი) |
| 8.ფილიპ კოკუ | ჰოლანდია | 1/4 ფინალი | 35 წლის | პსვ (ჰოლანდია) |
| 9.ტედი ლუკიჩი | შვედეთი | 1/8 ფინალი | 33 წლის | ჰაკენი (შვედეთი) |
| 10.კარლოს გამარა | პარაგვაი | ჯგუფური ეტაპი | 35 წლის | პალმეირასი (ბრაზილია) |
| 11.დენის კანისა | პარაგვაი | ჯგუფური ეტაპი | 31 წლის | კრუს ასული (მექსიკა) |
| 12.იაცეკ ბონკი | პოლონეთი | ჯგუფური ეტაპი | 33 წლის | ალ-რაიანი (ყატარი) |
| 13.სავო მილოშევიჩი | სერბეთი | ჯგუფური ეტაპი | 32 წლის | ოსასუნა (ესპანეთი) |
| 14.მლადენ კრსტაიჩი | სერბეთი | ჯგუფური ეტაპი | 32 წლის | შალკე (გერმანია) |
| 15.პრედრაგ ჯორჯევიჩი | სერბეთი | ჯგუფური ეტაპი | 33 წლის | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| 16.ჰატემ ტრაბელსი | ტუნისი | ჯგუფური ეტაპი | 29 წლის | აიაქსი (ჰოლანდია) |
| 17.პაულო სესარ ვანჩოპე | კოსტა-რიკა | ჯგუფური ეტაპი | 29 წლის | როსარიო (არგენტინა) |
| 18.რონალდო გომესი | კოსტა-რიკა | ჯგუფური ეტაპი | 31 წლის | საპრისა (კოსტა-რიკა) |
| 19.სამ ალ-ჯაბერი | საუდის არაბეთი | ჯგუფური ეტაპი | 33 წლის | ალ ჰილალი (საუდის არაბეთი) |
| 20.მუჰამედ ალ-დაეია | საუდის არაბეთი | ჯგუფური ეტაპი | 33 წლის | ალ ჰილალი (საუდის არაბეთი) |
| 21.ჰიდეტოში ნაკატა | იაპონია | ჯგუფური ეტაპი | 29 წლის | ბოლტონი (ინგლისი) |
| 22.კლაუდიო რეინა | აშშ | ჯგუფური ეტაპი | 33 წლის | სიტი (ინგლისი) |
| 23.კარელ პობორსკი | ჩეხეთი | ჯგუფური ეტაპი | 34 წლის | ბუდეიოვიცე |

## რა ხდება NBA-ში?

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მომავალი სეზონისთვის ემზადებიან. უკანასკნელი დღეების განმავლობაში რამდენიმე საინტერესო სატრანსფერო ცნობა გავრცელადა.

"კლიპერსის" ფორვარდი ვლადიმირ რადმანოვიჩი მომავალ სეზონს ლოს ანჯელეს "ლეიკერსში" გაატარებს. რადმანოვიჩი სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდა და არ გასჭირვებია კალიფორნიულ კლუბთან შეთანხმების მიღწევა. კლუბმა "ნიუ ორლეანმა" კი შეიძინა პრედრაგ სტოიკოვიჩი, რომელიც ასევე თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა.

დარჩა "მაიამიში" ფინალური სერიის საუკეთესო კალათბურთელი დუეინ ვეიდი. საინტერესოა, რომ ვეიდის ახლანდელი კონტრაქტი 2007 წლამდეა ძალაში, თუმცა კლუბმა და კალათბურთელმა ეს კონტრაქტი კიდევ 3 წლით გააგრძელეს. ვეიდი ამ სამ სეზონში 63 მილიონ დოლარს მიიღებს.

ლიდერი შეინარჩუნა "კლივლენდმაც". ამ გუნდმა კიდევ სამი წლით გაუგრძელა კონტრაქტი ლებრონ ჯეიმსს. კონტრაქტის ფინანსური დეტალები უცნობია.

ვეიდისა და ჯეიმსისგან განსხვავებით, ხუთი წლით გააგრძელა კონტრაქტი "დენვერთან" კარმელო ენტონიმ. კალათბურთელს ხუთ სეზონში კლუბი 80 მილიონ დოლარს გადაუხდის. საინტერესოა, რომ ენტონი კონტრაქტის გაფორმებამდე ერთი სკანდალური ისტორიის მთავარი გმირი გახდა. პოლიციელებმა მის მანქანაში მარიხუანა აღმოაჩინეს. ენტონი ამის გამო ასი დოლარით დააჯარიმეს. თავადაც ხვდებით, რომ კალათბურთელისთვის, რომელსაც 5 სეზონში 80 მილიონ დოლარს უხდიან, ამ ჯარიმის გადახდა პრობლემა არ არის.

## ნადალმა შუქი გათიშა

ცნობილი ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი ავტოავარიაში მოყვა. ინციდენტი ესპანელის მშობლიურ ქალაქ მანაკორეში მოხდა. ნადალის მანქანა ელექტროგადაცემის ბოძს შეეჯახა. თავად ჩოგბურთელი არ დაშავებულა, მაგრამ შეჯახების შედეგად გაწყდა ელექტროგადაცემის ხაზები და ნახევარი ქალაქი უშუქოდ დარჩა.

# შვიდკაცა დიდ ქალაქში

### ქართველი მორაგბეები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრნენ

გიგა გურასაშვილი

*ხვალ იწყება შვიდკაცა რაგბის ევროპის ჩემპიონატი. ორდღიან ტურნირში ევროპის რჩეულ გუნდებს შორის საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს. ჩემპიონატი, რომელსაც მოსკოვი უმასპინძლებს, ბრიტანული ნაკრებების გარეშე ჩაივლის, თუმცა, შეჯიბრება ურიგო არ იქნება, რადგან, როგორც წესი, მოსკოვის ტრადიციული ტურნირი ერთგვარი დასკვნითი ეტაპია, რომელშიც გუნდები უძლიერესი შემადგენლობებით გამოდიან. გუშინ საქართველოს შვიდკაცა ნაკრების მწვრთნელებმა მამუკა ტყეშელაშვილმა და კახა ალანიამ ჩვენი გუნდის შემადგენლობა დაასახელეს.*



*ქართველები მოსკოვისთვის მზად არიან.*

ევროპის ჩემპიონატისთვის ქართველები 14 კაცის შემადგენლობით შეუდგნენ მზადებას. გუშინ კი, მოსკოვის ტურნირისთვის ინტენსიური მზადების შემდეგ, მათგან საუკეთესო ათეული შეირჩა და დღეს, გამთენიისას, მოსკოვის გზას გაუდგა. ქართველთა მიზანი სარეიტინგო ქულების მოგროვება და მსოფლიოს სერიაში მონაწილეობის უფლების მოპოვებაა.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის საქართველოს შვიდკაცა ნაკრები თბილისში ემზადებოდა.

ნაკრების ხელმძღვანელთა თქმით, მოსკოვის ტურინირისთვის კარგი შემადგენლობა გვყავს და არცთუ ურიგო შანსი წარმატებისთვის. ტყეშელაშვილი და ალანია გვაიმედებენ, რომ მსოფლიოს სერიის თამაშებისთვის საქართველოს შვიდკაცა ნაკრები გაცილებით მობილური და ძლიერი იქნება.

რაც შეეხებათ მეტოქეებს, თითოეული შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს კონკურენტად.

ქართველთა შვიდეული მოსკოვში A ჯგუფში იასპარეზებს. ჩვენი მეტოქეები იქნებიან საფრანგეთი, ლიტვა, იტალია, მოლდოვა და უკრაინა. ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის. B ჯგუფში გამოვლენ რუმინეთი, პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, ანდორა, ხორვატია.

ჩემპიონატის პირველივე დღეს საქართველოს ნაკრებს ოთხი თამაში უწევს. ჯგუფიდან გასასვლელად ყოველი თამაშის მოგება გვმართებს.

**ევროპის შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატი**
**მოსკოვი, რუსეთი**
**15-16 ივლისი, 2006 წ.**

**საქართველოს შვიდკაცა ნაკრების შემადგენლობა**

1. ირაკლი გუნდიშვილი
2. კახი ახვლედიანი
3. რეზო გიგაური
4. ზვიად კობერიძე
5. ირაკლი აბუსერიძე
6. გიორგი კაჭარავა
7. დავით კაჭარავა
8. გიორგი შკინინი
9. ლექსო გუგავა
10. ირაკლი გეგენავა

***მწვრთნელები:***
*მამუკა ტყეშელაშვილი*
*კახა ალანია*

# მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები

გუშინ ჰოლვიუდში გაიმართა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სპორტული ჯილდოს ESPY Awards-ის გადაცემა 2005 წლის შედეგების მიხედვით. ეს წმინდა ამერიკული ჯილდოა, ამიტომ ნუ გაიკვირვებთ, თუ გარკვეულ არაობიექტურობასაც შენიშნავთ. მაგალითად, საუკეთესო ჩოგბურთელ ქალად ვენუს უილიამსი დაასახელეს. ეტყობა, ამერიკაში არ იციან, რომ ჩოგბურთს დები უილიამსების გარდა ჟუსტინ ენინ არდენი და ამელი მაურესმოც თამაშობენ. საუკეთესო მოკრივედ ოსკარ დე ლა ჰოია დაასახელეს. სპორტული მამაცობისთვის დაწესებული არტურ ეშის პრიზი კი ავღანეთის ფეხბურთელ ქალთა ნაკრებს გადაეცა.

კიდევ კარგი, საუკეთესო მამაკაც ჩოგბურთელად როჯერ ფედერერი დაასახელეს, ფეხბურთელად კი - რონალდინიო.



*არმსტრონგი საუკეთესოდ აღიარეს*

რაც შეეხება ძირითად ნომინაციებს, 2005 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული, როგორც მოსალოდნელი იყო, ველომრბოლ ლენს არმსტრონგს გადაეცა, საუკეთესო ქალ სპორტსმენად კი მეგოლფე ანიკა სორენსტამი აღიარეს.

2005 წლის საუკეთესო გუნდად ამერიკელებმა სუპერბოულის ჩემპიონი, ამერიკის პროფესიული საფეხბურთო ლიგის კლუბი "პიტსბურგ სტილერსი" მიიჩნიეს.

სხადასხვა პრიზები ამერიკის სხვადასხვა ლიგების სპორტსმენებმაც მიიღეს.

ცერემონიალზე ყველაზე დიდი აჟიოტაჟი ლილიჰამერის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ოქსანა ბაიულის გამოჩენას მოჰყვა. უკრაინელი ლამაზმანი კარგა ხნის წინ ჩამოწერეს. შეგახსენებთ, რომ ლილიჰამერში მოგებული ოქროს შემდეგ ბაიული ფაქტობრივად გალოთდა, თუმცა, ეტყობა, ბოლო ხანს ფიგურულ სრიალში ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი გონს მოეგო და ცერემონიალზეც საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. მართალია, ბაიული არავის დაუჯილდოებია, მაგრამ მისმა გამოჩენამ მაინც დიდი ხმაური გამოიწვია.

# ვარგასი VS მოსლი

### ჩხუბის მერე წონებში დაიშლებიან

გიგა გურასაშვილი

*ამბობდნენ, პირველი საშუალო წონის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ფერნანდო ვარგასი ექვს სხვადასხვა წონით კატეგორიაში ასევე ყოფილ ჩემპიონს ოსკარ დე ლა ჰოიას შეხვდებაო. მართალია, "ოქროს ბიჭუნად" წოდებულმა ოსკარმა, რომელიც ამჟამად პირველ საშუალო წონაში WBC-ს საჩემპიონო ქამარს ფლობს, ცოტა ხნის წინ განაცხადა, წლეულს რინგზე არ გავალო, მაგრამ ასეც რომ იყოს, ვარგასი წონას იცვლის და დე ლა ჰოიასთან ჩხუბი გამორიცხულია. როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერ არავინ იცის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ვარგასი სამი სხვადასხვა წონითი კატეგორიის ყოფილ ჩემპიონს შეინ მოსლის უნდა ეჩხუბოს. მათ შეხვედრამდე საათებია დარჩენილი. ჩხუბი კი ხვალაა, ლას ვეგასში, MGM Grand Hotel & Casino-ში.*

15 ივლისის დაპირისპირება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ვარგასისთვის ეს იქნება ბოლო ორთაბრძოლა პირველ საშუალო წონაში: "გამიგეთ რა, 185-190 ფუნტს ვიწონი (84-86 კგ). ესაა ჩემი ნამდვილი წონა. მექსიკელი ვარ და ჭამა მიყვარს. დროა სხვა წონაში გადავბარგდე. 21 წლის ვიყავი, როდესაც იორი ბოი კამპასს წავართვი ტიტული. წლეულს კი 29 წლის ვხდები. ორგანიზმი მეუბნება: ქალებიც კი არ იწონიან 154 ფუნტს (69,85კგ.)".

ვარგასის მსგავსად, ეს შეინ მოსლისთვისაც ბოლო ორთაბრძოლაა პირველ საშუალო წონაში. ოღონდ, ვარგასისგან განსხვავებით, მოსლი ნახევრად საშუალო წონაში ბრუნდება.

"ჩვენ, ორივე ვეცდებით, ერთმანეთი ნოკაუტში გავუშვათ, - ვარგასის ნაცვლადაც დებს პირობას შეინ მოსლი (42 გამარჯვება, აქედან 36 ნოკაუტით და 4 წაგება), - სულისშემძვრელი ორთაბრძოლა იქნება. ერთი სული მაქვს, როდის ვიჩხუბებთ".

მოსლისა არ იყოს, კბილებს აღრჭიალებს ვარგასიც (26 გამარჯვება, აქედან 22 ნოკაუტით და 3 წაგება): "დროა რინგზე გავიდე. ძალიან ღონივრად ვგრძნობ თავს. მოუთმენლად ველი ჩვენს შერკინებას".

როგორც მექსიკელი ამბობს, ადრე არაკომპეტენტური დიეტოლოგი ჰყავდა, რის გამოც პრობლემები ექმნებოდა. იღებდა საძილე საშუალებებს, რადგან შიმშილის გამო ვერ იძინებდა. ჭამდა აწონვის დღეს ან ორთაბრძოლამდე ცოტა ხნით ადრე, თანაც, ისეთ პროდუქტებს, რომელიც სრულად შეუფერებელი იყო საბრძოლო მდგომარეობისთვის. ახლა, როგორც ამბობს, ყველაფერი რიგზეა. ახალი დიეტოლოგი მყავს, რომლის დახმარებითაც იმას გეახლებით, რასაც მოვისურვებო.

"არ მინდა ჯანმრთელობა დავინგრიო. უმჯობესია საშუალო წონაში გამოვიდე".

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ამაზე ვარგასს სიტყვაც არ დასცდენია. მხოლოდ ის თქვა, რომ მოსლისთან შეხვედრის შემდეგ გავერკვევი საკუთარ თავშიო.

იმასაც ამბობენ, შესაძლოა, ახლო მომავალში ფერნანდო ვარგასი და საშუალო წონის აბსოლუტური ჩემპიონი ჯერმენ ტეილორი ერთმანეთს დაეჯახონო.

მაგრამ სანამ ეს მოხდება, ჯერ მოსლი უნდა დაამარცხოს.



*მოსლი და ვარგასი ერთმანეთის დასანაყად სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან.*

ჩვენ ერთი გუნდი ვართ
საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბში გასაწევრიანებელი აპლიკაცია